

16

The KARTVELOLOGIST

JOURNAL OF GEORGIAN STUDIES

ქართველოლოგი



ISSN 1512-1186

IN THIS ISSUE:

- In the wake of the Manuscripts of Bernarde of Naples
- Literary Parallels: Galaktion Tabidze and Henry Longfellow

საზღვრები:

- მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის შეფასებისათვის
- კულტურული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და სეფიანთა ირანის ქართველები
- ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სამხურად

ქართველოლოგი
THE KARTVELOLOGIST

JOURNAL OF
GEORGIAN STUDIES

16 (1)

AUTUMN
2011

PUBLISHED ANNUALLY BY THE CENTRE
FOR KARTVELIAN STUDIES
TBILISI STATE UNIVERSITY

In a broad sense Kartvelology embraces study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, source study.

"The Kartvelologist" is a bilingual (Georgian and English) academic journal, covering all spheres of Kartvelological scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularization of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.

"The Kartvelologist" issues both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the "Centre for Kartvelian Studies" (TSU), financially supported by the "Fund of the Kartvelological School". In 2011-2013 the journal is financed by the Georgian National Science Fund with a grant (Rustaveli Fund).

The Editorial Board: The foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizers in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Editor-in-Chief: Elguja Khintibidze;
Editor of the English text: Arrian Tchanturia.

Bakhtadze, Michael (History) – Georgia; Beynen, Bert (Rustvelology) – Philadelphia, USA; Boeder, Winfried (Linguistics) – Germany; Buachidze, Gaston (Kartvelology) – France; Chikhladze, Nino (History of Georgian Art) – Georgia; Chotiary-Jünger, Steffi (Georgian literature) – Germany; Doborjginidze, Nino (Linguistics) – Georgia; Enoch, Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) – Israel; Fähnrich, Heinz (Georgian linguistics) – Germany; Kojima, Iasuhiko (Kartvelian languages) – Japan; Kudava, Buba (Study of Manuscripts) – Georgia; Licheli, Vakhtang (Archaeology) – Georgia; Magarotto, Luigi (Georgian literature) – Italy; Melikishvili, Damana (The Georgian language) – Georgia; Nikoleishvili, Avtandil (Georgian literature) – Georgia; Nocun, Przemyslaw (Archaeology) – Poland; Outtier, Bernard (Medieval Studies) – France; Ratiani, Irma (Literary criticism) – Georgia; Shurgaiia, Gaga (Georgian literature) – Italy; Sikharulidze, Ketevan (Folklore) – Georgia; Tuite, Kevin (Ethnography and folklore) – Canada

Each issue of the journal is prepared and published by the editorial staff: Khintibidze, Elguja; Tchanturia, Arrian; Chakunashvili, Nino; Javakhadze, Irina; Guliashvili, Sophio; Vardosanidze, Tsira.

CONTENTS

GEORGIAN LITERATURE IN ENGLISH TRANSLATION

Vazha Pshavela

Aluda Ketelauri (*in Georgian and in English*) English translation by D. Rayfield ----- 8

SCHOLARLY STUDIES

Gaga Shurgaiia

In the wake of the Manuscripts of Bernarde of Naples ----- 22

Tamaz Jologua

Towards the Assessment of Viceroy Mikhail Vorontsov's Cultural-Enlightenment Policy ----- 44

Elguja Khintibidze

Rustaveli's *The Man in the Panther Skirt*: Cultural Bridge from East To West and the Georgians of Safavid Iran ----- 81

Natia Sikharulidze

Literary Parallels: Galaktion Tabidze and Henry Longfellow ----- 115

Avtandil Nikoleishvili

Aleksandre Cheishvili in Emigration ----- 141

Nino Chakunashvili

Secularization of the Miracle in Medieval Georgian and European Literature ----- 165

KARTVELOLOGISTS

Tsira Vardosanidze

Heinz Fähnrich ----- 182

Levan Gordeziani

A New Book on Georgian History ----- 197

CHRONICLE OF EVENTS

Lado Minashvili, Khatuna Gaprindashvili
A Textbook on the History of Georgian Literature in Armenian -- 218

Steffi Chotiwary-Jünger
Shota Rustaveli's "The Man in the Panther Skin" in German Schools --
----- 234

Rusudan Enukidze
Two Meetings with Grigol Robakidze and Kita Chkhenkeli ----- 242

სარჩევი

ძართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში

ვაჟა ფშაველა
ალუდა ქეთელაური (ქართულად და ინგლისურად. თარგმანი
დონალდ რეივილდისა) ----- 8

სამეცნიერო კვლევები

გაგა შურღია
ბერნარდე ნეაპოლისეული ხელნაწერების კვალდაკვალ ---- 13

თამაზ ჯოლოგუა
მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის კულტურულ-
საგანმანათლებლო პოლიტიკის შეფასებისათვის ----- 29

ელგუჯა ხინთიბიძე
რუსთველის ვეფხისტყაოსანი - კულტურული ხიდი
აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და სეფიანთა ირანის
ქართველები ----- 55

ნათია სიხარულიძე
ლიტერატურული პარალელები: გალაკტიონ ტაბიძე და ჰენრი
ლონგფელო ----- 103

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ალექსანდრე ჭეიშვილი ემიგრაციაში ----- 124

ნინო ჩაკუნაშვილი
სასწაულის სეკულარიზაცია შუასაუკუნეების ქართულ და
ევროპულ მწერლობაში ----- 154

ძართველოლოგები

ცირა ვარდოსანიძე
ჰაინც ფენრიხი ----- 174

ლევან გორდეზიანი

ახალი წიგნი საქართველოს ისტორიაზე ----- 189

ქართული ლიტერატურის ისტორია

ლადო მინაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი

ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სიმბუხრად
----- 203

შტეფი ხოტივარ-იუნგერი

რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულ სკოლებში ----- 230

რუსუდან ენუქიძე

ორი შეხვედრა (გრიგოლ რობაქიძესა და კიტა ჩხენკელთან)----- 237

ჟურნალ „ქართველოლოგის“ განყოფილება „ქართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში“ მოწოდებულია, ინგლისურენოვან მკითხველს მიწოდოს ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ცალკეული მონაკვეთები ინგლისური პარალელური თარგმანით. ჟურნალის რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ გზით დაინტერესებულ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეექმნას ქართული პოეზიის და ბელეტრისტული თუ საისტორიო ლიტერატურის შესახებ. ამასთან ერთად, ქართული ენის შესწავლით მკითხველს საშუალება ეძლევა, ნაწყვეტები ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებიდან ორიგინალის პარალელურად ინგლისურ თარგმანში გაიცნოს.

„ქართველოლოგის“ ამ ნომერში ქართული პოეზიის კლასიკოსის ვაჟა ფშაველას (იგივე ლუკა რაზიკაშვილი – 1861–1915) ცნობილი პოემის „ალუდა ქეთელაურის“ პირველი თავია წარმოდგენილი ინგლისელი ქართველოლოგის დონალდ რეიფილდის თარგმანითურთ (თარგმანი გამოქვეყნებულია თბილისში 1981 წელს გამომცემლობა „განათლების“ მიერ: Vazha Pshavela, Three Poems).

ამ ცნობილი პოემის პირველი თავი კომპოზიციურად დასრულებული ამბის მხობით წარმოსახავს ადამიანობის მაღალ იდეას, ადამიანის პიროვნული ღირსებებისადმი პატივისცემით რელიგიური და ნაციონალური დაპირისპირების დაძლევა, პიროვნების თავისუფალი სულიერი ემოციის ამაღლებას ადამიანთა შორის მტრობის ტრადიციულ ნორმებსა და ჩვეულებებზე.

რედაქტორი



The purpose of the section *Georgian Literature in English Translations* in the *Kartvelologist* is to provide the English-language reader with excerpts of best specimens of Georgian literature with a parallel English translation. The Editorial Staff hopes that in this way the interested reader will form an idea of Georgian poetry, belles-lettres and historical literature. At the same time, the reader interested in studying the Georgian language will be enabled to acquaint him/herself with excerpts of the best specimens of Georgian literature in the original with parallel English translations.

Presented in this issue of the *Kartvelologist* is the first chapter of “Aluda Ketelauri”, a well-known poem by the classic of Georgian poetry Vazha Pshavela (the same Luka Razikashvili, 1861-1915) translated by the English Kartvelologist Donald Rayfield (the translation was published in Tbilisi, in 1981 by “Ganatileba”: Vazha Pshavela, “Three Poems”).

The compositionally completed story of the first chapter of this poem depicts the lofty ideal of humaneness, respect for man’s personal dignity in overcoming religious and national confrontation, rising of a person’s free spiritual emotion above the traditional norms and customs of enmity between human beings.

The Editor

ჟურნალ „ქართველოლოგის“ განყოფილება „ქართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში“ მოწოდებულია, ინგლისურენოვან მკითხველს მიაწოდოს ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ცალკეული მონაკვეთები ინგლისური პარალელური თარგმანით. ჟურნალის რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ გზით დაინტერესებულ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეექმნას ქართული პოეზიის და ბელეტრისტული თუ საისტორიო ლიტერატურის შესახებ. ამასთან ერთად, ქართული ენის შესწავლით მკითხველს საშუალება ეძლევა, ნაწყვეტები ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებიდან ორიგინალის პარალელურად ინგლისურ თარგმანში გაიცნოს.

„ქართველოლოგის“ ამ ნომერში ქართული პოეზიის კლასიკოსის ვაჟა ფშაველას (იგივე ლუკა რაზიკაშვილი – 1861–1915) ცნობილი პოემის „ალუდა ქეთელაურის“ პირველი თავია წარმოდგენილი ინგლისელი ქართველოლოგის დონალდ რეიფილდის თარგმანითურთ (თარგმანი გამოქვეყნებულია თბილისში 1981 წელს გამომცემლობა „განათლების“ მიერ: Vazha Pshavela, Three Poems).

ამ ცნობილი პოემის პირველი თავი კომპოზიციურად დასრულებული ამბის მზობით წარმოსახავს ადამიანობის მაღალ იდეალს, ადამიანის პიროვნული ღირსებებისადმი პატივისცემით რელიგიური და ნაციონალური დაპირისპირების დაძლევას, პიროვნების თავისუფალი სულიერი ემოციის ამაღლებას ადამიანთა შორის მტრობის ტრადიციულ ნორმებსა და ჩვეულებებზე.

რედაქტორი



The purpose of the section *Georgian Literature in English Translations* in the *Kartvelologist* is to provide the English-language reader with excerpts of best specimens of Georgian literature with a parallel English translation. The Editorial Staff hopes that in this way the interested reader will form an idea of Georgian poetry, belles-lettres and historical literature. At the same time, the reader interested in studying the Georgian language will be enabled to acquaint him/herself with excerpts of the best specimens of Georgian literature in

the original with parallel English translations.

Presented in this issue of the *Kartvelologist* is the first chapter of “Aluda Ketelauri”, a well-known poem by the classic of Georgian poetry Vazha Pshavela (the same Luka Razikashvili, 1861-1915) translated by the English Kartvelologist Donald Rayfield (the translation was published in Tbilisi, in 1981 by “Ganatileba”: Vazha Pshavela, “Three Poems”).

The compositionally completed story of the first chapter of this poem depicts the lofty ideal of humaneness, respect for man’s personal dignity in overcoming religious and national confrontation, rising of a person’s free spiritual emotion above the traditional norms and customs of enmity between human beings.

The Editor

ვაჟა ფშაველა
„ალუდა ქეთელაური“

I

მაცნე მოიდა შატილსა:
- ქისტებმა მოგვეცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.

ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მარჯვენა,
- სცადა ფრანგული ფხიანი.
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!

ქისტებს წაუსხამ ცხენები,
ალუდაისიცი ფთიანი.
გუმან აქვ, გადაავლიონ
არხოტის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა ცვრიანი.

ეს რო ალუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო;
ასხა იარაღები,
გააფხავიდის ხმალიო;
გაუმინჯიდის ვადანი,
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.

ცისკრის ხანია, მტერს
მისდევს

Vazha Pshavela
“Aluda Ketelauri”

I

A messenger came to Shatili:
“The Chechens have struck a blow
against us,
these evil men of evil ways
have sent our shepherds scattering”.

Aluda Ketelauri
is a man smiled on by fate,
in village assemblies he sits at the
head,
his words when he speaks are to the
point;
he has proven his sharp-edged sabre
and hacked many Chechen right
hands off.

The bad man has no need to fight,
the good man can always meet the
foe!

The Chechens had driven off, he
heard,
Aluda’s own fleet-footed horses;
he has an inkling that they would
cross
the mountainous head of the
Arkhoti,
their horses’ shoes trampling down
the dewy fescues of the mountains.

As soon as Aluda heard all this,
he put an edge on his rifle’s flint,
put on his armour, sharpened his
sword,
testing carefully the crosspiece,

კლდის შავარდენი ჩქარო.
გათენებისას ჭიუხში
შურთხმა დარეკა ზარო,
ძალღებს კი სძინავ თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცხვარო.

მალე შააგდო ალუდამ
ქისტების ნავალს თვალიო.
მარჯვედვე გადაეწია,
თოფმა გაიღო ჩქამიო:
ერთს ქურდ-კანტალას
დიღღველსა
ცუდი დაუდგა წამიო;
გადავარდება ცხენზეით,
ყელ-თავქვე ეკიდებისა;
ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს,
ზედ ცეცხლი ეკიდებისა;
ამხანაგ-მოკლულ დიღღველი
ჩახმანსა ეზიდებისა.

გამასტყვრა მუცალის თოფი,-
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნადოძი ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაეშლებოდა.

- არა გჭირსაა, რჯულ-
ძაღლო?!

- მუცალი ეუბნებოდა.
- ნუ გგონავ, მჭირდეს,
რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.

- არ მოგხვდაუა, რჯულ-

lest the sword should break its hilt.

Dawn. The peregrine falcon of the
rocks
swiftly pursues the enemy;
as day breaks over the rocky scree
the snow pheasant's bell-like call
rings out.

But the dogs still sleep in their pens,
the sheep have not yet left their
folds.

Aluda's eyes soon fell upon
the Chechen's tracks. Moments later
he caught them up. His gun went off.
One thieving Ingush tribesman met
the evil instant of his end.
His body toppled from his horse,
hanging over upside down,
pierced by a ball in the
shoulderblade.

He feels fire spreading from the
wound.

Another Ingush, the dead man's
comrade,
squeezes the trigger with his finger.

Mutsali's rifle fired a shot,
splintering the bare rock-face.

Shattered pieces of bullet fall
into Aluda's tunic hem.

"Haven't I hit you, heathen dog?"
Mutsali called out to his foe.

"Don't you believe it, heathen dog,
I am a vassal of Gudani shrine".

ძაღლო?

- ისევ ეძახის იმასა.
- მუცალს არა სჭირს, რჯულ-
ძაღლო,
- ნამტვრევს მაშლიდა
კლდისასა...
- ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
- მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენწხას არა სჭირს ძეღისასა.

გამოსტყვრა მუცალის თოფი,
ტყვია ჩქამს იზამს მქისესა,
გაუტებს ქეთელაურსა
საპირის-წამლეს რქისასა.

- არც ახლა გჭირსა, რჯულ-
ძაღლო?!
- ზედაც დაჰვედრებს იმასა.
- არა სჭირს, არა, რჯულ-
ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
გამმარჯვედ ჯვარი
დაჰყვების,
ძალს შახვეწებს ღვთისასა.
გულს არ ჰხვდა, ნუ
გეგონების,
ამტვრევდა წამლის ქისასა.

რაკი სრევაზე მიდგება,
ჯავრს არც მე შავჭამ
მტრისასა.

შატლიონის ნასროლი
ქისტს უმტვრევს გულის

The bang that came from Aluda's gun
was thunder striking from the sky.

"Haven't I hit you, heathen dog?"
he shouts out to the other man.

"Mutsali's unharmed, heathen dog;
I was only struck by broken rock."

"Aha, that must have pierced his hat,
the bullet's singed the ends of his
hairs."

"You aimed too high, miserable
wretch,
it didn't touch the bones of my skull."

Mutsali's rifle returned the fire
the bullet makes a horrid noise.
It had broken Aluda
Ketelauri's powder-horn.

"Aren't you hit now, heathen dog?"
Mutsali asks him threateningly.

"No, I am not, you heathen dog;
the vassal of Gudani shrine
is followed by victory-bringing forces
that invoke the powers of God.
His heart's unhurt, don't be misled.
Just my gunpowder pouch was
smashed.

Now that I must kill or be killed,
I'll venge myself on my enemy."

The man from Shatili fired a shot
which broke the Chechen's
breastbone up.

ფიცარსა.

- არც ახლა გჭირსა, რჯულ-
ძაღლო?!

- შამაუჭყივლებს ქისტასა.

- გულში მჭირს, გულში,
რჯულ-ძაღლო,

ვაჰ, ცდასა მუცალისასა!

ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,
რა ვუთხრა მაღლსა
ღვთისასა?

მუცალს არ სწადის

სიკვდილი,

ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,

მაჰგლეჯს, დაიფევს

წყლულშია

მწვანეს ბალახსა მთისასა.

ერთიც ესროლა ალუდას,

ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.

თოფიც ალუდას გადუგდო,

ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:

- ეხლა შენ იყოს, რჯულ-
ძაღლო,

ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.

სიტყვა გაუმრა პირზედა,

დაბლა გაერთხა მიწასა.

ალუდას თოფი არ უნდა,

ატირდა როგორც ქალიო;

არ აჰყრის იარაღებსა,

არ ეხარბება თვალიო.

თავით დაუდვა ხანჯარი,

ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,

გულზედ ძეგლიგი დაადვა,

“Now, I’ve got you, heathen dog!”

loudly he shrieks at his Chechen foe.

“My heart is hit, my heart, heathen
dog,

woe to Mutsali’s prowess in battle.

You killed my brother, you’ve killed
me too:

what can I say of the grace of God?”

Mutsali does not wish to die,
he does not lose his wolfish colour,

he tears at the green mountain

grasses,

spreading the herbs all over his
wound.

He fired once more at Aluda,

losing no chance of fighting on.

Then he flung his gun to Aluda,

speaking to him one more time:

“Now let it be yours, you heathen
dog,

lest it fall in another man’s hands.”

The very words dried on his lips,

he lay low, sprawling on the earth.

Aluda doesn’t want the rifle.

He burst like a woman into tears.

His eyes do not covet his enemy’s
weapons,

he does not strip the armour off.

He placed the dagger by Mutsali’s
head

(it had a handle of ivory),

he put the flint gun on his chest

and on his arm he laid his sabre.

Aluda does not cut off

Mutsali’s right hand. Instead he says,

მკლავზედ ფრანგული
ხმალიო.
მარჯვენას არ სჭრის
მუცალსა,
იტყოდა: ცოდვა არიო;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს
მკვდარიო.
მკლავზედაც გეზას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ
დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელო,
ღმერთმ გიდლეგრძელოს
გვარიო!
სიგძივ გაჰხურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო.

“It’s wrong. Man, whom I have
killed,
God let your body rest in peace.
The least that I can do for you
is leave your arm and right hand
joined.
Let your hand on your heart go back
to dust;
the stone wall’s door shall not have
your hand
hanging up to gladden it.
Good people must have brought you
up.
God prolong the days of your kin.”
He covered him from head to toe
with his cloak, and the shield on top.

ბერნარდე ნეაპოლელისეული ხელნაწერების კვალდაკვალ

გაგა შურდაია

საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის კულტურების კათედრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი.

რეზიუმე: სტატიაში გამოკვლეულია 1670-1677 წწ.-ში საქართველოში მოღვაწე კაპუცინი ბერის, ბერნარდე ნეაპოლელის, ხელნაწერი მასალების ისტორია. კერძოდ, დადგენილია, რომ ეს მასალები თავდაპირველად კაპუცინთა მონასტრის წიგნსაცავში ინახებოდა, ხოლო 1936 წ.-ის თებერვლიდან გადაიტანეს ნეაპოლის ეროვნულ სამეფო ბიბლიოთეკაში (დღევანდელი ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკა), სადაც დღემდე დაცულია შიფრით „XX.122“. XVIII-XX სს.-ში სხვადასხვა მეცნიერის მიერ შედგენილ ჩამონათვალთა შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია, რომ 1886-1936 წლებში დაიკარგა ბერნარდე ნეაპოლელისეული ერთი ქართული ხელნაწერი, ანუ ის, რომელიც შეიცავდა „რომანცს ან ქართულ ზღაპარ ზაამას“, ჟამთააღმწერლის ე. წ. „ასწლოვანი მატიანის“ ორმოცგვერდიან უძველეს ფრაგმენტსა და „პატარა პოემა რესკარიანს“.

საკვანძო სიტყვები: *ბერნარდე ნეაპოლელი, ქართული ხელნაწერი, კაპუციანთა მონასტერი*

2007 წ.-ის ზაფხულში თბილისში, აკადემიკოს ელენე მეტრეველის ანოტირებულ ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობისას, აწ განსვენებულმა პროფესორმა ვალერი სილოგავამ გამაცნო მის მიერ იმხანად აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, ჟამთააღმწერლის ე. წ. „ასწლოვანი მატიანის“ ორფურცლიანი უძველესი ფრაგმენტი (H-1076), რომელიც

თავდაპირველად ქართლში XVII ს.-ის 70-იან წწ.-ში ნამყოფ იტალიელ ბერს, ანტონიო ჩოფის ეკუთვნოდა და საქართველოში მიხეილ თამარაშვილს ნეაპოლის ახლოს მდებარე დაბა ტორე დელ გრეკოს ფრანცისკელი კაპუცინი ბერების მონასტრიდან ჩამოეტანა. ბატონმა ვალერიმ შემომთავაზა, იტალიაში დაბრუნებისას მომეძია ზემოაღნიშნული ფრაგმენტის დანარჩენი ნაწილი. მიხეილ თამარაშვილის ცნობით, საკვლევი ფრაგმენტი მთლიანად 40 გვერდისგან შედგებოდა.

იტალიაში დაბრუნებისას დავიწყე ხელნაწერის ძიება. აღმოჩნდა, რომ ტორე დელ გრეკოს ფრანცისკელ კაპუცინ ბერთა მონასტერი დაუხურავთ, ხოლო მისი წიგნსაცავის ნაწილი ამავე დაბის მუნიციპალური ბიბლიოთეკისთვის გადაუციათ.

2008 წ.-ის თებერვალში ვეწვით ტორე დელ გრეკოს მუნიციპალურ ბიბლიოთეკას და პირადად გავეცანი კაპუცინთა მონასტრისეულ წიგნებს, რომლებიც დაახლოებით სამ ათას ნაბეჭდ ტომს შეიცავს. მათი უმეტესი ნაწილი XVI-XVII სს.-შია დასტამბული. იმჟამად ამ წიგნებიდან ორი ათასი ერთეული სპეციალურად გამოყოფილ სათავსში ინახებოდა, რომელთგან მხოლოდ 956 ტომი იყო კატალოგიზებული, დანარჩენი წიგნები და ხელნაწერების ფრაგმენტები კი უწესრიგოდ ეყარა სხვა სათავსში. სათითაოდ გადავათვალიერე თითოეული მათგანი. იმედი მქონდა, რომელიმე ტომში მაინც წავაწყდებოდი ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერს. სამწუხაროდ, ყველა მცდელობა ამაო გამოდგა: არსად ჩანდა არათუ ჟამთააღმწერლის თხზულების ფრაგმენტი, არამედ – თვით მონასტრის არქივიც. ამან მაფიქრებინა, მონასტრის დახურვის შემდეგ ხელნაწერები კაპუცინთა ორდენის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ხომ არ გადაიტანეს-მეთქი. ტორელ კაპუცინთა არქივის ძიებისას დასახმარებლად მივმართე კაპუცინთა ისტორიის ინსტიტუტს, რომელიც რომში მდებარეობს. ინსტიტუტის არქივის არქივარიუსმა, მამა ალექსანდრე ჰოროვსკიმ, 2008 წ.-ის 4 მაისის ელბარათით მაცნობა შემდეგი: „შევსწავლე ჩვენი [ორდენის] საერთო

არქივი, მაგრამ აქ არ აღმოჩნდა ბერნარდე მარია ნეაპოლელის [ანუ ანტონიო ჩოფის – გ. შ.] ხელნაწერი მასალები. საქართველოში [წარგზავნილი კათოლიკური] მისიისადმი მიძღვნილ სექციაში გვაქვს მხოლოდ იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც პროპაგანდა ფიდეს არქივში ინახება. ადვილი შესაძლებელია, ტორე დელ გრეკოს მონასტრის არქივი XIX საუკუნეში – ნაპოლეონის [დროს], ანდა [მის] შემდგომ პერიოდში გაუქმებულიყო. იტალიაში კაპუცინების პროვინციათა არქივების XIX საუკუნემდელი დოკუმენტები მილანის პროვინციის არქივში ინახება, [ხოლო] სხვა მასალები გაბნეულია [იტალიის] სახელმწიფო, ანდა პარიზის არქივებში“.

არქივარიუსის პასუხმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საკვლევ ხელნაწერთა მოსამიებლად საჭირო იყო თვით მონასტრის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა და ანტონიო ჩოფის პიროვნების იდენტიფიკაცია, მით უფრო, რომ საქართველოში მისი ყოფნის დრო პირდაპირ ემთხვევა ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ბერნარდე ნეაპოლელის ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობის პერიოდს.

ამ მიმართებით ჩემ მიერ დღემდე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ შემდეგ დასკვნებამდე მიმიყვანა:

I. დაბა ტორე დელ გრეკო პირველად 1019 წლის 23 მაისით დათარიღებულ ეტრატში იხსენიება. 1568 წელს ტორე დელ გრეკოს მუნიციპალიტეტმა ტორელი მოქალაქეების: ტომაზო კუჩინიელოსა და ფერდინანდო ბრანკაჩოსაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი და საჩუქრად გადასცა კაპუცინ ბერებს, რომლებმაც 1574 წელს აქ მონასტერი და ხარების ეკლესია ააშენეს. სავანემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო ტორე დელ გრეკოს, არამედ, საზოგადოდ, მთელი სამხრეთ იტალიის კულტურულ ცხოვრებასა და კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობაში. 1861 წელს რომის პაპის სახელმწიფოს დაცემისა და იტალიის გაერთიანების შემდეგ მონასტრების დახურვის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, კაპუცინ ბერთა მონასტერი ოფიციალურად გაუქმდა, შენობა კი 1867 წელს ტორე დელ გრეკოს მერიის გამგებლობაში გადავიდა. მერიამ იგი იმავე წელს გადასცა წმინდა სამების

სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, რომელსაც ალკანტარელი ფრანცისკელი მონაზვნები კი არ მეურვეობდნენ, როგორც მკვლევრებს აქამდე მიაჩნდათ, არამედ – წმინდა ფრანცისკ ასიზელის სტიგმატების სახელობის ორდენის ფრანცისკელი მონაზვნები, რომლებიც ამ მისიას 1872 წ.-ის 23 დეკემბრიდან ასრულებდნენ. არც ერთ სტიგმატელ მონაზონს არ ჰქონდა პედაგოგის დიპლომი. ამიტომ მოგვიანებით, 1879 წ.-ის 11 სექტემბერს, იმდროინდელი განათლების კანონმდებლობის შესაბამისად, ორდენს ჩამოერთვა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარზე მზრუნველობის უფლება. ასე გახდნენ თავშესაფარის ახალი მეურვეები ალკანტარელი ფრანცისკელი მონაზვნები, რომლებიც მას 1976-1977 სასწავლო წ.-ის ბოლომდე პატრონობდნენ;

II. ტორე დელ გრეკოს მონასტერში მოღვაწეობდა ანტონიო ჩოფი, იგივე ჩოფო (1628 - 2.02.1707), რომელიც 1628 წელს დაიბადა ნეაპოლში, ხოლო 1653 წ.-ის 14 იანვარს ბერად აღიკვეცა ბერნარდე მარიას სახელით. დანამდვილებით შეიძლება, ითქვას, რომ სწორედ ეს არის ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ბერნარდე ნეაპოლელი, რომელიც, როგორც მისიონერი, 1670-1677 წწ.-ში იმყოფებოდა საქართველოში. მან საუცხოოდ შეისწავლა ქართული ენა და ქართულ და იტალიურ ენებზე უნიკალური მასალები დაგვიტოვა იმდროინდელი საქართველოს შესახებ. მისი მიმოწერა მოწმობს, რომ მას არც ნეაპოლში დაბრუნების (1677 წ.) და არც კაპუცინთა ორდენის ნეაპოლის პროვინციის წინამძღვრად არჩევის (1686 წ.) შემდეგაც გაუწყვეტია კონტაქტები ჩვენს ქვეყანაში მყოფ თავის სულიერ შვილებთან და ახლობელ-მეგობრებთან;

III. 1896 წელს კაპუცინთა მონასტრის წიგნსაცავის უდიდესი ნაწილი (ტორელი ისტორიკოსის, ფრანჩესკო კასტალდისეული კატალოგის მიხედვით – 2.649 ნაბეჭდი წიგნი) ჯერ ტორე დელ გრეკოს მერიაში, ხოლო შემდეგ კომუნალურ ბიბლიოთეკაში გადაიტანეს. რაც შეეხება ბერნარდე ნეაპოლელის ქართულ ხელნაწერებს, ისინი, როგორც კაპუცინთა წიგნსაცავის ყველაზე ძვირფასი ნაწილი,

ალკანტარელ დედათა ილუმენის ზედამხედველობის ქვეშ დატოვეს. მერიამ, იტალიის ეროვნული განათლების სამინისტროს 1935 წ.-ის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს ხელნაწერები 1936 წ.-ის 7 თებერვალს შესანახად მიაბარა ნეაპოლის ეროვნულ სამეფო ბიბლიოთეკას (დღევანდელი ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკა), სადაც დღემდე დაცულია შიფრით „XX.122“;

IV. ქართველმა საზოგადოებამ ტორე დელ გრეკოს ქართულ ხელნაწერთა არსებობის შესახებ 1896 წელს შეიტყო, როდესაც ცნობილმა ავსტრიელმა ქართველოლოგმა, ჰუგო შუხარდტმა ჟურნალ „ივერიაში“ გამოაქვეყნა მის მიერ იმავე წელს გერმანულ გაზეთ „Allgemeinen Zeitung“-ის დამატებაში დასტამბული სტატიის „ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები“ ქართული რედაქცია. ჩვენი საზოგადოებისათვის, ასევე, ცნობილია ზემოაღნიშნულ ხელნაწერთა მიხედვით თამარაშვილისეული ჩამონათვალიც, რომელიც მოგვიანებით შედგა. სამაგიეროდ, დღემდე უცნობია ამ ხელნაწერთა როგორც 3. შუხარდტამდელი, ისე – მიხ. თამარაშვილის შემდგომ შედგენილი მოკლე აღწერილობები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საკვლევ ხელნაწერებთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკითხების გასარკვევად;

V. პირველი ცნობები ბერნარდე ნეაპოლელის თხზულებების შესახებ დაცულია ემანუელ ნეაპოლელის მიერ XVIII ს.-ის შუა ხანებში დაწერილ და დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომში „ისტორიულ-ქრონოლოგიური ცნობები ნეაპოლის პროვინციის უმცროს კაპუცინ ძმათა შესახებ“, თუმცა, სპეციალისტებმა ამ თხზულებების შესახებ პირველად 1873 წელს კაპუცინთა ორდენის ისტორიკოსის, როკო და ჩეზინალეს წყალობით შეიტყვეს. მისი „კაპუცინთა მისიის ისტორიის“ მესამე ტომში საგანგებო ყურადღება ეთმობა ბერნარდე ნეაპოლელს, აღნიშნულია მისი განსწავლულობა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში, მოთხოვნილია მისი ნაყოფიერი სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ და დასახელებულია მის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი, თარგმნილი ან, უბრალოდ, გადანუსხული შვიდი თხზულება. ამ ორი ისტორიკოსის

ცნობებს ემყარება კაპუცინი ბერის, აპოლინარე ვალენსელის 1886 წელს დასტამბული წიგნი „ნეაპოლის პროვინციის კაპუცინ ძმათა ბიბლიოთეკა“, სადაც დასახელებულია საკვლევ ხელნაწერთა თერთმეტი საარქივო ერთეული და მოტანილია მეტად საყურადღებო კოდიკოლოგიური მონაცემები მათ შესახებ. აპოლინარე ვალენსელის სია შეიცავს არა მხოლოდ როკო და ჩეზინალეს მიერ დასახელებულ ყველა თხზულებას, არამედ – სხვა ნაწარმოებებსაც, რომლებიც მოთავსებულია ქართულ და იტალიურ ენებზე დაბეჭდილ წიგნებსა და ხელნაწერებში. 3. შუხარდტს არ უნახავს აპოლინარე ვალენსელის ნაშრომი. როგორც თავად აღნიშნავს, მან სწორედ როკო და ჩეზინალეს „ისტორიის“ გაცნობის შემდეგ, 1896 წ.-ის გაზაფხულზე მოიკვლია კაპუცინთა მონასტრის არქივის ხელნაწერთა კოლექცია;

VI. აპოლინარე ვალენსელის შემდეგ საკვლევ ხელნაწერების ჩამონათვალი შეადგინეს: ჰუგო შუხარდტმა – 1896 წელს (11 დასახელება), მიხეილ თა-მარაშვილმა – 1902 წელს (13 დასახელება), უცნობმა იტალიელმა არქივარიუსებმა – XIX ს.-ის მეორე ნახევარში (15 დასახელება; სიის პირი თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ალექსანდრე ცაგარლის ფონდში ინახება) და გაეტის ეპარქიის მღვდელმა ვინჩენცო დი დონამ – 1912 წელს (15 დასახელება). ზემოაღნიშნული ხელნაწერებიდან 15 საარქივო ერთეული უწმინდესი სამების სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის პრეზიდენტმა ვინჩენცო ბალცანომ და თავშესაფრის მდივანმა ვინჩენცო ავენამ 1936 წლის 7 თებერვლით დათარიღებული აქტით გადასცეს ნეაპოლის ეროვნული სამეფო ბიბლიოთეკის ოფიციალურ წარმომადგენელს, ბიბლიოგრაფიული სექტორის ხელმძღვანელს, პროფესორ რაფაელე კანტარელას;

VII. სხვადასხვა მეცნიერის მიერ შედგენილ ჩამონათვალში სხვადასხვანაირადაა მითითებული ხელნაწერთა რაოდენობა, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ზოგიერთი მეცნიერი მხოლოდ ქართულ ხელნაწერებს ასახელებს, ზოგიერთი კი – სხვაენოვან ხელნაწერებსაც.

ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებას განაპირობებს ისიც, რომ ერთ ხელნაწერში, მაშასადამე, ერთ საარქივო ერთეულში მოთავსებული თხზულებები ცალკე ხელნაწერებადაა დასახელებული. მაგალითად, როგორც მიხეილ თამარაშვილის შემდეგ შედგენილ აღწერილობებზე დაკვირვება გვარწმუნებს, მის მიერ შედგენილ ჩამონათვალში მითითებული „რომანცი ან ქართული ზღაპარი „ბაამა“, „ქართლის ცხოვრება“ და „განთქმული პატარა პოემა რესკარიანისა“ სინამდვილეში ერთ ხელნაწერშია მოთავსებული;

VIII. ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, 1936 წელს საკვლევი ხელნაწერების ნეაპოლის ეროვნული სამეფო ბიბლიოთეკისათვის გადაცემის აქტისეული ჩამონათვალი ზუსტად ასახავს ხელნაწერთა ამჟამინდელ ვითარებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკას მას შემდეგ აღარ მიუღია სხვა ქართული ხელნაწერები და აღარც რომელიმე ხელნაწერი დაკარგულა. ამავე დროს, ზუსტად შეიძლება იმის დადგენაც, თუ რომელი ხელნაწერები დაიკარგა 1886-1936 წლებში. დაკარგულია მხოლოდ ერთი ქართული ხელნაწერი, ანუ ის, რომელიც შეიცავდა „რომანცს ან ქართულ ზღაპარ «ბაამას»“, „ქართლის ცხოვრების“ ზემოაღნიშნულ ფრაგმენტსა და „პატარა პოემა რესკარიანის“;

IX. ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შიფრით „XX.122“ დაცულია შემდეგი მასალები: 1) კარდინალ ბელარმინის „მოკლე კატეხიზმოს“ ბერნარდე ნეაპოლელის მიერ იტალიურიდან შესრულებული ქართული თარგმანი, რომელიც რომში დაიბეჭდა 1681 წელს, 2) ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ჩაწერილი 12 ზღაპარი და ერთი პოემის ფრაგმენტი ქართულად, 3) ერთად შეკრული ორი „ლოცვანი“ სომხურად, რომლებიც რომში დაიბეჭდა 1666-1667 წწ.-ში, 4) ბერნარდე ნეაპოლელის მიერ შედგენილი იტალიურ-ქართული ლექსიკონი, 5) მის მიერვე ერთ ხელნაწერ წიგნაკში გადანუსხული XVII ს.-ის ისტორიულ პირთა ბარათები, 6) სხვადასხვა პირის რამდენიმე წერილი (შენახვის ცუდი მდგომარეობის გამო რესტავრაციამდე აკრძალულია მათი ნახვა), 7) ბერნარდე ნეაპოლელის მიერ გადანუსხული

„პავლენი“ და „სამოციქულონი“, 8) მის მიერვე ქართულ და იტალიურ ენებზე დიალოგის ფორმით შედგენილი თეოლოგიური ტრაქტატი სულიწმიდის მოვლინების შესახებ, 9) სხვადასხვა პირის მიერ ბერნარდე ნეაპოლელისადმი მიწერილი წერილები და მის მიერ იტალიურიდან ქართულად თარგმნილი „რიგი ცხორებისა“, 10) მის მიერვე ასომთავრულსა და მხედრულში ხელის გასაწაფად შესრულებული კალიგრაფიული ნიმუშები: ქართული ანბანი, გრაფემათა ფონოლოგიური მნიშვნელობანი და ასოთა გადაბმანი; 11) კარდინალ ბელარმინის „დიდი კატეხიზმოს“ ბერნარდე ნეაპოლელის მიერ იტალიურიდან შესრულებული ქართული თარგმანი, 12) მის მიერვე იტალიურიდან ქართულად თარგმნილი „კატეხიზმო“, ანუ „საგონებელი საქრისტიანო დღითი დღედ თუემდის“, 13) მის მიერვე იტალიურიდან ქართულად თარგმნილი ფრანცისკ სალესელის (1567-1622) „ფილოტეა“, ანუ „საღვთისმოსავო ცხოვრება“, 14) მის მიერვე შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, 15) მის მიერვე გადანუსხული „სახარება-ოთხთავი“;

X. ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საარქივო მასალები წარმოდგენას გვიქმნის იმ მეცნიერთა ვინაობის შესახებაც, ვინც დაინტერესდა საკვლევე ფონდის შესწავლით.

უკვე შევადგინე საკვლევ ხელნაწერთა სრული აღწერილობა, რომელიც ახლო მომავალში დაისტამბება იტალიაში. გარდა გარდა ამისა, გადმოვიწერე ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ქართულ და იტალიურ ენებზე დიალოგის ფორმით შედგენილი თეოლოგიური ტრაქტატი სულიწმიდის მოვლინების შესახებ; ამჟამად ვმუშაობ ტექსტის ფილოლოგიურ და თეოლოგიურ კომენტარებზე. ამავე დროს, მივაკვლიე და გამოსაცემად ვამზადებ კაპუცინი ბერის მიერ გადანუსხულ XVII ს.-ის ისტორიული პირების მიმოწერის ზოგიერთ ორიგინალს. რაც შეეხება ჟამთააღმწერლის ე. წ. „ასწლოვანი მატანის“ უძველეს ფრაგმენტულ ნუსხას, რის გამოც წამოვიწყე კვლევა-ძიება, მას საბოლოოდ მხოლოდ მაშინ ჩავთვლი დაკარგულად, როდესაც გავეცნობი ბერნარდე

ნეპოლელის სრულ ხელნაწერ მასალებს რამდენიმე სხვა არქივსა და ხელნაწერთა კერძო კოლექციაში, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო დღემდე ვერ მოვახერხე.

In the Wake of the Manuscripts of Bernarde of Naples

Gaga Shurgaia

Doctor of Ecclesiastical Sciences, Researcher of the Chair of the Cultures of Asia and North Africa, 'Ca'Foscari State University of Venice, Pontifical Professor of the Oriental Institute, Research Consultant of the Vatican Apostolic Library.

Abstract: The paper deals with the history of the manuscript materials of Bernarde of Naples, a Capuchin monk on a mission to Georgia in 1670-1677. In particular, it has transpired that originally the materials were preserved in the library of the monastery of Capuchins, and on 7 February 1936 they were moved to the National Royal Library (at present National Library of Naples), where they are preserved to the present day, under the call number "XX. 122". A study of the lists drawn up by various scholars in the 18th-20th centuries, has shown that in 1886-1936 one Georgian manuscript of Bernarde of Naples was lost, which contained the "Romance" or the Georgian Fairy Tale "Baama", an earliest, forty-page fragment of the so-called chronicle of "One Hundred Years" of the "Zhamtaaghmtsereli", and "A small poem "Reskariani".

Key words: *Bernarde of Naples, Georgian manuscript, the library of the monastery of Capuchins*

While working on an annotated biobibliography of Academician Hellen Metreveli in Tbilisi in the summer of 2007, the late Professor Valeri Silogava showed me an old fragment of *Kartlis Tskhovreba* in two pages (H-1076), namely of the "Chronicle of one Hundred Years" by an anonymous author. It had earlier belonged to the Italian monk Antonio Cioffi who had sojourned in Kartli in the 1670s. The fragments had been brought to Georgia by Mikheil Tamarashvili from the monastery of Franciscan Capuchin monks at

Torre del Greco close to Naples. Mr. Silogava suggested that, upon my return to Italy, I should look for the remaining part of the cited fragment. According to Tamarashvili, the fragment in question was comprised of 40 pages.

Upon my return to Italy I began to search for the manuscript. It transpired that the Torre del Greco Monastery of Franciscan Capuchin monks had been closed down, and part of its library transferred to the municipal library of the same commune.

In February 2008 I visited the municipal library of Torre del Greco and familiarized myself with the books of the Capuchin monastery, numbering up to three thousand printed volumes, most of them dating from the 16th-17th centuries. At the time of my visit, two thousand books were kept in a special facility: only 956 of these volumes were catalogued; the remaining books and fragments of MSS were scattered about in another room. I looked through each of them in the hope of lighting upon the MS of our interest in some volume. Unfortunately, all my attempts failed: neither the fragment H-1076 of the work of the Chronicle of One Hundred Years nor the archive of the monastery could be found. I conjectured that, upon the closure of the monastery, the MSS might have been moved to the central historical archive of the Order of the Capuchins. While searching for the archive of the Torre Capuchins, I addressed the Institute of the History of the Capuchins for assistance. The archivist of the Institute's Archives, Father Alexander Horowski sent me an E-mail on 4 May 2008, saying: "I have studied our general archive (of the order), but the MSS of Bernarde Maria of Naples [or of Antonio Gioffi – *G. Sh.*] were not to be found here. In the section assigned to the Catholic Mission [sent to Georgia] we have only copies of the documents that are preserved in the Archive of the *Sacra Congregazione di Propaganda Fide*. The archive of the Monastery of Torre del Greco may well have been abolished in the 19th century – in Napoleon's time or later. In Italy, the provincial archives of the Capuchins prior to the 19th century are kept in the archive of the Milan province, while other materials are scattered throughout [Italy's] state archives or in Paris".

The reply of the archivist convinced me once again that in order to trace the MSS in question it was necessary to make a thorough study of the history of the Monastery itself and to identify the person of Antonio Cioffi, the more so that the time of his stay in Georgia coincides directly with the period of activity in Georgia of Bernarde of Naples, well known to the Georgian community.

The research carried out by me to date along these lines has led me to the following conclusions:

1. The Torre del Greco commune is first mentioned on a parchment dated 23 May 1019. In 1568 the Municipality of Torre del Greco bought a plot of land from Tommaso Cuciniello and Ferdinando Brancaccio, turning the plot over to Capuchin monks as a gift. In 1574 the monks built a monastery and the church of the Annunciation here. The monastery played a significant role not only in the life of Torre del Greco but, in general, in the cultural life of the entire south Italy and the missionary activity of the Catholic Church. Following the fall of the Pontifical's state in 1861 and the unification of Italy, according to the law passed on the closing down of the monasteries, the monastery of the Capuchin monks was officially abolished. In 1867 its building came under the management of the town council of Torre del Greco, and in the same year the latter turned it over to the Holy Trinity Asylum for Homeless Children. The Asylum was not under the guardianship of the Franciscan monks of Alcantara, as was hitherto believed by researchers, but under the trusteeship of the Franciscan monks of the Stigmata Order of St. Francis of Assisi. None of the Stigmata monks held a teacher's diploma. Hence, later, on 11 September 1879, in conformity with the then legislation on education, the Order was stripped of the right of trusteeship of the asylum for homeless. This is how the Franciscan monks of Alcantara became the trustees of the asylum, fulfilling this mission to the end of the 1976-1977 academic year.

2. Antonio Cioffi, the same Cioffo (1628-2.02.1697), born in 1628 in Naples, ministered in the monastery of Torre del Greco. He took the monastic vows on 14 January 1653 under the name of

Bernarde Maria. It can be said with certainty that this is the same Bernarde of Naples, well known to the Georgian public as a missionary who resided in Georgia in 1670-1677. He mastered the Georgian language perfectly and left behind unique material in the Georgian and Italian languages about the Georgia of that period. His correspondence in this country with his spiritual children and acquaintances and friends shows that he did not sever contacts with his spiritual children and friends following his return to Naples (1677) and after his election (in 1686) as governor (head) of the Naples province of the Order of the Capuchins.

3. In 1896 the major part of the library of the Capuchin monastery (2649 printed books, according to the catalogue of Francisco Castaldi, a Torre historian) was moved first to the city hall of Torre del Greco, and later to the communal library of Torre del Greco. As to the Georgian MSS of Bernarde Maria of Naples, these – as the most valuable part of the Capuchin library – were left under the care of the Mother-Superior of the nunnery of Alcantara. On the basis of the decision of the Italian Ministry of National Education of 20 November 1935, the City Hall transferred these MSS to the National Royal Library of Naples (today Naples's National Royal Library), where they are kept to the present day (call number "XX. 122").

4. The Georgian public learnt about the existence of the Torre del Greco MSS in 1896, when the well-known Austrian Kartvelologist Hugo Schuchardt published the Georgian version of his article "Torre del Greco's Georgian Manuscripts" in the journal *Iveria*, printed in the same year in the German newspaper *Beilage zur Allgemeinen Zeitung*. Georgian society is also aware of Mikheil Tamarashvili's list of the above-noted MSS, compiled later. Yet, to date the brief descriptions that pre-date Schuchardt's description and those compiled after Tamarashvili's listing, which are of considerable value in shedding light on moot questions connected with the MSS under study, are unknown.

5. The first reports on the works of Bernarde of Naples are to be found in a hitherto unpublished work written by Emanuel of

Naples in the mid-18th century, entitled “Historical-chronological Evidence on the Junior Capuchin Brethren of the Naples Province”. However, specialists first learnt about this work in 1873 thanks to Rocco de Chesinalle, historian of the Order of Capuchins. In volume three of his “History of the Capuchin Mission” special attention is given to Bernarde of Naples, his erudition in philosophy and theology is noted, the story of his fruitful missionary activity is told, and seven works are named, written by him in Georgian, translated or simply listed. It is on the evidence of these two historians that the book “The Library of the Capuchin Brethren of Naples Province”, printed by the Capuchin monk Apollinare of Valence in 1886, is based. The latter book names eleven archival units of the MSS under study, and highly noteworthy codicological data on them are cited. The list of Apollinare of Valence contains not only all the works named by Rocco da Chesinalle, but other works as well that are given in books and MSS printed in Georgian and Italian. H. Schuchardt had not seen the work of Apollinare of Valence. As he himself notes, it was after he familiarized himself with Rocco da Chesinalle’s “History” that he studied the collection of the Archive of the Monastery of Capuchins in the spring of 1896.

6. After Apollinare of Valence lists of the MSS in question were compiled by: Hugo Schuchardt, 1896 (11 titles), Mikheil Tamarashvili, 1902 (13 titles), anonymous Italian archivists in the second half of the 19th century (15 titles) Vincenzo Di Donna, priest of the Gaeta eparchy, 1912 (15 titles), as well as by an anonymous Italian archivist (15 titles), a copy of whose brief description is preserved in the Aleksandre Tsagareli *fonds* of the National Centre of Manuscripts in Tbilisi. Of the above MSS 15 archival units were transferred by the President of the Holy Trinity Asylum of Homeless Children Vincenzo Balzano and the Secretary of the Asylum Vincenzo Avernia to Professor Raffaele Cantarella, official representative of the National Royal Library of Naples, Head of the Bibliographic Department, by a deed dated 7 February 1936.

7. The number of MSS differs in lists compiled by various scholars, which must be due to the fact that some scholars name only

Georgian MSS, while others the other-language MSS as well. In some cases the difference is due to the naming of works as MS, i.e. an archival unit as a separate MS. For example, observation of the descriptions compiled after Mikheil Tamarashvili, in the list compiled by him the numbers 2, 3 and 13. “Romance or the Georgian fairy-tale “Baama”, “Kartlis Tskovreba” and “The renowned short poem of Reskariani”, respectively, are actually included in one MS.

8. Notwithstanding some imprecisions, the list of the Deed of transfer of the MSS under discussion to the National Royal Library of Naples in 1936 reflects precisely the present situation. This means that since then the library has not received any other Georgian MSS, nor has any MS been lost. At the same time, it can be determined precisely which MS was lost in the 1886-1936 period. Only one Georgian MS is lost, i.e. the one that contained “The Romance or Georgian Fairy-tale “Baama”, the above-noted fragment of “Kartlis Tskhovreba” and the “Short Poem of Reskariani”.

9. The following materials are preserved in the Neapolitan National Library under the call number: XX.122. a) The “Short Catechism” of Cardinal Bellarmino, translated from the Italian into Georgian by Bernarde of Naples, printed in Rome in 1681; b) 12 fairytales recorded in Georgian by Bernarde of Naples; c) two “Prayer-books” in Armenian, bound together, printed in Rome in 1666-1667; d) an Italian-Georgian dictionary, compiled by Bernarde of Naples; e) a list of 17th century historical persons, copied by him in a manuscript notebook; f) several letters of several persons; g) “Paul’s letters” and the “Acts of the Apostles”, copied by Bernarde of Naples; h) a theological treatise on the descent of the holy spirit, compiled in dialogue form by him in Georgian and Italian; i) letters written by various persons to Bernarde of Naples and his translation from Italian into Georgian of the “Order of Life”; j) his own calligraphic specimens, done to practice his hand: the Georgian Alphabet, the phonological values of graphemes and joining of letters; k) the “Great Catechism” of Cardinal Bellarmino, translated into Georgian from Italian by Bernarde of Naples; l) his translation of “Catechism” or “For Christian Meditation from Day to Day to a Month” from Italian

into Georgian; m) his translation from Italian into Georgian of “Philothea” or “Devout Life” by St. Francis of Sales; n) “A Georgian-Italian Dictionary”, compiled by him. o) The “Four Gospels”, copied by him.

10. The archival materials preserved at the Neapolitan National Library help us form an idea about the identity of the scholars who became interested in the study of the *fonds* under discussion.

I have already compiled a comprehensive description of the MSS under study in Italian, which will be printed in the near future in Italy. Besides, I have copied the theological treatise on the descent of the Holy Spirit, compiled in dialogue form in Georgian and Italian by Bernarde of Naples. At present I am working on the philological and theological commentaries of the text. At the same time I have traced and am preparing for publication the originals of the copies of the correspondence of 17th century historical figures, made by a Capuchin monk. As to the early fragmentary MS of the so-called “Chronicle of One Hundred Years”, for which I engaged in this research, I shall consider it finally lost only after I acquaint myself with the comprehensive manuscript material of Bernarde of Naples in several more archives, and in private collections of MSS, which I have so far failed to do for various reasons.

მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის შეფასებისათვის

თამაზ ჯოლოგუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

რეზიუმე: მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის (1844-1854) `კავკასიური პოლიტიკის` შეფასება როგორც ქართულ, ისე რუსულ წყაროებსა თუ ლიტერატურაში დიამეტრულად განსხვავებულია – უაღრესად პოზიტიურიდან (დ. ყიფიანი, ა. წერეთელი, მ. შერბინინი, მ. მაკიევსკი-ზუბოვი, ა. ჯორჯაძე, მ. თამარაშვილი, შ. ამირეჯიბი, ს. ყუბანეიშვილი...) უკიდურესად ნეგატიურამდე (ნ. ავალიშვილი, მ. კატკოვი, ვახტ. კოტეტიშვილი, ლ. ასათიანი, გ. აბზიანიძე, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია...). საკითხის სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ მ. ვორონცოვი კავკასიაში ჩამოვიდა საფუძვლიანად გააზრებული რეფორმისტული გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს (ზოგადად – კავკასიის) პოლიტიკურ-ეკონომიკურ შერწყმას რუსეთის იმპერიაში და ამასთანავე, ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებას. მეფისნაცვლის ამ გეგმის პრაქტიკულმა განხორციელებამ 1840-1850 წწ. საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, მისი ინტენსიური და შეუქცევადი ევროპეიზაცია, გამოიწვია.

ვორონცოვის ხელშეწყობითა და ქართველ მოღვაწეთა განმსაზღვრელი მნიშვნელობის მონაწილეობით გაშლილმა მიზანმიმართულმა და გეგმაზომიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკამ წარმოშვა პროცესი, რომელიც 1860-იან წწ. ი. ჭავჭავაძის (ზოგადად – `თერგდალეულთა`) მიერ ახალი დროის მოთხოვნათა შესაფერისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შექმნითა და დამკვიდრებით დასრულდა.

საკვანძო სიტყვები: *ვორონცოვი, „კავკასიური პოლიტიკა“, ევროპეიზაცია, „თერგდალეულები“*

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი ნიშანი ის იყო, რომ ახალდაპყრობილი მხარე (Край; იმპერიის განაპირა მხარე – Украина) განიხილებოდა ასიმილაციური მანიპულაციების სარეალიზაციო ერთიან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სივრცედ და იგნორირებული იყო არსებითი მნიშვნელობის გარემოება – კავკასია სინამდვილეში სხვადასხვა ისტორიის, კულტურის, განსხვავებული ეროვნული ინდივიდუალობის მქონე ერების სამშობლო იყო. საკუთრივ საქართველოში ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა კურსმა მკაფიო ფორმულირება პოვა `კავკასიური პრობლემისადმი` მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვის (1816-1827) დამოკიდებულებაში: `არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის საკითხი იარსებებს` [4, გვ. 30].

`კავკასიური პრობლემის` ამგვარ გადაწყვეტას ხისტი და სწორხაზოვანი პოლიტიკური კურსითა და მეტ-ნაკლები `წარმატებით` ცდილობდნენ კავკასიის მომდევნო მმართველებიც (ივ. პასკევიჩი, გრ. როზენი, ე. გოლოვინი, ალ. ნეიდგარტი), თუმცა 1840-იან წლებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ეს არსებითი ხასიათის ცვლილება დაკავშირებულია მიხეილ ვორონცოვის `კავკასიურ პოლიტიკასთან`.

1840-იანი წლების დასაწყისში, ერთი მხრივ, უაღრესად გამწვავდა მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც შამილმა რუსულ ჯარებზე ზედიზედ მოიპოვა შთამბეჭდავი გამარჯვებები; ამასთანავე, ახალი ძალა და მასშტაბები შეიძინა მიურიდიზმმაც, რომელიც ყოველი არამართლმორწმუნის (არამუსლიმის) უპირობო ფიზიკურ განადგურებას ითვალისწინებდა და ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიკოლონიალური ბრძოლის არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური იდეოლოგიის ქვაკუთხედად იქცა. მეორე მხრივ, პოლიტიკური რეჟიმისადმი ქართველი თავადაზნაურობის `სერვილური` დამოკიდებულება ქმნიდა საფუძველს, ამიერკავკასია ზოგადად და, კერძოდ, საქართველო სამხედროდან სამოქალაქო მმართველობით სისტემაზე

გადასულიყო და იგივე ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის მონარქიას კავკასიაში იმპერიული პოლიტიკის მოკავშირედ და დასაყრდენად გადაექცია.

ასეთ ვითარებაში ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, კავკასიის მართვა ჩაებარებინა ისეთი პიროვნებისათვის, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო და დიპლომატიური ნიჭი და პრაქტიკული შესაძლებლობები. 1844 წლის დეკემბერში იმპერატორის არჩევანი შეჩერდა გრაფ მიხეილ ვორონცოვზე (1782-1856), რომელიც იმ დროისათვის იყო რუსეთსა და ევროპაში სახელმწიფო გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის სრულუფლებიანი ნამესტნიკი. ამასთანავე, ვორონცოვი იყო უაღრესად განათლებული და დიპლომატიური უნარით აღჭურვილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ჯერ კიდევ 1800-იანი წლების დასაწყისში მსახურობდა საქართველოში მთავარმართებელ პავლე ციციანოვთან და იცნობდა ამიერკავკასიასა და მის თავისებურებებს [12, 8-22].

თავის მხრივ, ვორონცოვმა წამოაყენა აუცილებელი პირობა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის გარდაქმნას სამეფისნაცვლოდ და მეფისნაცვლისათვის გადაწყვეტილებათა მიღების საგანგებო, რუსეთის იმპერიისათვის უპრეცედენტო უფლების მინიჭებას – არსებითად პირდაპირ იმპერატორს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნას, რისი პირობაც ვორონცოვმა ნიკოლოზ პირველისგან მიიღო კიდევ (კავკასიაში წამოსვლის წინ იმპერატორმა ვორონცოვს უთხრა: "შენ იქნები ალტერ ეგო" [13, გვ. 301].

ბრიტანეთში განსწავლულ, ბრიტანულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებაზე აღზრდილ მიხეილ ვორონცოვს სწამდა, რომ *ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა მისი სისუსტის მაჩვენებელი*. იგი კავკასიაში ჩამოვიდა ფართო და საფუძვლიანი რეფორმისტული გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, საქართველოს (ზოგადად,

კავკასიის) უმტკივნეულო პოლიტიკურ-ეკონომიკურ შერწყმას რუსეთის ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოებრივ სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ, *ევროპეიზაციის გზით* ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას.

ვორონცოვის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში, მისივე ინიციატივითა თუ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მხარდაჭერით თბილისში დაარსდა რუსული და ქართული თეატრები, იტალიური ოპერა, საბალეტო დასი, საჯარო ბიბლიოთეკა, სალიტერატურო ჟურნალი 'ცისკარი', კავკასიის მუზეუმი, 'რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება' (თავისი პერიოდული გამოცემით), კავკასიის სასწავლო ოლქი, ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენისა და სიტყვიერების სავალდებულო სწავლებამ (მათ შორის, არაქართველთა და იმ სამხედრო პირთა შვილებისათვის, რომლებიც მხოლოდ დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში), ახალგაზრდებისათვის ხაზინის ხარჯზე დაარსდა 160 სტიპენდია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად, გაიხსნა გიმნაზიები თბილისსა (კომერციული) და ქუთაისში, მთელი საქართველოს მასშტაბით დაფუძნდა სკოლები (ბიჭვინთა, ოზურგეთი, თიანეთი და სხვ.). ვორონცოვმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ქალთა განათლებაზე, რისთვისაც თბილისსა და ქუთაისში დააფუძნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები და რეალური შინაარსი და ფუნქცია მისცა თბილისშივე 1840 წელს დაარსებულ 'ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტს' (1855 წლის მონაცემებით, საქართველოში უკვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის 147 სასწავლებელი 6023 მოწაფით _ 3, გვ. 298-300).

ვორონცოვი უშუალოდ მეურვეობდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციას, ისტორიული ძეგლებისა და ეკლესიამონასტრების აღდგენა-რესტავრაციას, ძველი ქართული ტექსტების გამოცემას (ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით; მანვე მიავლინა 1849 წელს პ. იოსელიანი ათონის ქართულ მონასტერში იქ დაცული სიძველეების შესასწავლად), იწვევდა

რუს და უცხოელ მეცნიერებს (მ. ბროსე, გ. აბიხი, ი. ბარტოლომეი, ა. მურავიოვი, ნ. ხანიკოვი და სხვ.), მორალურად თუ მატერიალურად ხელს უწყობდა ლიტერატურული პროცესების აღორძინებასა და განვითარებას, მისი უშუალო დავალებით დ. მეღვინეთუხუცესიშვილმა არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა უფლისციხე და ა. შ. საგულისხმოა, რომ 1854 წელს, როდესაც ავადმყოფობის გამო ვორონცოვი იძულებული გახდა, იმპერატორისათვის ხანგრძლივი შვებულება გამოეთხოვა (ამის მერე ვეღარც დაბრუნდა კავკასიაში), მან თავის შემცვლელს, გენერალ რეადს დაუტოვა ინსტრუქცია, რომელშიც სპეციალურადაა აღნიშნული, რომ არ უნდა შენელებულიყო კავკასიის ხელისუფლების საგანგებო ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე... [1, გვ. 99-100].

ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (სხვათა შორის, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრთა მიმართაც). როგორც ჩანს, იგი მიიჩნევდა, რომ *ქართველთა ენობრივი და კულტურული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვითმყოფადობა საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთის ერთიანი და განუყოფელი იმპერიის ფარგლებში საქართველოს, როგორც ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ჩამოყალიბებას. სარგის კაკაბაძის თვალსაზრისით, [ვორონცოვი] ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში* [5, გვ. 126]¹.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ვორონცოვს საქართველოს აღორძინების ერთადერთ გზად მიაჩნდა

¹ უნდა ვიფიქროთ, მკვლევარი აქ გულისხმობს პოლიტიკურ (ან: პოლიტიკური ელემენტების შემცველ) ავტონომიას, რამდენადაც ადმინისტრაციული ავტონომია საქართველოს (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში) ისედაც ჰქონდა და ეს თვითონ ს. კაკაბაძეს აქვს აღნიშნული: "როგორც იმპერატორის მოადგილე (ნამესტნიკი), ის (ვორონცოვი - თ. ჯ.) ემორჩილებოდა არა მინისტრებს, არამედ პირდაპირ იმპერატორს და აღჭურვილი იყო განსაკუთრებული უფლებებით კავკასიის საქმეების მოსაგვარებლად" [5, გვ. 119]

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრების ევროპეიზაცია, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ პოლიტიკას – რუსეთის მონარქია საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ რუსულ კულტურას, ცხოვრებისა და აზროვნების რუსულ წესს მიიჩნევდა (ჩვენ ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ მ. ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკაზე და აღარაფერს ვამბობთ მის ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებმაც ქართველი თავადაზნაურობის უუნარობის გამო მისი, როგორც კლასის, მატერიალური დეგრადაცია გამოიწვია და ხელი შეუწყო საქართველოში სომხური ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი ასახულია ქართულ მწერლობაში: გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი... არ ვეხებით აგრეთვე ვორონცოვის პოლიტიკას რელიგიის სფეროში. ორიოდე სიტყვით კი უნდა ითქვას, რომ იგი, ერთი მხრივ, აღიარებდა საქართველოს ეკლესიის სარწმუნოებრივ და ისტორიულ დამსახურებებს, ხოლო მეორე მხრივ, ისლამისადმი გამოვლენილი იმ დროისათვის უჩვეულო ტოლერანტობით ვორონცოვმა პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალურად განაწყო ამიერკავკასიის მუსლიმი მოსახლეობა და ამით შამილსა და ოსმალეთს კავკასიაში პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯა მოკავშირე და დასაყრდენი).

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი გახდა ქართულ ახალ კულტურის აღორძინებისათვის. მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამრთელების და განკურნების იმედმა შეიპყრო... ვორონცოვის ხანა შეიქმნა ქართულ კულტურის აღორძინების ხანად... ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება – ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად

ამისა, ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ _ ეს ოცნება რეალობად იქცა...~ [18, გვ. 104-105]. ამასთანავე, ა. ჯორჯაძე დასძენს: `ეჭვს გარეშეა, ვორონცოვი ვერ შეჰქმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისათვის საჭირო ელემენტები~ [19, გვ. 104].

ნაციონალურ-კულტურული აღორძინებისათვის `საჭირო ელემენტები~ 1840-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მართლაც არსებობდა და აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ვოლოგდის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული დიმიტრი ყიფიანის `ეროვნული ხსნის პროგრამა~, რომელიც დაფუძნებული იყო თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგიაზე და ითვალისწინება განათლების გავრცელების გზით რუსეთის იმპერიის ფარგლებშივე ქართული კულტურისა და საერთო-ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას. საამისოდ გადადგმული იყო კიდევაც პირველი ნაბიჯები. კერძოდ, 1842 წელს დ. ყიფიანმა დააარსა `ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა~ _ საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული პირველი საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის წევრები იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვ. ორბელიანები, მ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანდიშვილი და სხვ. [16, გვ. 74-95]. უნდა აღინიშნოს მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონიც, სადაც წარმოიშვა და დამუშავდა არაერთი ეროვნული მნიშვნელობის იდეა (პროფესიული ქართული თეატრის ჩამოყალიბება, ჟურნალ `ცისკრის~ დაარსება და სხვ.) [2, გვ. 181-190].

ქართველ მოღვაწეთა მოწინავე ნაწილისა და ვორონცოვის გეგმები დაემთხვა ერთმანეთს და ამგვარმა უნისონმა კულტურის სფეროში ხელისუფლებისა და საზოგადოების სათანამშრომლოდ შექმნა მყარი საფუძველი მისგან გამომდინარე უაღრესად პოზიტიური შედეგებით. უნდა

ითქვას, რომ თავისი ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებისას ვორონცოვმა მთავარ თანამშრომლად და დასაყრდენად აირჩია დ. ყიფიანი, რომელსაც, ბარონ ალ. ნიკოლაის მიერ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაგზავნილი კონფიდენციალური მოხსენების მიხედვით, მიიჩნევდნენ `ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებედ` [17, გვ. 227] და ს. კაკაბაძეც მას უწოდებს `ავტონომიის იდეის... თვალსაჩინო მოტრფიალეს` [5, გვ. 126]. დ. ყიფიანმა, თავის მხრივ, კავკასიაში განხორციელებული ძირეული ცვლილებები მაქსიმალურად შეუფარდა ქართველთა ეროვნულ-კულტურულ ინტერესებსა და საჭიროებებს [15, გვ. 23-26; 18; 8, გვ. 307].

ვორონცოვის `კავკასიური პოლიტიკის` შეფასება ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში დიამეტრულად განსხვავებულია _ უაღრესად პოზიტიურიდან (გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, პ. იოსელიანი, ა. ფურცელაძე, ი. მეუნარგია, ა. ჯორჯაძე, მიხ. თამარაშვილი, შ. ამირეჯიბი, ს. ყუბანეიშვილი და სხვ.) უკიდურესად ნეგატიურამდე (ნ. ავალიშვილი, ვახტ. კოტეტიშვილი, ლ. ასათიანი, ს. გერსამია, ალ. კალანდაძე, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია და სხვ.). ვახტანგ კოტეტიშვილის შეხედულებით, `ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ... ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს, _ არა ჩანს. მართალია, მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას, კულტურას თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა. და თუ ზოგჯერ ქართულ საქმეს გადმოხედავდა, ეს იყო თვალის ახვევა და შირმა... იგი ქმნიდა იმ ცენტრებს, სადაც აჩქარებით და სისტემით ხდებოდა ეროვნული დეგრადაცია...` [7, გვ. 171-172].

ვორონცოვის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ ნ. ნიკოლაძესა და, განსაკუთრებით, ალ. ორბელიანს, რომლის თხზულებებშიც ჩამოყალიბებულია ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი: `ის დრო ვარანცოვისა საქართველოში,

ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო... მითამ კაიკაცობას გვაჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა... ვარანცოვამდისინ ქართულები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვრია, შეგვაერთა ამ ცვიერმა დიპლომატმა [11, გვ. 54-57]; მეორე მხრივ, ალ. ორბელიანის თქმით, [ვორონცოვმა] მოგვცა ქართული თიატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი – `აჰა, მარადის გქონდეთ და თქვენის მამა-პაპის კარგის ენით ისიამოვნეთო... კნიაზ ვარანცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული განვითარებული და სურდა ჭეშმარიტად ჩვენი კეთილი [10, გვ. 129-130].

ქართულ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვორონცოვის `კავკასიური პოლიტიკისადმი` ნეგატიურ დამოკიდებულებას საფუძვლად ძირითადად ორი წყარო დაედო: ა) ალ. ორბელიანის ზემოხსენებული პირველი თვალსაზრისი (თუმცა იგნორირებულია მისივე მეორე – პირველის გამომრიცხავი – შეხედულება) და ბ) ვორონცოვის მიერ ნიკოლოზ პირველისათვის წარდგენილი 1849-1851 წწ. ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: `დაარსდა თეატრი, ლიტერატურა გამოცოცხლდა, წიგნები იბეჭდება, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს – თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა კეთილინებებს და ჩათვლის, რომ ამგვარი შედეგი უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს განათლების გავრცელებაზე, გემოვნების განვითარებაზე, ზნე-ჩვეულებათა დახვეწასა და რუსებში ადგილობრივთა შერწყმაზე` (...слияние туземцев с русскими) [1, გვ. 881].

ვორონცოვი იმპერატორს, ცხადია, ვერ მისწერდა, რუსებისგან ქართველების ჩამოშორება მსურსო და, რაც მთავარია, მას არც ჰქონია ამგვარი განზრახვა. პირიქით, ვორონცოვის `კავკასიური პოლიტიკის` მიზანდასახულობა, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ეს იყო – რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია, ოღონდ აუცილებლად ქართველთა ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და აღორძინებით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი

მოღვაწეებისათვის, – დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, – სავსებით მისაღები აღმოჩნდა ასეთი პერსპექტივა, მით უმეტეს, *ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის ევროპეიზაციის გზით*. დ. ყიფიანისადმი, – იმდროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურისა და თვალსაჩინო ევროპეისტისადმი, – მიმღვნილ ერთ-ერთ ნაშრომში ა. ჯორჯაძე აღნიშნავს: `დიად, ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი – ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ `ქართველობა` მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...` [19].

ვორონცოვის `კავკასიური პოლიტიკისადმი` დამოკიდებულება არც რუსეთში იყო ერთგვაროვანი. ვორონცოვის მმართველობის წლებშივე მის კურსს აკრიტიკებდნენ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ, ისე რუსეთის ცენტრალურ მმართველობით სფეროებში, ხოლო მოგვიანებით გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და არსებითად რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგიის მეთაური 1860-1880 წლებში მიხეილ კატკოვი ვორონცოვს უწოდებდა ლიბერალიზმის სახელით ნაციონალური ინტერესების უგულვებელმოფელს, არარუსული თვითშეგნებისა და კავკასიაში სეპარატიზმის წამახალისებელ მმართველს და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში; ამასთანავე, ამტკიცებდა – სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია კავკასიაში რუსი დამცირებულ და შეურაცხყოფილ, არსებითად მეორეხარისხოვან ადამიანადო [6. გვ. 554].

ვორონცოვი თვალსაჩინო ფიგურაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში (ლექსები, პუბლიცისტიკა, მემუარები, პოემა

ვორონცოვი). აკაკის თხზულებებში ვორონცოვის სახე წარმოჩენილია როგორც პიროვნებისა და მმართველისა, რომელიც იყო საქართველოში მშობისა და სიყვარულის დამნერგავი (ზეზიას ნაამბობი), უსამართლობით გატანჯული ერის გულისტკივილის გამზიარებელი (ქართველი ძეგლის წინ), ქართველი ხალხის მამაშვილურად მოყვარული, რომლის ხელშიც საქართველომ `სული იბრუნა` (ვარანცოვის ძეგლი), ცით მოვლენილი... ზეკაცი, რომელმაც საქართველოში გაავრცელა სწავლა-განათლება და ჩაჰწერა წრფელი სიყვარული (ვორონცოვი), მმართველი, რომელსაც აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივს სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა (ჩემი თავგადასავალი), ქართული მწერლობის ქომაგი და მასზე უანგაროდ მზრუნველი (მცირე შენიშვნა) და ა. შ.; აკაკი ეკამათება იმათ, რომლებიც საქართველოზე ვორონცოვის ზრუნვას ფარისევლობად მიიჩნევდნენ და აღნიშნავს: `ბრალი არა აქვს, სხვის ხელში / მისი ნამყენი თუ გახმა...` (ვარანცოვის ძეგლი).

აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელი პატივისცემა ვორონცოვის მიმართ და მანვე მოგვცა, ჩვენი აზრით, ვორონცოვის `კავკასიური პოლიტიკის` ყველაზე ლაკონური და ზუსტი შეფასება – *ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა როგორც `პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით` და ამას იგი აკეთებდა `საევროპიო სწორის გზით`* (ქართული თეატრის დაარსება საქართველოში [14, გვ. 458]. ანალოგიურ თვალსაზრისს იმეორებს ა. წერეთელი 1912 წელს დაწერილ კიდევ ერთ თხზულებაში `ნარკვევი` (რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა... [14, გვ. 492].

ვორონცოვის `კავკასიურ პოლიტიკასა` და მისგან გამოწვეულ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებს, ვფიქრობთ, პირდაპირი კავშირი აქვს 1860-იანი წლების საზოგადოებრივ და სალიტერატურო ვითარებასთან და, ამ მხრივ, მართებული გვგონია ქ. ნინიძის შეხედულება: `ეს (თერგდალეულთა – თ. ჯ.) ფენა ყალიბდება ვორონცოვის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად` (9, გვ. 68). საქმე ისაა,

რომ თითქმის ყველა ენობრივი თუ ლიტერატურული პრობლემა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა და ამა თუ იმ ფორმით დაამუშავა 1860-იან წლებში, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით უკვე დასმული იყო წინა ათწლეულში (ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობა, ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის, მთარგმნელობითი პოლიტიკის და სხვ. საკითხები).

ერთი სიტყვით, 1860-იანი წლებისათვის მომზადებული იყო ნიადაგი ახალი, დროის მოთხოვნათა შესაფერისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. დიდად საგულისხმოა, რომ ი. ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში მოევლინა ქვეყანას, როცა წარსულს ბარდებოდა ვორონცოვის მიერ გატარებული ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ახალი ფორმებით საქართველოს რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი იქნებოდა (თუ შეუძლებელი არა) ნოვატორული კულტურულ-იდეოლოგიური სისტემების შექმნა ვორონცოვისდროინდელი მონარქისტულ-კონსერვატორული მსოფლმხედველობით, პოლიტიკური რეჟიმისადმი გამოცხადებული უპირობო ლოიალიზმითა და არსებული კულტურულ-ინტელექტუალური რესურსებით. ამდენად, ეროვნულმა სასიცოცხლო ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის სიცოცხლისა და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე მაინცდამაინც მაშინ წარმოშვა, როცა ამისი სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია თავის პროგრამულ თხზულებაში `საქართველოს მოამბეზედ` ზოგადად ამბობდა: `გენიოსი ნაყოფია თავის დროებისაო~ (ილია აქ `გენიოსში`

წინამძღოლს გულისხმობს), თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უნდა გავრცელდეს – ილია ჭავჭავაძე ნაყოფია იმ `დროებისა`, რომლის ფესვებიც, გარდა ნაციონალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციებისა, ვორონცოვის `კავკასიურ პოლიტიკაშიც` უნდა ვეძებოთ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. X. Тфл., 1885.
2. ბალახაშვილი, ი., ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბ., 1940.
3. თავზიშვილი, გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I. ი. ბოცვაძის რედაქციით, თბ., 1974.
4. "Ноздрей к ноздре". По поводу решения "грузинского вопроса" г. Максимовым: `ივერია`. #30. პარიზი, 1986,
5. კაკაბაძე ს., ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921). თბ., 1997.
6. Катков, М. Н. Собрание передовых статей Московских Ведомостей (1865 год). М., 1897.
7. კოტეტიშვილი, ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად. წგნ. I. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ., 1965.
8. ნიკოლაძე, ნ., თხზულებანი, ტ. IV. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1964.
9. ნინიძე, ქ., მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგია (ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები). თბ., 2009.
10. ორბელიანი, ალ., მე და ის. წიგნში: თ. ალექსანდრე ჯამ. ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანისა. გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1879.
11. ორბელიანი, ალ., რუსების დასი ქართულები ჩემზედ. წიგნში: ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპეზზედ. შემდგენელი ნ. ვახანია, თბ., 1999.
12. Щербинин, М. П., Биография генерал-фельдмаршала, князя Михаила Семеновича Воронцова. С.-Пб., 1858.

13. Щербинин М. П., Воспоминания. „Русский архив“. 1876, кн. III.
14. წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV. გ. აზიანის რედაქტორობით, თბ., 1961.
15. ჭიჭინაძე ზ., დიმიტრი ყიფიანი. ტფ., 1892.
16. ჯოლოგუა თ., დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბ., 2002.
17. საშვილიშვილო მოკავშირე _ დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ, ტ. II. თბ., 2007.
18. ჯორჯაძე ა., წარსულის გაკვეთილი. `დროება~, 25. XI. 1909, #262.
19. ჯორჯაძე ა., წარსულის გაკვეთილი. `დროება~, 26. XI. 1909, #263.
20. ჯორჯაძე ა., მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: ა. ჯორჯაძე, წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე, თბ., 1989.

Towards the Assessment of Viceroy Mikhail Vorontsov's Cultural-enlightenment Policy

Tamaz Jologua

Doctor of Philological Sciences, Professor, Associated Professor of the Faculty of Social and Political Sciences of Ivane Javakishvili Tbilisi State University.

Abstract: The assessment of Viceroy Mikhail Vorontsov's (1844-1854) "Caucasian policy" differs diametrically – from highly positive (D. Qipiani, A. Tsereteli, M. Shcherbinin, M. Makievski-Zubok, A. Jorjadze, M. Tamarashvili, Sh. Amirejibi, S. Qubaneishvili...) to to extremely negative (N. Avalishvili, M. Katkov, V. Kotetishvili, L. Asatiani, G. Abzianidze, R. Chkheidze, N. Vakhania...). A special study of the issue has shown that Vorontsov arrived in the Caucasus with a basically thought out reformist plan, envisaging the political and economic merger of Georgia (and the Caucasus in general) in the Russian empire, and at the same time revival of Georgian culture through Europeanization. The practical implementation of the Viceroy's plan in 1840-1850 brought about highly significant transformation of the social and cultural enlightenment life of Georgia, and intensive and irreversible Europeanization of the country.

A purposeful and planned cultural-enlightenment policy, launched with Vorontsov's support and the decisive participation of Georgian public figures, gave rise to a process that was crowned with the creation and establishment of a national ideology, based on the world view and literary principles, clearly formulated by I. Chavchavadze (generally by the "Tergdaleulis") in the 1860s.

Key words: *Vorontsov, "Caucasian policy", Europeanization, the "Tergdaleulis".*

From the early 19th century the determining feature of Russia's state policy in the Caucasus was consideration of the newly

conquered region (*krai*: the outlying region of the empire: *okraina*) as a single territorial administrative space for the implementation of assimilative manipulations. At the same time, one circumstance of crucial significance was neglected, namely that the Caucasus was the homeland of peoples of different history, culture and differing national individuality. In Georgia proper the above-cited political course was clearly formulated in the attitude of the Viceroy Aleksei Yermolov 1816-1827) to the Caucasian problem: "Georgia will not exist, and neither will the Caucasian question exist" [4, p. 30].

Such solution of the Caucasian problem was sought with more or less "success" through a rigid and straightforward policy by subsequent governors of the Caucasus (I. Paskevich, G. Rozen, E. Golytsin, A Neidgart). However, in the 1840s the situation changed drastically, and this basic change is linked to Mikhail Vorontsov's "Caucasian policy".

In the early 1840s the situation in the Northern Caucasus became extremely tense, where Shamil won impressive victories in a row over Russian troops and Muridism gained in strength and zeal. On the other hand, the servile attitude of the Georgian nobility and gentry to the political regime paved the way for south Caucasia, in general, and Georgia in particular, to change from the military to a civil system of government, turning the same Georgian nobility and gentry into an ally and mainstay of imperial policy in the Caucasus. In these circumstances, Nicholas I decided to entrust the rule of Caucasia to a person in whom political, administrative, military and diplomatic gift and practical abilities were combined. In December 1844 the emperor's choice fell on Count Mikhail Vorontsov (1782-1856), who was by the time a famed general in Russia and Europe, Member of Russia's State Council, Honorary Member of the St. Petersburg Academy of Sciences, Governor-General of Novorossiisk and plenipotentiary vicegerent in Bessarabia. At the same time, Vorontsov was a highly educated statesman endowed with diplomatic talent. Back in the 1800s he served under Pavel Tsitsianov in Georgia and was familiar with Transcaucasia and its peculiarities [12, pp. 8-22].

Educated in Britain and reared on British political and diplomatic experience, Vorontsov believed that linguistic and cultural diversity were the source of the might of the empire rather than an indication of its weakness. He arrived in the Caucasus with a broad and fundamental plan of reforms, envisaging, on the one hand, the painless political and economic merger of Georgia (and in general of the Caucasus) into Russia's single and indivisible state space, and on the other, revival and development of Georgian culture through Europeanization.

During Vorontsov's nine-year rule, on his initiative or his decisive support, Russian and Georgian theatres, an Italian opera, a ballet group, the public library, the literary magazine *Tsiskari*, the Caucasian Museum, the Caucasian Department of the Geographic Society of Russia" (with its own periodical publication), the educational region of the Caucasus were founded; the obligatory teaching of the Georgian language and literature assumed new forms and content (including for the children of non-Georgians and those servicemen who resided in the Caucasus temporarily), 160 grants were created for young people in Russia's higher educational institutions at the expense of the treasury, gymnasia were opened in Tbilisi (commercial) and Kutaisi, schools were set up throughout Georgia (Bichvinta, Ozurgeti, Tianeti, etc.). Vorontsov gave special attention to the education of women. To this end he founded women's educational institutions named after St. Nino in Tbilisi and Kutaisi, and imparted real content and function to the "Transcaucasian Womens Institute" founded in Tbilisi in 1840 (by data of 1855 various types of 147 schools with 6023 pupils already existed in Georgia – 3, pp. 298-300).

Vorontsov personally directed the study and popularization of Georgian history and Georgian culture, the restoration of historical monuments, churches and monasteries (often at his own expense; in 1849 he sent P. Ioseliani to the Georgian monastery on Mount Athos to study the antiquities preserved there; he invited Russian and foreign scientists and scholars (M. Brosset, G. Abich, I. Bartolomei, A. Muravyov, N. Khanikov, and others), gave moral and

material support to the revival and development of literary processes; at his personal request, D. Megvinetukhutsesishvili studied Uplistsikhe archaeologically, and so on. It is worth noting that in 1854 when, owing to ill health, Vorontsov was obliged to ask the Emperor to be allowed a long-term leave (after which he failed to return to the Caucasus), he gave special instructions to his successor General Read according to which special care for Georgian culture should not diminish in the Caucasus [1, pp. 99-100].

Vorontsov emphasized his respect for the Georgian language, history, culture, customs and mores (incidentally for the members of the former royal family of Kartli and Kakheti). He appears to have believed that the linguistic and cultural uniqueness of the Georgians should form the basis for the establishment of a political-administrative unit enjoying autonomous rights within the single and indivisible Russian empire. In Sargis Kakabadze's view [Vorontsov] was paving the way for Georgian autonomy within the Russian empire [5, p. 126].¹

It should be stressed that Vorontsov considered Europeanization of Georgian socio-political, socio-economic, cultural-educational and literary life as the only way to the revival of Georgia. This view was radically opposed to Russia's state and ideological policy: the Russian monarchy considered Russian culture, the Russian way of life and thinking to be the only source of Europeanism in Georgia. (I focus attention on Vorontsov's cultural-enlightenment policy, to say nothing of his economic reforms, which, owing to the impotence of Georgian nobility and gentry caused its degradation as a class, and facilitated the formation of Armenian bourgeoisie in Georgia. This process is described in Georgian literature: G. Eristavi, Z. Antonov, L. Ardaziani. Neither do

¹ The researcher seems to have implied political (or containing political elements) autonomy, for, as it is, Georgia had administrative autonomy (within Tbilisi and Kutaisi gubernias). This is noted by S. Kakabadze himself: "As the viceroy (*namestnik*) of the Emperor, he (Vorontsov – T. J.) was subordinated not to the ministers but directly to the Emperor and was invested with special rights to tackle Caucasian affairs [5, p. 119].

I touch upon Vorontsov's policy in the religious sphere, yet a few words should be said to the effect that, on the one hand, he acknowledged the religious and historical contribution of the Georgian Church, but on the other, by the tolerance of Islam, unusual by that time, Vorontsov won the loyalty of the Muslim population of Transcaucasia to the political regime, wresting an ally and basis from the hands of Shamil and Turkey in the Caucasus.

In the view of Archil Jorjadze, "The appointment of Vorontsov as Viceroy for the Caucasus proved very useful and profitable for the new revival of Georgian culture. The dormant nation awoke, as it were, and the social organism, brought to disorganization, was seized with the hope of healing and recovery... the Vorontsov era turned into one of revival of Georgian culture... Vorontsov's policy was one which Georgian political thought looked for in vain for centuries in the government circles of Russia: loyalty and close ties with Russia, and in return, ensuring the national-cultural revival of the Georgians under Russia's protection... Vorontsov was the first who boldly revived this hitherto unrealized hope. The national culture of the Georgians and Russia's protection – this dream turned into reality ..." [18, pp. 104-105]. At the same time, Jorjadze adds: "There is no doubt that Vorontsov would have failed to create a theatre or periodical press in this country, had there not been the needed elements for this in the society itself" [19, pp. 104].

"The elements needed for" national-cultural revival did exist in Georgia in the early 1840s, and here mention should first be made of the "Programme of National Salvation", drawn by Dimitri Qipiani, newly returned from exile in Vologda. His programme was based on liberal ideology of enlightenment put forth by the nobility and gentry that envisaged the revival of Georgian and culture and general-national self-consciousness through spreading education within the Russian empire. The first steps were indeed taken to this end. In particular, in 1842 D. Qipiani founded the "Private Library of Tbilisi" – the first social-cultural and educational institution based on social initiative; its members were A. Chavchavadze, N. Baratashvili, G. and V. Orbelianis, M. Tumanishvili, Z. Palavandishvili, and others

[16, pp. 74-95]; mention should also be made of Manana Orbeliani's literary salon, where quite a few ideas of national significance originated and were elaborated (the setting up of a professional Georgian theatre, the foundation of the "Tsiskari" magazine, etc. [2, pp. 181-190]

The plans of the progressive part of Georgian figures and those of Vorontsov coincided and such concord created a firm basis of cooperation between the authorities and public, with a highly positive outcome. It should be said that in order to implement his administrative and cultural-educational reforms Vorontsov chose Dimitri Qipiani as his principal collaborator and mainstay. According to Baron A. Nikolai's confidential report to the imperial government, Qipiani was considered to be "a dreamer for autonomous Georgia" [17, p. 227]. S. Kakabadze too calls him "a prominent lover ... of the idea of autonomy" [5, p. 126]. For his part, D. Qipiani maximally aligned the radical changes implemented in the Caucasus to the national-cultural interests and needs of the Georgians [15, pp. 23-26; 18; 8, p. 307].

The assessments of Vorontsov's "Caucasian policy" in Georgian sources and literature are diametrically opposed – from highly positive (G. Orbeliani, D. Qipiani, P. Ioseliani, A. Purtseladze, I. Meunargia, A. Jorjadze, M. Tamarashvili, Sh. Amirejibi, S. Qubaneishvili, and others) to extremely negative (N. Avalishvili, V. Kotetishvili, L. Asatiani, S. Gersamia, A. Kalandadze, R. Chkheidze, N. Vakhania, and others). In Vakhtang Kotetishvili's view, "The Vorontsov era should be considered an episode of the systematic reaction carried on by tsarist Russia in relation to Georgia ... Vorontsov did a great service to Russia, but what protection did he render Georgia – there does not seem to be any. True, he took up care for our country's culture energetically, - took the lead, as if, but he was doing his business, and if he occasionally took interest in the Georgian cause, it was an eye-wash and cover ... he created centres where national degradation occurred at a rapid pace and methodically ..." [7, pp. 171-172].

N. Nikoladze's attitude to Vorontsov was contradictory: this is especially true of A. Orbeliani in whose works two mutually exclusive views are stated: "That period of Vorontsov in Georgia was quite a different time for deceiving us – inexperienced as we were ... he pretended to show us his magnanimity, especially towards those who acted in Russia's interests. ... Prior to Vorontsov we distanced ourselves from the Russians, and he mixed us up with the Russians, this sly diplomat joined us to the Russians [11, pp. 54-57]; on the other hand, in Orbeliani's words, [Vorontsov] gave us a Georgian theatre, a Georgian literary magazine – "Here you are, have it for eternity and take pleasure in your good language of your ancestors"... Prince Vorontsov was a broad-minded man, fully developed and truly wished good for us [10, pp. 129-130].

The negative attitude to Vorontsov's "Caucasian policy" in Georgian scholarly and publicistic literature was largely based on two sources: a) the above-mentioned first view of A. Orbeliani (though his second view - exclusive of the first – is ignored) and b) Vorontsov's report of 1849-1851 submitted to Nicholas I, which reads: "A theatre has been set up, literature has revived, books are printed - all this makes me think that Your Imperial Majesty will deign to consider that this outcome will have a highly beneficial influence on the spread of education, development of the taste, refinement of morals and customs and the merger of the natives with the Russians [1, p. 881].

Obviously, Vorontsov could not write to the Emperor that he wished to separate the Georgians from the Russians and, which is most important, he had no such intention. On the contrary, the objective of Vorontsov's "Caucasian policy" was, as said above, integration of Georgia in Russia's state, political and economic space but with doubtless preservation and revival of the linguistic and cultural originality of the Georgians. It should be stressed that, proceeding from the specificity of the time and situation, such a prospect proved fully acceptable – the more so that all this was done through Europeanization of our social life and national culture. In one of his works devoted to Dimitri Qipiani, the leader of the then

socio-cultural life of Georgia and a prominent Europeanist, A. Jorjadze notes: “Yes, we are subjects of Russia and Georgians at the same time, Qipiani thought. We want to enter the cultural arena with our Georgianness. But we know well that “Georgianness” requires the existence of Georgian social institutions, guaranteed use of the Georgian language in schools and the church. If you do not allow us this, our Georgianness will be infringed upon and if Georgianness is encroached, the feeling of our loyalty will also suffer. At that time the question could not be raised in a broader sense ... “ [19].

The attitude to Vorontsov’s “Caucasian policy” was not uniform in Russia either. His course came under fire in the years of his rule in Caucasian administrative as well as in the central administrative spheres of Russia. And later, Mikhail Katkov, an influential figure in Russian political circles and virtual leader of Russian great-power-chauvinistic ideology in the 1860s-1880s, called Vorontsov an ignorer of national interests in the name of liberalism, a governor of non-Russian self-consciousness and supporter of separatism in the Caucasus, charging him directly with betrayal of Russia’s state interests; at the same time he asserted that it was Vorontsov’s policy in the Caucasus that turned Russians in the Caucasus into humiliated and insulted, virtually second-rate persons [6, p. 554].

Vorontsov is a prominent figure in Akaki Tsereteli’s works (poems, journalism, memoirs, his poem “Vorontsov”). In Akaki’s works Vorontsov’s image is depicted as a person and ruler who inculcated brotherhood and love in Georgia (“Grandmother’s Story”), sharer of the woe of a nation suffering from injustice (“A Georgian in Front of the Statue”), “One who had paternal affection for the Georgian people”, in whose hands Georgia “had a respite” (“Vorontsov’s Statue”), “Superman ... sent from Heaven”, who spread literacy in Georgia and “instilled genuine love” (“Vorontsov”), governor “who ecstatically loved the Georgians, held their past in high esteem and had hope in their future” (“The Story of My Life”), supporter of Georgian literature and selfless carer for it (“A Short

Note”), and so on. Akaki polemizes with those who consider Vorontsov’s care to be hypocrisy and he noted: “It is not his fault, if his graft withered in other’s hand” (“Vorontsov’s Statue”).

To the end of his life, Akaki preserved his sincere respect for Vorontsov and, I believe, he gave the most laconic and precise assessment of Vorontsov’s “Caucasian policy”: Vorontsov considered the future Georgia as “politically Russianized, but with her own religion, language and national colour”, and he did this by taking the correct European path” (“The foundation of the Georgian theatre in Georgia – 14, p. 458). Tsereteli repeats an analogous view in his “Essay” of 1912 (“My journey to Racha-Lechkhumi” – 14, p. 492).

I believe Vorontsov’s “Caucasian policy” and the ensuing cultural-literary processes were directly related to the social and literary situation in the 1860s, and in this respect, K. Ninidze’s view seems correct: “This stratum (of the “Tergdaleulis” – *T. G.*) took shape as a result of Vorontsov’s educational policy” [9, p. 68]. The point is that almost all language and literature problems, raised by Iliia Chavchavadze and elaborated in one or another form in the 1860s, had already been posed, with more or less profundity and intensity, in the preceding decade (the need for democratization of the Georgian literary language, realistic reflexion of life and the social purpose of literature, Europeanization of Georgian literary thought, policy of translation, and other issues).

In short, by the 1860s the way had been paved for the creation and implementation of a national ideology based on clearly formulated world view and literary principles meeting the new demands of the time. I. Chavchavadze, as a thinker and leader of socio-political life was sent to the country precisely at the beginning of the 1860s, when Vorontsov’s political course oriented to the upsurge of loyal, civic and cultural life was being relegated to the past and the implementation of the imperial policy of Russification began in new forms. In such conditions it would be very difficult (if not impossible) to create novel cultural-ideological systems with monarchic-conservative outlook and unconditional loyalty proclaimed to the political regime of Vorontsov’s epoch and with the

available cultural-intellectual resources. Hence, the national energy that by the time proved viable and effective gave rise to Ilia Chavchavadze just in time when a vital need for this arose, and what Ilia stated generally in his programme work in “Georgia’s Herald”: “A genius is the fruit of his time” (under “genius” he implied “leader”) should be extended to the author of these words: Ilia Chavchavadze was the fruit of the “times” whose roots should be sought – apart from the national, socio-political and cultural-literary traditions – in Vorontsov’s “Caucasian policy” as well.

References:

1. “Akty”, Sobrannye Kavkazskoi arkheograficheskoi komissieyu, t. X. Tiflis, 1885.
2. Balakhashvili, I., Literary circles and salons in Georgia (first half of the 19th century). Tbilisi, 1940. (in Georgian)
3. Tavzishvili, G., Selected Pedagogical Works: ed. by I. Botsvadze. v. I, Tbilisi, 1974. (in Georgian)
4. Nostril to nostril. Concerning the solution of the “Georgian question” by Mr. Maksimov: “Iveria”, #30. Paris, 1986.
5. Kakabadze, S., A History of the Georgian People (1783-1921). Tb., 1997.
6. Katkov, M. N., Sobranie peredovyikh statei Moskovskikh Vedomostei (1865). M., 1897.
7. Kotetishvili, V., Selected writings in two books: ed. by D. Gamezardashvili. Book 1. Tb., 1965.
8. Nikoladze, N., Works: ed. with notes by D. Gamezardashvili. v. IV. Tb., 1964.
9. Ninidze, K., The morphology of militarist narrative (questions of literary policy). Tb., 2009.
10. Orbeliani, A., I and He: Prince Aleksandre Jambakur Orbelianis essay and four poems by Vakhtang V. Orbeliani. Ed. by Zakaria Chichinadze. Tbilisi, 1879.

11. Orbeliani, A., Russophil Georgians about me: A. Orbeliani: Speech at father's banquet. Compiled by N. Vakhania. Tbilisi, 1999.
12. Shcherbinin, M. P., Biography of General Field Marshal, Prince Mikhail Semenovich Vorontsov. St. Petersburg, 1858.
13. Shcherbinin, M. P., Reminiscences: "Russian Archive". Book III. 1876.
14. Tsereteli, A., Complete Collected Works in Fifteen Volumes: Ed. by G. Abzianidze. v. XIV. Tb., 1961.
15. Chichinadze, Z., Dimitri Qipiani (1830-1860). Tbilisi, 1892.
16. Jologua, T., Dimitri Qipiani. Tb., 2002.
17. Jologua, T., An ally for ever – Dimitri Qipiani (Materials towards the history of 19th-century Georgian social thought): compiled, translated the Russian texts, prepared for publication, supplied with foreword, bibliographic notes, commentaries and indexed by T. Jologua. v. II. Tb., 2007.
18. Jorjadze, A., A lesson of the past: "Droeba". #262, 25.XI.1909^a.
19. Jorjadze, A., A lesson of the past: "Droeba". #263, 26.XI.1909^b.
20. Jorjadze, A., Materials towards the history of the Georgian intelligentsia: A. Jorjadze, Articles. ed. by A. Bakradze, Tb., 1989.

**რუსთველის ვეფხისტყაოსანი – კულტურული ხიდი
აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და სეფიანთა ირანის
ქართველები**

ელგუჯა ხინთიბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქართველოლოგიური სკოლის ფონდის ხელმძღვანელი.

რეზიუმე: გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შუასაუკუნეებში იყო არა მხოლოდ სავაჭრო და ეკონომიკური, არამედ აგრეთვე კულტურული ხიდი. საქართველოც ამ კულტურული ხიდის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. წინამდებარე გამოკვლევაში ამ მიმართულებითაა გამახვილებული ყურადღება რუსთველის *ვეფხისტყაოსანზე*. უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებებმა მე საშუალება მომცა, განმეცხადებინა და მემტკიცებინა სრულიად ახალი ფაქტი როგორც ქართველოლოგიისათვის, ასევე ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობისათვის: რუსთველის *ვეფხისტყაოსანი* XVII საუკუნის დასაწყისში გამოყენებულია როგორც სიუჟეტური წყარო ინგლისელი დრამატურგების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ. *ვეფხისტყაოსნის* მთავარი მოქმედი გმირების ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბის საფუძველზე შექმნილია ორი პიესა – *ფილასტერი* და *მეფე და არა მეფე*, რომლებიც მთელი XVII საუკუნის მანძილზე წარმატებით იდგმებოდა ინგლისის თეატრალურ სცენებზე. თუ რა გზით უნდა მიეღწია რუსთველის პოემის ამბავს შექსპირის ეპოქის ინგლისის ინტელექტუალურ წრეებამდე, საიდუმლოდ რჩება. ამ საკითხზე მხოლოდ სხვადასხვა ვარაუდი შეიძლება იქნას გამოთქმული. ამ ვარაუდთაგან ერთი, ჩემი აზრით შედარებით უფრო სარწმუნო, უნდა იყოს სპარსეთის სეფიანთა კარზე დაწინაურებული გამაჰმადიანებული ქართველების წრე, კერძოდ ალავერდი ხანი და მისი ოჯახი. საქმე ისაა, რომ XVI საუკუნის დამლევს ირანის სამეფო კარს ინგლისელთა დიდი წარმომადგენლობა ეწვია ცნობილი დიპლომატის ანტონი შერლის მეთაურობით.

ინგლისელები დიდხანს დარჩნენ შაჰის კარზე და შაჰ აბასის და მასთან ერთად შაჰის უპირველესი მრჩეველისა და მხედართმთავრის ალავერდი ხანის ხელშეწყობით ირანის არმიის რეორგანიზაცია და გადაიარაღება მოახდინეს. ამის შემდეგ თვითონ ანტონი შერლი შაჰის დესპანის რანგში ევროპაში გაემგზავრა და წლების მანძილზე მოღვაწეობდა ირანსა და ევროპას შორის პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად. ეს დრო ზუსტად ემთხვევა ინგლისში ვეფხისტყაოსნის ამბის შესვლის ჩემს მიერ გამოვლენილ ფაქტს.

საკვანძო სიტყვები: *"ვეფხისტყაოსანი", ფრანსის ბომონტი, ჯონ ფლეტჩერი, ალავერდი ხანი*

როგორც ცნობილია, გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შუა საუკუნეებში იყო არა მხოლოდ სავაჭრო და ეკონომიკური, არამედ აგრეთვე კულტურული ხიდი. ამისი ცხადი მაგალითია: სპარსული *ვისრამიანი*, რომლის კვალი *ტრისტან და იზოლდას* ევროპულ რომანში ჩანს და ინდური *პანჩატანტრა*, *ქილილა* და *დამანას* სახით სპარსულად გადამუშავებული, რომელმაც ევროპაში იგავ-არაკული ჟანრის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა.

შუასაუკუნეების საქარველო ამ კულტურული გზის ერთი მნიშვნელოვანი წევრი იყო, რაც მტკიცდება ინდური წარმოშობის, შემდგომში არაბული *ბალაჰვარისა* და *ბუდასფის* წიგნიდან ქართულად ქრისტიანულ ნოველად გადამუშავებული *ბალაგარიანით*. X საუკუნის დასასრულს ქართველმა ავტორმა ეს თხზულება ქართული წყაროებიდან ბერძნულ აგიოგარფიულ-პოლემიკურ თხზულებად გადააკეთა, რომელიც შემდგომში, XII-XV საუკუნეებში, ევროპის თითქმის ყველა ხალხში უაღრესად პოპულარულ რომანად იქცა [33, გვ. 192-292].

ამჯერად მე მინდა უფრო დეტალურად განვიხილო ჩემ მიერ უკანასკნელი წლების სამეცნიერო კვლევების შედეგად გამოვლენილი ერთი ლიტერატურული ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანი სიახლეა როგორც ქართული, ასევე ზოგადად ევროპული ფილოლოგიისათვის. აღმოჩნდა, რომ ქართული

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზრის მწვერვალი რუსთველის *ვეფხისტყაოსანი* ასევე იყო კულტურული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართველი პოეტის შოთა რუსთველის ლირიკული პასაჟების შემცველი ეპიკური პოემა ქართულ რეალობასთან მისადაგებულ აღმოსავლური ტიპის ამბავზე იშლება. ამას თვითონ ავტორიც მიუთითებს: `ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი~ო. *ვეფხისტყაოსნის* მთავარი შეყვარებული წყვილის – ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალი – ინდოეთის სამეფო კარის ინტრიგის შედეგად დაკარგული სატრფოს მებნა ტარიელის და მისი მეგობრის ავთანდილის მიერ; გატაცებული ქალის კვალზე მინიშნება შემთხვევით გაცნობილი მეფე ფრიდონის, შემდგომში მათი მეგობრის, მიერ; ფრიდონის მეომრების თავდადებით სამი მეგობრისაგან ქაჯეთში გამომწყვდეული ნესტანის განთავისუფლება – ტიპური აღმოსავლური ნარატივია, ზღაპრული სიუჟეტით მორაული შუასაუკუნეების აღმოსავლეთში, რომლის ერთი არქეტიპი უძველეს ინდურ ეპოსში *რამაიანაშიც* ჩანს [23]. *ვეფხისტყაოსნის* ნარატივი აღმოსავლურ სურნელს სიუჟეტის ცალკეულ კომპონენტებშიც ინარჩუნებს. ერთად აღზრდის შემდეგ დიდი ხნის უნახავი ნესტანის პირველი ხილვით ტარიელის დაბნედის უშუალო პარალელია *ვისრამიანში*: რამინის დაბნედა ვისის დანახვისას [14]. სიყვარულით გახელებული ტარიელის მიერ თავისი ამბის მბოზა ავთანდილისათვის და ამ უკანასკნელის მიერ მიჯნურის დასახმარებლად თავდადების გადაწყვეტა ლეილის და მაჯნუნის სიყვარულის აღმოსავლეთში პოპულარული ამბიდან მაჯნუნისა და რაინდ ნავფალის დამეგობრების სცენასთან ამჟღავნებს მიმართებას [26].

აღმოსავლური ტიპის ამბავს რუსთველი XII საუკუნის ქართული სამეფო კარის ისტორიის ალეგორიულ დატვირთვას შესძენს, მასში ტახტის მემკვიდრეობის პრობლემის ორიგინალურ გადაწყვეტას შემოიტანს – ორი მემკვიდრის მტრობის ნაცვლად მათ სიყვარულს იქადაგებს; მოყვრის

სიყვარულის ქრისტიანულ თეზას ადამიანური სიყვარულის რენესანსულ იდეალად გადაიაზრებს; აღმოსავლური ნარატივის ზღაპრულ მდინარებაში ანტიკურ ფილოსოფიას ჩადებს; სატრფოს ძებნის უსასრულო ხეტიალს ბოროტის არსებობა-არარსებობის თეოლოგიური თეზის ძიებად აქცევს და ყველაფერს ერთად ქართული პოემის ორიგინალურ სიუჟეტად გარდაქმნის.

უკანასკნელი წლების ჩემი კვლევების საფუძველზე მე წილად მხვდა ბედნიერება განმეცხადებინა და მემკვიდრებინა სრულიად ახალი ფაქტი ქართული კულტურისათვის და ასევე ევროპული ლიტერატურული კრიტიკისათვის. კერძოდ, *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტი ნაცნობი იყო XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის უმაღლესი ლიტერატურული წრეებისათვის, რომელთაც იგი ლიტერატურული თვალსაზრისით წარმატებით გამოუყენებიათ [35, გვ. 50-84]. უილიამ შექსპირის სიცოცხლეში, მისი უშუალო მემკვიდრეების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი პიესა *ფილასტერი* [9] და *მეფე და არა მეფე* [10] შექმნილია *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის გადამუშავებით. ამ თხზულებათა უშუალო სიუჟეტური წყარო ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე უცნობად ითვლებოდა [29, გვ. 168; 41, გვ. 15].

ორივე პიესის ამბავი, მსგავსად *ვეფხისტყაოსნისა*, აგებულია ტახტის მემკვიდრეობის პრობლემაზე. მემკვიდრე ორია: მეფის ერთადერთი ასული და ასევე მემკვიდრედ მიჩნეული ახალგაზრდა ვაჟი, რომელიც ერთ შემთხვევაში გაერთიანებულ სამეფოში შემავალი ერთი ქვეყნის მეფის ძეა, ხოლო მეორე შემთხვევაში სამეფო კარის მიერ ნაშვილები მემკვიდრე. ორივე პოემაში პრობლემა გადაწყდება ამ ორი მემკვიდრის სიყვარულით და ქორწინებით. ზუსტად ეს ვითარებაა *ვეფხისტყაოსანში*.

დავიწყოთ *მეფე და არა მეფით*. ჩემი მიგნება დაფუძნებულია შემდეგ გარემოებებზე:

1. ბომონტისა და ფლეტჩერის პიესაში მოქმედება მიმდინარეობს იბერიაში. პიესის იბერია არის საქართველო და

არა საისტორიო წყაროებისეული პირენეს ნახევარკუნძულის იბერია. საკმარისია მივაქციოთ ყურადღება, რომ *მეფე და არა მეფის* მთავარი მოქმედი პირი – იბერიის ახალგაზრდა მეფე ამარცხებს მისი მეზობელი ქვეყნის სომხეთის მეფეს, მოყავს იგი ტყვედ იბერიის სამეფო კარზე, სადაც მიმდინარეობს შემდგომი მოქმედება.

2. ინგლისური პიესის *მეფე და არა მეფის* შეყვარებული წყვილის რომანტიკული ინტრიგის ძირითადი ფაქტები ემთხვევა *ვეფხისტყაოსნისეული* ინდოეთის შეყვარებული წყვილის თავგადასავლის ფაქტებს: ორივე თხოვლელაში უშვილო მეფე-დედოფალი შვილად აიყვანენ უახლოესი დიდებულის ახალშობილ ვაჟს; მოგვიანებით დედოფალს შეეძინება ქალიშვილი; როცა სრულწლოვნები ხდებიან, ქალი და ვაჟი გახელებული სიყვარულით განიმსჭვალებიან ერთმანეთის მიმართ; დრამატული თავგადასავლების შემდეგ ისინი შეუღლდებიან და ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც გადაწყდება.

3. ფაბულის ძირითადი ფონის იგივეობის გარდა, არის პრინციპული მსგავსებანი ცალკეულ სიუჟეტურ პასაჟებში, მაგალითად: დედოფლის დაფხმძიმება ვაჟის შვილად აყვანიდან ზუსტად ხუთი წლის შემდეგ; ახალგაზრდების ჯერ ერთად აღზრდა და შემდეგ ბავშობაშივე ერთმანეთისაგან დაშორება; უფლისწულის დაბნედა, როცა დიდი ხნის უნახავ ასულს პირველად ნახავს; ქალის საქმროდ მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდა მეფის თუ უფლისწულის მოწვევა; შეყვარებული პრინცის მიერ მისი სატოფოს გარდაცვლილად წარმოდგენა და მისი მედიტაცია იმაზე, თუ თვითონაც როგორ წავა იმ ქვეყნად და სხვა.

4. როგორც *მეფე და არა მეფეში*, ისევე *ფილასტერში*, არის ისეთი დეტალები, რომლებიც მინიშნებენ უშუალოდ *ვეფხისტყაოსანზე*, როგორც ინტერტექსტზე და გამორიცხავენ ინგლისელ ავტორთა მიერ ამ ფაბულის მოპოვებას სხვა უფრო ძველი წყაროდან, იმ მთავარი ფაბულიდან, რომელიც შეიძლება თვითონ რუსთველისთვისაც ყოფილიყო ნაცნობი. ინგლისელ ავტორთა მინიშნება ქართულ

თხზულებაზე – ვეფხისტყაოსანზე არ ამოიწურება მხოლოდ მეფე და არა მეფის მოქმედების საქართველოში ლოკალიზებით. ინგლისური პიესის შეყვარებული წყვილის პრინცესას, რომლის პროტოტიპი ვეფხისტყაოსნის ნესტანია, სახელად ჰქვია პანთეა (*Panthea*), რაც ინგლისურ ენაზე წარმოითქმის მსგავსად სიტყვისა *პანტერა (panther)*. ეს უკანასკნელი კი რუსთველის ვეფხის ზუსტი ინგლისური თარგმანია. ვეფხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით ნესტანის სიმბოლოა. თუ პრინციპულ მნიშვნელობას მივანიჭებთ იმას, რომ ბომონტისა და ფლეტჩერის თხზულების მთავარი გმირის პანთეას სახელი არის მინიშნება პანტერაზე (ვეფხზე), როგორც ნესტანის სიმბოლოზე და რუსთველის პოემის სახელწოდებაზე, კიდევ უფრო სარწმუნო გახდება ის, რომ ინგლისელი დრამატურგები იცნობდნენ რუსთველის პოემას იმდენადაც კი, რომ პოემის ძირითად სიმბოლოურ სახეებსაც აცნობიერებდნენ.

ახლა რამდენიმე სიტყვა ფილასტერის შესახებ.

მსგავსად ვეფხისტყაოსნისა ფილასტერშიც ორი სამეფოა გაერთიანებული. ამ გაერთიანებული სამეფოს მეფეს მემკვიდრედ მხოლოდ ქალიშვილი ჰყავს, მაგრამ გაერთიანებული სამეფოებიდან მეორეს მემკვიდრე ვაჟს ტახტზე აქვს პრეტენზია. მეფე მოიწვევს მეზობელი სამეფოს უფლისწულს თავისი ასულის საქმროდ. ყველაფერი ეს ზუსტად ემთხვევა ვეფხისტყაოსნის ფაბულას. პრობლემა გადაწყდება ამ ორი მემკვიდრის სიყვარულით, რომელიც ვაჟისადმი ქალის შეთავაზებით იწყება.

მსგავსად მეფე და არა მეფისა ფილასტერშიც მთელი რიგი სიუჟეტური სიტუაციებისა პრინციპულად ემსგავსება ვეფხისტყაოსანს. რომ გამოუცხადოს თავისი სიყვარული, პრინცესა თავისთან მიიწვევს ვაჟს, თან მასთან წერილით აგზავნის თავის მსახურ ქალს. გაირკვევა, რომ ვაჟსაც თურმე უყვარს პრინცესა. ისინი ერთად შეიმუშავებენ მოწვეული სასიძოს ჩამოშორების გეგმას და ოცნებობენ ერთად გამეფებაზე. ასე რომ, მსგავსება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტთან აშკარაა.

გარდა ჩემს მიერ ფაბულის ძირითადი ხაზის განვითარებაში გამოვლენილი პარალელებისა, ინგლისელი დრამატურგების ორივე პიესაში ჩანს პრინციპული მიმართებები *ვეფხისტყაოსანთან* იდეურ–თემატური პრობლემების დასმის, ხასიათების ფორმირების და სიუჟეტის ნიუანსური მიმოხვრის მიმართულებითაც.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ, რა გზით უნდა გაცნობოდნენ რუსთველის პოემას ინგლისელი მწერლები ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში. ამის გასარკვევად ფაქტობრივი მასალა თუ უშუალო ცნობები ქართულ და ინგლისურ წყაროებში არ ჩანს. მე შემოდღია მხოლოდ რამდენიმე ვარაუდი გამოვთქვა:

1. მეთხოუმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში ქართველმა მეფეებმა ევროპასთან, კერძოდ ესპანეთთან, უშუალო კონტაქტი დაამყარეს, აგზავნიდნენ ელჩებს, წერილებს, საჩუქრებს. ესპანელი ელჩებიც გამოჩნდნენ საქართველოში. კერძოდ, 1495 წელს, საქართველოს მეფემ კონსტანტინე II წერილითა და მვირფასი საჩუქრებით ელჩები გაგზავნა ესპანეთში ქრისტიანობის დიდ დამცველ სახელგანთქმულ დედოფალ იზაბელასთან, სთხოვდა მას დახმარებას თურქეთის წინააღმდეგ. ამ წერილის პასუხის ორიგინალი მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას ხელმოწერით ინახება ბარსელონას სამეფო არქივში. ესპანეთის ძლიერი მეფეებიდან დახმარების იმედი ქართველთა სამეფო კარს საუკუნეების მანძილზე შერჩა. XVI საუკუნის დასასრულს ქართლის მეფემ სიმონ I, ოტომანთა იმპერიის დაუძინებელმა მტერმა, წერილები გაუგზავნა ესპანეთის დიდ მეფეს ფილიპე II. ესპანეთში შედგენილი საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ დიდმა მონარქმა შეასრულა ქართველი მეფის სურვილი და ქართველთა დახმარების წინადადებით მიმართა რომის პაპს და გერმანიის იმპერატორს. სიმონ მეფის წერილი იხილებოდა ესპანეთის სამეფო კარზე 1598 წლის ივლისში [32]. ეს ფაქტები მოწმობს, რომ XVI საუკუნის დასასრულს საქართველოს შესახებ ინფორმაცია ესპანეთში მოიპოვებოდა. წერილების გაცვლა XV და XVI საუკუნეების დასასრულს არ იყო შემთხვევითი

ეპიზოდები. XV საუკუნის დასასრულს კონსტანტინე II ელჩი საქართველოსთვის მხარდაჭერის საძიებლად მრავალ დიდ ქვეყანას ეწვია: ეგვიპტეს, პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ სამეფოს, ესპანეთს და იტალიას. ეგვიპტიდან დაბრუნებულმა იერუსალიმში შეიარა, იქ შეხვდა ესპანელ ელჩებს და საქართველოში ჩამოიყვანა. ესპანელები საქართველოს სამეფო კარზე სავარაუდოდ გარკვეულ ხანს უნდა დარჩენილიყვნენ, შემდეგ კი ქართველი ელჩების თანხლებით დაბრუნდნენ ესპანეთში. უნდა ვიფიქროთ, რომ ესპანელმა ელჩებმა ფერდინანდს და იზაბელას არა მხოლოდ ქართველი ელჩები, არამედ თავიანთი ინფორმაციით ქართველთა ქვეყანაც წარუდგინეს. ამიტომ არ მიმაჩნია მოულოდნელად, რომ XVI საუკუნეში ესპანეთში ინფორმაცია ყოფილიყო საქართველოს კულტურისა და თვით ლიტერატურის შესახებაც. ასე რომ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ *ვეფხისტყაოსნის* ამბავი იმდროინდელ ესპანეთში შესული იყო. როგორც ცნობილია, ბომონტი და ფლეტჩერი ესპანური წყაროებით სარგებლობდნენ.

2. მეორე შესაძლებლობა იმისა, რომ *ვეფხისტყაოსანს* გზა ეპოვა ინგლისისაკენ, ბრიტანელი და ქართველი ვაჭრების კავშირებია. ეს კონტაქტები შედეგი იყო ინგლისის მოსკოვური კომპანიისა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით ვაჭრობდნენ სპარსეთის პროვინციებთან ვოლგა-ასტრახანის გზით 1560-70-იან წლებში. ისინი აბრეშუმით ვაჭრობდნენ საქართველოს საზღვართან შედარებით ახლოს მდებარე სპარსულ ქალაქებში – შემახიასა და ჯულფაში და თვით კახეთის სამეფოსთანაც ამყარებდნენ კავშირს [31]. ინგლისელი მოგზაურებისა და ვაჭრების (ანტონი ჯენკინსონის, ლაურენს ჩაპმენის, კარტრაიტის) ჩანაწერები მრავალ ცნობას შეიცავს კახეთის მეფის ლევან II (1518/1520-1574) ინგლისელებთან ვაჭრობით დაინტერესებაზე; მოლაპარაკებებზე მეფის ელჩებსა და ინგლისელ ვაჭრებს შორის კახეთსა და მოსკოვს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე; ინგლისური კომპანიის ცდაზე კახეთში ვაჭრობაზე ნებართვის მიღებისა; ქართველი ვაჭრების მონაწილეობაზე ჯულფის ვაჭართა საზოგადოებაში, და ა. შ. ინგლისელ ვაჭრებს, რომლებიც

მოსკოვის სამეფოსთან კახეთის დამეგობრებას ცდილობდნენ, კახეთიდან ქართველთა კულტურის შესახებაც უნდა წაეღოთ გარკვეული ცნობები. მოსკოვის კომპანიის საქმიანობის ამბები ინგლისის ინტელექტუალური წრეებისათვის XVI საუკუნის დასასრულს უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო და ისინი ჯონ ფლეტჩერისთვისაც მისაწვდომი იქნებოდა. ეს იქედანაც დასტურდება, რომ მისი ბიძა გილეს ფლეტჩერი (1546-1611), რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ჯონ ფლეტჩერის აღზრდაში მამამისის გარდაცვალების შემდეგ, იყო მწერალი, პარლამენტის წევრი და დიპლომატი. 1588 წელს იგი ინგლისის დედოფლის ელისაბედ I-ის მიერ საგანგებო წარმომადგენლად იყო გაგზავნილი მოსკოვში, სადაც კარგა ხანს დარჩა და დაბრუნდა ინგლისსა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულებით, რომელიც ძალზე სასარგებლო იყო ინგლისისათვის. მან ამ მოგზაურობის შესახებ 1591 წელს ლონდონში წიგნი გამოაქვეყნა (*Of the Rus Commonwealth*). ისიც ცნობილია, რომ ჯონ ფლეტჩერი სარგებლობდა ბიძამისის მიერ მონათხრობი ამბით.

3. როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ რუსთველის პოემის უკვე XVII საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისში შედწევაზე, არ უნდა გამოვრიცხოთ ჩვენთვის უცნობი შემთხვევითი გზები; მაგალითად ვინმე ქართველი, რომელიც რაიმე მისიით ან შემთხვევით აღმოჩნდა ინგლისში. ევროპული წყაროებით ცნობილია, რომ დასავლელი მეცნიერების ადრინდელი მითითებები ქართულ ლიტერატურაზე და საზოგადოდ კულტურაზე ქართველ კონსულტანტებთან კონტაქტებით კეთდებოდა, უშუალო ცნობები ამის შესახებ გვხვდება XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერების გ. ადლერის (G. J. Adler, *Museum Cuficum Borgianum Velitris*, Rome 1782) და ფ. ალტერის (F. K. Alter, *Über georgianische Literatur*, Vienna 1798) შრომებში. აღმოსავლეთით დაინტერესებულ ევროპელ დიპლომატებს, მოგზაურებს, ვაჭრებსა და ინტელექტუალებს XVI და XVII საუკუნეებში მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ სპარსეთისა და თურქეთის სამეფო კარებთან, სადაც ქართველ დიდგვაროვან ქალთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა ყურადღებას

იპყრობდა არა მხოლოდ სილამაზით და ნიჭიერებით, არამედ მათი მოგონებებითა და ინტერესებით თავიანთ მიტოვებულ სამშობლოსადმი. ეს ნათლადაა ასახული XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ჩვენამდე მოღწეული ევროპაში დაბეჭდილი უძველესი მონათხრობი ქართული ენის, შრიფტის და საეკლესიო მწერლობის შესახებ მოპოვებულია გერმანელი მოგზაურის მიერ მისი თურქეთში ყოფნის დროს 1579 წელს [34, გვ. 25-27, 85]. ამ გზით ევროპაში შეღწეული ინფორმაცია მნიშვნელოვანია და არაა მოულოდნელი, რომ მასში *ვეფხისტყაოსანიც* მოხვედრილიყო: ქართველთა მეხსიერებას მტკიცედ შემორჩა ცოდნა იმის შესახებ, რომ *ვეფხისტყაოსანი* ქართველი ქალის მზითვის აუცილებელი ნივთი იყო. ქართველთა ექსპანსია ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომელიც სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილის თურქეთის იმპერიის მიერ მითვისების გამო განსაკუთრებით ინტენსიური XV და XVI საუკუნეებში იყო, გამოიწვევდა რუსთველის წიგნის უცხოეთში გატანას და *ვეფხისტყაოსნის* ამბის არაქართულ საზოგადოებაში შეღწევას. იმისთვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას უკვე გვიანდელი შუასაუკუნეებიდან ქართველი პიროვნებების და მათი მემკვიდრეების ევროპულ ოჯახებთან დაკავშირებაზე და თვით ისეთ შემთხვევებზე, რომლებმაც გაგრძელება ევროპის სამეფო დინასტიებში ჰპოვეს, მე მინდა ერთ ფაქტზე მივუთითო. ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი II და მისი ქართველი მეუღლე დიადჯაკ ჯაყელი (Djiadjak Jaqueli), დიდი ქართველი ფეოდალის და სამცხის ათაბაგის ბექა II ჯაყელის ქალიშვილი, როგორც დადგენილია ბერძნული და რომაული ბიოგრაფიების ევროპელი სპეციალისტების გამოკვლევების საფუძველზე, იყვნენ XIV საუკუნის წინაპრები ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-სა. გენეალოგიის იგივე ჩამონათვალი დიადჯაკ ჯაყელს მიიჩნევს არა მხოლოდ ინგლისის დედოფლის 22-ე წინაპრად, არამედ 22-ე დიდ დიდედად ხუან კარლოსისა, მე-17-დ ლუი XVII-სა და 23-ედ ბელგიის პრინცისა (<http://archiver.rootsweb.ancestry.com/th/read/GEN-MEDIEVAL/2004-03/1080611845>).

დიდი ფეოდალი ბექა ჯაყელი იყო ერისთავი სამცხისა,

რომელიც საქართველოს ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონი იყო. იმ დროისათვის სამცხე იყო საქართველოს კულტურულად ძალზე დაწინაურებული მხარე. ქართველთა ისტორიული მეხსიერება რუსთველს უპირატესად ამ კუთხის მკვიდრად მოიაზრებს და დიდ პოეტთან დაკავშირებული მატერიალური მემკვიდრეობაც (ძველ ხელნაწერთა ფრაგმენტები, არქეოლოგიური ნივთები, ტოპონიმები) უმეტესად ამ რეგიონში ჩანს. ბექას ქალიშვილი დიადჯაკ ჯაყელი შეუუღლდა ტრაპიზონის პრინცს, შემდგომში იმპერატორს, დაახლოებით 1300 წელს. მათ ექვსი შვილი ჰყავდათ, რომელთაგან ორი მიჩნეულია იმ გენეალოგიური ხაზის გამგრძელებლად, რომელსაც ინგლისის სამეფო სახლთან მივყავართ. (იხილეთ სხვა გენეალოგიური ცხრილებიც: <http://209.85.129.132/search?q=cache: http://archiver.rootsweb.ancestry.com/th/read/GEN-MEDIEVAL/2004-04/1080922915>). საგანგებო შენიშვნა მინდა გავაკეთო: მე ამ ფაქტზე იმიტომ არ ვუთითებ, რომ ვივარაუდო ამ გზით ქართული წიგნის, *ვეფხისტყაოსნის*, ევროპულ გარემოში შეტანა. ეს ფაქტი მეტყველი მაგალითია იმისა, რომ ქართული ელემენტი – ქართველთა კულტურულ-ისტორიული მეხსიერება XVI-XVII საუკუნეების ევროპაში უკვე შეტანილია.

4. კიდევ ერთი შესაძლებელი ვარაუდი *ვეფხისტყაოსნის* XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისში შეღწევისა არის გზა, რომელიც XVI-XVII საუკუნის მიჯნის სეფიანთა ირანის ქართულ სათვისტომოზე გადის. ევროპული (ადამ ოლეარიუსი, ანტონი შერლი, პიეტრო დელა ვალე, ანტონიო გოვეა, დონ პიეტრო ავიტაბილე... [1; 6; 21; 22; 5; 12ა]), ქართული (ფარსადან გორგიჯანიძე, არჩილ II, იოანე ბაგრატიონი, სეხნია ჩხეიძე, ალექსანდრე ორბელიანი... [15; 8; 17; 25; 2; 3], სომხური (არაქელ დავრიჟეცი [18]) და ნაწილობრივ, სპარსული (ფაზალი ხუზანი, მირ მუჰამედ საიდ მაშიზი, ვალიყული შამლუ, ვინმე ბეჟანი, ჯალალ ალ-დინ მონაჯემი, ისქადერ მუნში... [16; 20; 27; 11; 18; 13] საისტორიო წყაროები ამკარად მეტყველებენ, რომ XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XVII საუკუნის პირველი ათწლეულების სპარსეთის სამეფო კარზე ქართული ელემენტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ქვეყნის

პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე სამხედრო არისტოკრატის წრეებში და ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაში. უკანასკნელი ათწლეულების სამეცნიერო მიმდინარეობა კი გამოავლინა, რომ ეს ქართული ელემენტი არ არის მხოლოდ გატაცებული, გაყიდული ან ტყვედწაყვანილი გოგო-ბიჭების, შემდგომში გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული, მშობლიურ გარემოსა და ტრადიციებს აბსოლუტურად გაუცხოებულ მონა-მხევალთა და მეომართა მრავალათასეულ, მაგრამ განმარტოვებულ და დაქსაქსულ ადამიანთა სიმრავლე. ისინი ქმნიან ირანის სეფიან მბრძანებელთა, კერძოდ შაჰ თამაზ I-ისა და შაჰ აბას I-ის, სამეფო კარზე დაწინაურებულ წარმომოხებით ქართველ არისტოკრატთა წრეს, ერთმანეთთან ნათესაური ურთიერთობით და ეროვნული ინტერესებითაც დაკავშირებულ, გამაჰმადიანებულ ქართველ თავად-აზნაურთა, სპარსეთის უაღრესად გავლენიანი მმართველების დიდ ჯგუფს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ქართული წრე არც წარმომავლობით და არც სოციალური მდგომარეობით არ უნდა იყოს გაიგივებული სპარსეთის ე.წ. მონა-ჯარისკაცთა კორპორაციასთან; უფრო მეტიც, ისინი არ იყვნენ მხოლოდ გამოჩენილი მხედართმთავრები. ეს წრე სპარსეთის ინტელექტუალურ ელიტას განეკუთვნებოდა [11]. სპარსეთის ამ ქართული წარმომოხების ელიტიდან გამოვლენილია ოთხი დიდი გვარის წარმომადგენლები: ბარათაშვილთა, სააკაძეთა, უნდილაძეთა და მირიმანიძეთა ოჯახებიდან. ისინი წარმომოხებით ქვემო ქართლის რეგიონიდან, უპირატესად იმ ოლქებიდან იყვნენ, რომლებსაც ქართულ წყაროებში ხან საბარათიანო (ბარათილი) და ხან სომხითი ეწოდებოდა. ამ კუთხის თავად-აზნაურთა სწრაფვა სპარსეთის ქვეშევრდომობისკენ უმთავრეს შემთხვევებში გამოწვეული იყო XVI-XVII საუკუნეების სპარსეთ-ოსმალეთის დაუსრულებელი ომებით, რომლებიც ამ რეგიონის დაუზოგავ აოხრებას იწვევდა. ზოგიერთ საისტორიო წყაროში სპარსეთის სამსახურში შესულ რამდენიმე გამაჰმადიანებულ ქართველთა ეთნიკური წარმომოხებით სომხობაზე მითითება, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, მათი

ქვემო ქართლის *სომხთის* პროვინციიდან წარმომავლობის არასწორი გაგებით უნდა იყოს გამოწვეული. ჩამოთვლილი საგვარეულოების გამაჰმადიანებულ ქართველთაგან მხოლოდ მირიმანიძეთა გვარის წინაპრები არიან მიჩნეული სომხური ეთნოსის წარმომადგენლად, რამდენადაც ისინი მედიის წოდებას ფლობენ, რაც ადგილობრივ სომეხს ნიშნავდა. თუმცა ამ გვარიდან სპარსეთის სამეფო კარზე დაწინაურებულ მირიმანიძეებს ზოგიერთი როგორც სპარსული (ფაზალი ხუზანი ესფაჰანი), ასევე სომხური (არაქელ დავრიჟეცი, იგივე თაბრიზელი) წყარო ქართველებად თვლის.

სპარსეთის სამეფო კარზე ამ უაღრესად დაწინაურებულ წარმოშობით ქართველ დიდ მხედართმთავართა და მმართველთა წრიდან ჩვენი საკვლევი პრობლემის ინტერესით საგანგებოდ მინდა შევჩერდე ალავერდი ხანზე, უნდილაძეზე. იგი არის სეფიანთა ირანში უაღრესად დაწინაურებულ წარმოშობით ქართველ მმართველთა უმთავრესი და ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. მან და მისმა შვილებმა – იმამ-ყული ხანმა, დაუდ ხანმა და შვილიშვილმა სეფი-ყული ხანმა სამეფო კარზე უდიდესი ავტორიტეტი, უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობანი (ბეგლარბეგობა) და უდიდესი სიმდიდრე თითქმის 40 წლის მანძილზე შეინარჩუნეს. საკმარისია ორიოდ ფაქტზე მითითება.

პორტუგალიის ელჩი შაჰ აბასის კარზე ანტონიო გოვეა წერს, რომ მისთვის შაჰს უთქვამს: მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, ხოლო მე ალავერდი ხანს ვემორჩილებიო [5, გვ.43]. ალავერდი ხანი და მისი ოჯახი დიდ სიმდიდრეს ფლობდა. ალავერდი ხანის სახსრებით შენდებოდა სასახლეები და ხიდები. ისპაჰანის ერთ-ერთი ულამაზესი ხიდი ალავერდი ხანის სახელითაა ცნობილი. ალავერდი ხანის ქართველი მეუღლის სახსრებით გაიყვანეს გზები ცენტრალური ირანის მთიანეთის უღელტეხილზე. უმდიდრესი იყო იმამ-ყული ხანი. მისი წარსაგებელით ისპაჰანის მახლობლად გრანდიოზული საირიგაციო მშენებლობები მიმდინარეობდა. როგორც ინგლისელი, ისე ქართველი ისტორიკოსები იმოწმებენ ერთი სპარსული ხელნაწერის ცნობას. ერთხელ შაჰ აბასს იმამ-ყული

ხანისთვის უთქვამს: შენ ჩემზე ერთი დირჰემით ნაკლები დახარჯე, ხალხმა შაჰსა და ხანს შორის განსხვავება რომ დაინახოსო [30, გვ. 65-66].

უნდილაძეთა გვარის სპარსეთის სამეფო კარზე ეს უპრეცედენტო გავლენა გრძელდებოდა XVI საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან XVII საუკუნის 30-იან წლებამდე – შაჰ აბას პირველის ეპოქა. ეს დრო კი არის ირანის ისტორიაში ევროპასთან ძალიან ინტენსიური ურთიერთობის პერიოდი და ეს ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ირანისა და ინგლისის დიპლომატიური, სამხედრო და სავაჭრო კონტაქტებით. ამ ურთიერთობების ცენტრში საკუთრივ შაჰის შემდეგ და მის გვერდით ალავერდი ხანი იდგა. აი, როგორ აღწერს შაჰ აბასის ურთიერთობას ალავერდი ხანთან ირანელი ისტორიკოსი, პროფესორი ნასროლა ფალსაფი: `შაჰ აბასი ალავერდი ხანს ირანის ყველა სხვა დიდ სარდალზე უფრო მეტად აფასებდა და პატივს სცემდა. რადგანაც იგი ხანდაზმული კაცი იყო, შაჰი მას `მამას` ეძახდა. ვერც ერთი სარდალი ვერ უტოლდებოდა მას ჩინისა და თანამედრობის მხრივ. იგი კარგად შეიარაღებული და ომში გამოწრთობილი ოცდაათათასიანი ცხენოსანი ჯარით ირანის სამხრეთით მდებარე ყველა ვილაიეთზე, სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ აბასი დიდი ომებისას, რომელთაც ოსმალეთთან აწარმოებდა, უპირატესად მის სამხედრო ძალას ემყარებოდა ხოლმე` [28, გვ. 19-20].

სამეცნიერო ლიტერატურაში პრობლემურია ალავერდი ხანის ეროვნული სადაურობის საკითხი. ზოგიერთი ისტორიკოსი მას ეროვნებით სომეხად თვლის, მხოლოდ საქართველოდან გადმოსახლებულად. ამის საფუძველს ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელლა ვალეს ჩანაწერებში ხედავენ [22]. ამავე დროს როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მკვლევარები პიეტრო დელლა ვალეს ამ ცნობას შეცდომად თვლიან და იტალიელი მოგზაურის მიერ ძველ ჩანაწერებში ან ქართველთა ნაამბობში ქართლის ერთ რეგიონზე – სომხეთზე მითითებას სომეხთა ეთნოსში სავარაუდოდ აღრევით ხსნიან (ზ. ავალიშვილი, დ. ალენი, ვ.

გაბაშვილი, ჰ. მაედა). ალავერდი ხანის ქართველობას პიეტრო დელლა ვალეს ჩანაწერებზე უფრო ადრინდელი ევროპული წყაროები ადასტურებენ [იხ. 30, გვ. 68-69]: დონ-ხუან სპარსელი, რომელიც შაჰის მიერ ელჩად გამოგზავნილ ანტონი შერლის სპარსეთიდან ევროპაში გამოჰყვა, თავის 1604 წელს გამოქვეყნებულ რელაციაში გარკვევით მიუთითებს, რომ შაჰმა ალავერდი ხანი 12000 ქართველი მეომრის სათავეში დააყენა, რადგან იგი ქართველი რენეგატი იყო [24]. ირანში ანტონი შერლის ამალის წევრის ინგლისელი უილიამ პერის ცნობით ალავერდი ხანი ქართველი ქრისტიანი იყო [38]. ალავერდი ხანის ქართველობას ადასტურებს მისი და მისი დიდი ოჯახის მჭიდრო და ამავე დროს ნათესაური (მოყვრული) კავშირი ქრისტიანულ საქართველოსთან და კერძოდ მის სამეფო საგვარეულოსთან. ქართველი მეცნიერის ვ. გაბაშვილის მიერ გამოვლენილია, რომ უნდილაძეთა გვარი ქართულ წერილობით დოკუმენტებში XIII საუკუნიდან ფიგურირებს. იაპონელი მკვლევარის ჰ. მაედას დაზუსტების თანახმად, ეს გვარი ქართულ საბუთებში XVI საუკუნის ჩათვლით უწყვეტად იხსენიება. დღეისათვის ევროპულ ირანისტიკაში ალავერდი ხანის ქართველ უნდილაძეთა გვარისადმი მიკუთვნება აღიარებული ფაქტია [27ა, გვ. 28, 37, 119, 156].

ჩვენი საკვლევი საკითხის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ 1598-99 წლებში სპარსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა ინგლისელთა დელეგაცია ცნობილი დიპლომატის ანტონი შერლის მეთაურობით. ინგლისელთა ამ წარმომადგენლობის ხელშეწყობით შესრულდა ირანელთა არმიის გადაიარაღება, კერძოდ ცეცხლმსროლელი იარაღის მოპოვება და დანერგვა. ამ საქმეს კი შაჰ აბასის საერთო მეთვალყურეობით უპირატესად ალავერდი ხანი ასრულებდა. ანტონი შერლისა და მის ძმას რობერტ შერლის ეხმარებოდა აგრეთვე საქართველოდან გამოსული შაჰის კარზე სხვა დაწინაურებული მოხელე – თამაზ-ყული, მირიმანიძეების საგვარეულოდან. ანტონი და რობერტ შერლიმ ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ირანის დიპლომატიური და სავაჭრო

ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებისათვის. შაჰ აბასმა ჯერ ანტონი შერლი და შემდეგ მოგვიანებით მისი ძმა რობერტ შერლი საკუთარ ელჩებად გაგზავნა ევროპაში [37]. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, რომ შაჰის მიერ ევროპისადმი შეთავაზებულ ანტიოსმალური კოალიციის საკუთარ გეგმაში ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა მის კეთილგანწყობლურ ურთიერთობას ქრისტიანებთან, რის გამოვლენასაც იგი ქართველ ქრისტიანებთან საკუთარი დამოკიდებულების აფიშირებით ცდილობდა. ამის ერთი დამამტკიცებელი აქტი იყო შაჰის მიერ ქართველთა მეფის სიმონის ქალიშვილის ცოლად შერთვა; უფრო მოგვიანებით კი პაპის მიერ ნაჩუქარი ოქროს ჯვრის საქართველოს მეფესთან გაგზავნა, ხოლო საქართველოს პატრიარქთან კი – საკუთარი ხელით გათლილი ხის ჯვრისა. შაჰ აბასი ყველანაირად ცდილობდა ევროპელთა თვალში ქრისტიან ქართველთა მიმართ საკუთარი ლოიალობა და კეთილგანწყობა გამოეხატა. ირანელი პროფესორი ნასროლა ფალსაფი იმასაც ფიქრობს, რომ შაჰ აბასმა ქართული ენა იცოდა. ესპანეთის ელჩის დონ გარსიას ჩანაწერების საფუძველზე იგი ერთ ფაქტს იხსენებს. ერთ-ერთ აუდიენციაზე, იმისთვის, რომ თურქეთის ელჩს მათი საუბრის არსი არ გაეგო, შაჰმა ესპანეთის ელჩს ქართულ ენაზე მიმართა და მის სიტყვებს ესპანური და ქართული ენების მცოდნე თარჯიმანი თარგმნიდა [28, გვ. 18]. ანტონი შერლი, შაჰ აბასის ელჩის რანგში, ევროპაში 1599 წელს გაემგზავრა. შაჰმა მას ბევრი დანაბარები, წერილი და საჩუქარი გაატანა ევროპელი მონარქებისათვის. გახმაურებული იყო შაჰის მიერ ევროპაში გაგზავნილი საჩუქრების 32 ყუთი, რომლებიც ანტონი შერლის გვიანდელი განცხადებით დაიკარგა, ხოლო მკვლევართა აზრით, შერლიმ გზაში გაყიდა. შაჰის ინგლისელმა ელჩმა მთელი ევროპა მოიარა. ყველგან შაჰის დახმარებას ეძებდა, ბევრი ჩანაწერიც დატოვა. მისი ჩანაწერები შაჰის კარზე მოგზაურობის შესახებ ახლაც ინახება ბრიტანეთის არქივებში.

ეს ხანა, ევროპისა და ირანის მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობის, ინგლისელ დიპლომატთა მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობისა შაჰ აბასის ადმინისტრაციასთან,

ანტონი შერლის მოგზაურობისა ირანსა და ევროპას შორის, არის XVI საუკუნის დასასრული და XVII საუკუნის პირველი წლები. 1608-1611 წლებში კი ინგლისის სამეფო თეატრალური დასის წრეში ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტზე დამყარებით დაიწერა ორი პიესა *ვილასტერი* და *მეფე და არა მეფე*. ამიტომ ვფიქრობ მე, რომ სპარსეთის ხელისუფლებაში უადრესად დაწინაურებულ ქართული წარმოშობის მოხელეთა ამ წრის მეშვეობით შესაძლოა *ვეფხისტყაოსანი* ან ამ პოემის ამბავი ევროპაში გასულიყო და მას ინგლისელ ინტელექტუალთა წრეებამდე მიეღწია.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებსაც. იმდროინდელი ინგლისის მეცნიერთა და ჰუმანიტართა, კერძოდ, დრამატურგთა საზოგადოება მუშტრის თვალთ დაეძებდა აღმოსავლეთიდან მოდწეულ ყველა ამბავს, ცნობას, წიგნს თუ ლიტერატურულ სიუჟეტს. ლიტერატურული საქმიანობის ეს სტილი გამოკვეთილია ბომონტისა და ფლეტჩერის შემოქმედებაშიც. მეორე მხრივ, XV საუკუნის დასასრულიდან დაწყებული ქართული დიპლომატია დაბეჯითებით ცდილობს, პოლიტიკური მხადაჭერა მოიპოვოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ამ მიზნით ქართველთა ქვეყანა მთელი თავისი ღირებულებებით, მათ შორის კულტურულით, წარმოაჩინოს. ჩემი დაკვირვებით, XVI საუკუნის დასასრულიდან გამოიკვეთა ქართველთა კულტურული წარსულის უდიდესი გამოხატულების *ვეფხისტყაოსნის* გადარჩენის ცდა. ამ პერიოდში უნდა იყოს შეკრებილი, შევსებული და ერთ რედაქციად დამუშავებული *ვეფხისტყაოსანი*, წამმღვარებული მისი სასულიერო იდეოლოგიისგან გამმიჯნელი და საერო ლიტერატურად გამომცხადებელი სტროფით, რომელიც გადამწერლებს მისი გავრცელების საშუალებას აძლევდა. ამ პერიოდში უნდა იყოს გააზრებული რუსთველის პოემის ქარველთა მაღალი ინტელექტუალური სახის წარმოჩენისათვის გამოყენების, ალბათ, პირველი ცდა, რაც შემდეგ მრავალგზის, თვით

უკანასკნელი ათწლეულების ჩათვლით, განმეორდა ქვეყნის საუკუნოვან და მძიმე ისტორიაში.

ბუნებრივია, რომ დაისმის ამგვარი კითხვა: იყო კი სპარსეთის წარმოშობით ქართველთა ეს მმართველი და დაწინაურებული წრე, კერძოდ ალავერდი ხანი და მისი ოჯახი, იმგვარი ეროვნული და კულტურული ინტერესებით შთაგონებული, რომ ქართული საზოგადოებრივი ინტერესის ეს მისია ეტვირთა? ჩემი აზრით, ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ჯერ ერთი, ქართულ საისტორიო მეხსიერებაში მტკიცეაა დამკვიდრებული ალავერდი ხანის ოჯახის უნდილაძეთა გვარიდან წარმომავლობის ფაქტი. ეს მტკიცდება არა მხოლოდ თეიმურაზ I-სა და არჩილ II-ის უშუალო მითითებით, არამედ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის ისტორიულ ამბებზე უცხოურ წყაროებში დაცული ცნობებითაც. XVII საუკუნის სპარსელი ქრონისტის ფაზალი ხუზანის ცნობით აჯანყებულმა ქართველებმა 1626 წელს იმამ-ყული ხანის ქალიშვილი და სიძე – ანდუყაფარ ამილახვარი დაატყვევეს. მათ გადასარჩენად შაჰ აბასმა საქართველოში დიდი ლაშქარი გამოგზავნა. შეშინებულმა აჯანყებულებმა თავს გაქცევით უშველეს, მაგრამ მანამდე ტყვედ აყვანილი ანდუყაფარი და მისი მეუღლე – იმამ-ყული ხანის ქალიშვილი საბარათიანოში ალავერდი ხანის ოჯახს გაუგზავნეს [36, გვ. 37].

უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ალავერდი ხანი თავის ოჯახში მკაცრად იცავდა ქართულ ძირებს. მისი მეუღლე ქართველი ქალი იყო. მისი ორი ვაჟიშვილი დიდი ბეგლარბეგები - იმამ-ყული ხანი და დაუდ ხანი ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ, რისთვისაც შაჰ აბასის მემკვიდრემ შაჰ სეფიმ ორივე მოაკვლევინა. დაუდ ხანი თავდაპირველად ფარულად მიემხრო გიორგი სააკაძის აჯანყებას, ხოლო მოგვიანებით თეიმურაზ I-თან ერთად შაჰ სეფის აუჯანყდა.

ალავერდი ხანმა თავისი ვაჟიშვილი დაუდ ხანი თეიმურაზ I-ის დაზე – ელენეზე დააქორწინა. საისტორიო წყაროებით დადასტურებული იყო, რომ იმამ-ყული ხანის ოთხი ქალიშვილი ქართველებზე იყო გათხოვილი: ერთი მათგანი დაუდ-ბეგ გურჯიზე, მეორე – ალი-ყული-ბეგიზე

(როსტომ სააკაძის ძმაზე), მესამე – ნოურუზ თულაშვილზე და მეოთხე – ანდუყაფარ ამილახვარზე [30, გვ. 68; 36, გვ. 69]. XVII საუკუნის სპარსელები თხზულების „აფდალ ალ-თავარიხის“ მესამე ტომში დაცული ცნობის თანახმად, იმამ-ყული ხანის ქალიშვილები (მას ოცდაორი ქალიშვილი ჰყავდა), შაჰ აბასის ნებითა და შუამავლობით ქართული წარმომობის გამაჰმადიანებულ თავადიშვილებსა და აზნაურებზე იყვნენ გათხოვილნი [36, გვ. 46]. ევროპული წყაროები იმაზეც მეტყველებენ, რომ XVII საუკუნის ქართული საზოგადოება უნდილაძეთა ოჯახზე დიდ იმედებს ამყარებდა. იტალიელი მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელიც ამ დროს საქართველოში ცხოვრობდა, ასეთ ფაქტს აფიქსირებს: ირანის შაჰს სეფის საქართველოდან შეუთვალეს: თუ გინდა საქართველოს დაეპატრონო, იმამ-ყული ხანი უნდა მოიშორო, რადგანაც ქართველების თვალები მას მისჩერებიაო [12, გვ.47].

ბუნებრივია, რომ ალავერდი ხანის დიდი ოჯახის მწიგნობრობასთან, და კერძოდ ქართულ მწიგნობრობასთან, დამოკიდებულებაზე სპარსულ საისტორიო წყაროებში ცნობები არაა დაცული და მაინც უნდა მიექცეს ყურადღება რამდენიმე ფაქტს: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ, გადმოცემის თანახმად, ისპაჰანში, ალავერდი ხანის ხარჯით მოხატულ ჩეჰელ-სუთუნის სასახლეში ქართული წარწერებიც იყო გაკეთებული [30, გვ. 65]. უფრო დანამდვილებით იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ იური მარს 1925–26 წლებში ირანში მოგზაურობისას, ისპაჰანში, ალი-კაპუს სასახლეში, სადაც გადმოცემით შაჰ აბას I-ის ცოლების რეზიდენცია იყო, შემდგომ ეპოქაში გაკეთებული შენაღესი ფენის ჩამოხსნის შედეგად ფრესკები გამოჩნდა. ერთ-ერთ მათგანზე გამოხატული იყო მამაკაცის ფიგურა, ხელში გადაშლილი წიგნით, რომელშიც უფორმო ასოები ჩანდა, რომელთა შორის ხშირად მეორდებოდა ორი ქართული ასო: ა, დ [37, გვ. 570]. სპარსეთის ქალაქ შირაზში რომის პაპის მიერ გაგზავნილ მისიონერთა (კარმელიტთა ორდენი) პრეფექტის 1623 წლის წერილი იუწყება, რომ იმამ-ყული ხანს უთხოვია, რომიდან მისთვის გამოეწერათ ბერძნულ და ლათინურ ენებზე

პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა ტექსტები, არაბულ-ლათინური ლექსიკონი და არაბულად თარგმნილი ბიბლია [12, გვ. 279]. სპარსული ისტორიული წყაროების საფუძველზე დაყრდნობით უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალვერდი ხანი ხელს უწყობდა არა მარტო არქიტექტურული პროექტების განხორციელებას, არამედ ისტორიული ქრონიკების და რელიგიური ტექსტების შექმნას; უფრო მეტიც, თვითონ ქმნიდა საკუთარ პოეტურ ნაწარმოებებს [27ა, გვ. 121]. ალვერდი ხანსა და იმამ-ყული ხანს სპარსული წყაროები ილუსტრირებული ხელნაწერების მფარველებადაც მოიხსენიებენ. [27ა, გვ. 137].

დაბოლოს, ალვერდი ხანისა და მისი ოჯახის დამოკიდებულებაზე შაჰ აბასის მიერ საქართველოში წარმოებული სისხლისმღვრელი ლაშქრობებისადმი. ქართველ ისტორიკოსთა დასკვნით, ალვერდი ხანის და მისი ოჯახის წარმომადგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სპარსეთის დიდი მხედართმთავრები იყვნენ, შაჰის მიერ საქართველოში განხორციელებულ ლაშქრობებში პირადად მონაწილეობა არც ერთხელ არ მიუღიათ [30, გვ. 69]. 1612 წლის ოქტომბერში ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და შაჰმა დაიწყო მზადება საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისა და ქართველთა მხარის საბოლოოდ დამორჩილებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი თავის გეგმებს ალვერდი ხანს გაანდობდა: იგი შაჰის უპირველესი მრჩეველი იყო, ამავე დროს მთელი ირანის ჯარების მთავარსარდალი და ბაგრატიონთა სამეფო გვართან დამოყვრებული [39, გვ. 182]. შაჰის ყველა პოლიტიკური ინტრიგის მცოდნე ალვერდი ხანმა კარგად იცოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა ამ საკითხზე თათბირი მის ხელში გაზრდილ მრისხანე მბრძანებელთან. ერთი გადმოცემის თანახმად, რომელიც სპარსეთში ალვერდი ხანის სიკვდილზე გავრცელდა, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ალვერდი ხანმა იმ კაცს, რომელსაც მისი აკლდამის მშენებლობა ევალებოდა, ჰკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო მისი საუკუნო განსასვენებლის მშენებლობა. დიდებულ ხანს აუწყეს, რომ ყველაფერი დასრულდა და აკლდამა მის

მიბრძანებას ელოდებოდა. ალავერდი ხანის მხლებლებმა ამ დაუფიქრებელი პასუხისათვის მშენებელი გაკიცხეს. ალავერდი ხანმა კი იგი დაიცვა, თქვა, რომ მისი წასვლის დრომ უკვე მოაღწია. როგორც ჩანს, შაჰმაც კარგად იცოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა ალავერდი ხანთან თათბირი. შაჰ აბასის მემატთანე ისქანდერ მუნში ასეთ ლეგენდას გადმოგვცემს: შაჰი შორი გზიდან ისპაჰანში დაბრუნდა. ალავერდი ხანი თავისი პროვინციიდან – ფარსიდან შაჰის შესახვედრად ჩამოვიდა (ალბათ დაიბარეს). როცა შაჰმა მას თვალი მოჰკრა, თანამგზავრებს გადაულაპარაკა: ალავერდი ხანს საიმქვეყნიო პირი უჩანსო. მემატთანე დასძენს: როგორც შაჰმა იწინასწარმეტყველა, რამდენიმე დღის შემდეგ ფარსის ამირათა ამირა შემთხვევით ავად გახდა და გარდაიცვალაო. შაჰმა ისიც იცოდა, როგორ უნდა გაცხადებულიყო დიდებული ხანის შემთხვევით გარდაცვალება. მან ერთგული ბეგლარბეგი დიდებულად დაიტირა, ირანის დიდ ხელისუფალთა დასწრებით სამეფო ხარჯით დაკრძალა. მეორე დღესვე მის ვაჟიშვილს იმამ-ყული ხანს ეწვია, მამის ყველა თანამდებობა და სიმდიდრე მას დაუმტკიცა და რამდენიმე თვეში, 1613 წლის ოქტომბერში, საქართველოსკენ სალაშქროდ გაემგზავრა. სპარსული წყაროები იმოწმებიან, რომ ხალხში ფარულად დადიოდა ეჭვი იმაზე, რომ ალავერდი ხანის სიკვდილში შაჰის ხელი ერია. სპარსული წყაროების შეფარვით ნაამბობი ევროპულ წყაროებში ნათლადაა გამჟღავნებული. 1635 წელს პარიზში კლოდ მალენგრის წიგნი გამოსულა (გამომცემელი დე სენ-ლაზარი) [19], რომელშიც ამ ამბავთან დაკავშირებით იკითხება: 'შაჰი მეტად განრისხებული იყო. შირაზის ხანი, სახელად ალავერდი (ალოავარდი) და მისი ჰარემის მეთვალყურე და მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩი-ბაში (კურში ბაში) შეეცადნენ უარი ეთქმევინებინათ შაჰისთვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ. ამის გამო ისინი შაჰის რისხვას ვერ გადაურჩნენ: შაჰმა ბრძანა ალავერდი ხანი მოეწამლათ (იგი მოწამლეს). მან სიკვდილის წინ გამწარებულმა ხელები

დაუკბინა თავის ცოლს. ყორჩი-ბაში კი შაჰის ბრძანებით ჯოხით სცემეს~ [40, გვ. 64].

ამგვარად, რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ამზის XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის ინტელექტუალურ წრეებში შედგენის ჩემ მიერ შესაძლებლად მიჩნეულ სავარაუდო გზებიდან უფრო მეტად სარწმუნოდ მესახება სეფიანთა სპარსეთის კარზე დაწინაურებულ ეთნიკური წარმოშობით ქართველთა ურთიერთობა ევროპელ დიპლომატებთან და ევროპაში სპარსეთიდან გაგზავნილ ელჩებთან. ინგლისში *ვეფხისტყაოსნის* ამზის გამოჩენის უშუალოდ წინა პერიოდში ირანის ცნობილი ბეგლარბეგის და შაჰის უახლოესი მჩველის ალავერდი ხანის, უნდილამის ურთიერთობა ინგლისის ელჩობასთან, რომლის მეთაური ანტონი შერლი XVI საუკუნის დამლევს შაჰ აბასის ელჩად გაემგზავრა ევროპაში; ალავერდი ხანის ინტერესი ქართლის პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მისი მოყვრობა ქართველთა სამეფო კართან; პირადად მისი და მისი ოჯახის მწიგნობრული ინტერესები - ამ საკითხის შემდგომი კვლევის მიმართულებით ახალ პერსპექტივებს სახავს.

ფაქტი ისაა, რომ *ვეფხისტყაოსანი* სიუჟეტურ წყაროდაა გამოყენებული XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისურ ლიტერატურაში; მასზე დაფუძნებითაა შექმნილი ამ პერიოდის უაღრესად პოპულარული დრამატული თხზულებანი. ეს ერთი ახლად აღმოჩენილი მაგალითია იმ კულტურული ხიდისა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებობდა შუა საუკუნეებში.

დამოწმებული ლიტერატურა

წყაროები:

1. Adam Olearius, *Relation du voyage de Moscovie, Tartarie, et de Perse... depuis l' An 1633 jusque en l'An 1639*, Paris 1661.
2. ალექსანდრე ორბელიანი, *ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან*. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H2490.
3. ალექსანდრე ორბელიანი, *ჩემი სახლის წინაპარნი*. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H2412ა.

4. Allen, W. E. D. (ed), Anthony Mango (tr.), *Russian Embassies to the Georgian Kings (1589-1605)*, 2 vol., Cambridge 1970.
5. Antonio Gouvea, *Relations des grandes guerres et victoires obtenues par le roi de Perse de Chah-Abbas contres les empereurs de Turquie Ahmet et Muhamet*. Traduit de partougais, Roven, 1646.
6. Antony Sherley, *Sir Antony Sherley, his Relation of his Travels into Persia*, London 1613 (rep. 1972).
7. Arakel Davrizhetsi, "Livre d'Histoires", *Des historiens arméniens des 16e et 17e siècles*, vol.1. Tr. M. F. Brosset. St. Petersburg 1873; *არაქელ დავრეჯეტის ცნობები საქართველოს შესახებ*. კ. კუციას თარგმანი. თბილისი 1974.
8. არჩილ II, ბაგრატიონი, "გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", *თხზულებათა სრული კრებული*. თბილისი 1999.
9. Beaumont, F. and Fletcher, J., *Philaster or, Love Lies A-Bleeding*. Edited by Andrew Gurr. Manchester University Press 2003.
10. Beaumont, F. and Fletcher, J., *A king and no King*. Edited by Lee Bliss. Manchester University Press 2004.
11. Bijan, [*Tārīkh-e Rostam Khān*], British Library, MS. Add. 7655; *La Vítæi Tempî di Rostam Khan* (edizione e traduzione del ms. British Library Add. 7655). Ed. Giorgio Rota. Ph. D. Thesis. Istituto Universitario Orientale, Naples 1996.
12. *The Chronicle of the Carmelites and Papal mission in Persia XVII-XVIII centuries*, v.1. London 1939.
- 12ა. დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე* (ბ. გიორგაძის თარგმანი). გამომც. „მეცნიერება“, თბილისი 1977.
13. Eskander Monshî, *Tārīkh-e ‘ālam-ārê-ye ‘Abbâsî*, ed. Īraj Afshâr, Tehran, 1971-72; ვლადიმერ ფუთურიძე, *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, თბილისი 1969.
14. *ვისრამიანი*. გამომცემლები: ა. გვახარია და მ. თოდუა. საქართველოს მეც. აკადემიის გამომცემლობა., თბილისი 1962.
15. ფარსადან გორგიჯანიძე, *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია*. ს. კაკაბაძის გამოც., თბილისი 1926.
16. Fazlî Khûzânî al-Esfahânî, *Afzal al-tavârikh*. University of Cambridge, Ms Dd. 5.6.

17. იოანე ბაგრატიონი, *აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა*. ზურაბ კაცელაშვილის გამოცემა, თბილისი 1997.
18. Jolâl al-Dîn Monajjem, *Târîkh-e ‘Abbasî*. Ed. Seyf-allâh Vaĥîdniyâ, Tehran 1987-88; British Library, MS Or. 6263.
19. Maligre Claude, *Histoires Tragiques de notre Temps, par sieur de S. Lazare Historiographe*. Paris 1635.
20. Mir Mohammad Sa’id Mashîzî, *Tarzkere-ye Şafavîye-ye Kermân*. Ed. Moĥammad Ebrâhîm Bâstanî-Pârîzî, Tehran 1990-91.
21. Pietro Della Valle, *Informazione della Giorgia datta alla Santita di nostro Signore Urbano VIII...*, Roma 1627.
22. Pietro Della Valle, *I vioggi di Pietro Della Valle, Lettre della Persia*, vol. I. Eds. F. Gaeta and L. Lockhart, Roma 1972.
23. რამაიანა. რ. გვეტაძის თარგმანი. თბილისი 1951.
24. *Relations de Don Juan de Persia dirigidas a la Magestad Chatolica de Don Philippe III, Rey de las Españos*. Valladolid 1604.
25. სეხნია ჩხეიძე, *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხიძისა*. დ. ჩუბინაშვილის გამოც., სანკტ პეტერბურგი 1854.
26. ნიზამი განჯელი, *ლეილი და მაჯნუნი*. მ. თოდუას თარგმანი. გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი 1974, გვ. 105-337.
27. Valîqolî Shâmlû, Qeşaş al-khâqanî. Ed. Ḥasan Sâdât-Nâşerî, vol. 1-2. Tehran 1992-96.
- 27a. Babaie, S., Babayan, K., Baghdiantz-McCabe, I., Farhad, M., *Slaves of the Shah. New Elites of Safavid Iran*. I. B. Tauris, London, New York 2004.

სამეცნიერო ლიტერატურა:


28. ფალსაფი, ნ., *შაჰ-აბას პირველის ცხოვრება* (სპარსულიდან თარგმანი ლ. ჟორჟოლიანისა). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003.
29. Finkelpearl, P. J., *Court and Politics in the Plays of Beaumont and Fletcher*. Princeton University Press, Oxford 1990.
30. გაბაშვილი, ვ., “უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში”, *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, ტ. II. თბილისი 1972.

31. Gerson, A. J., *The Organization and Early History of the Muscovy Company*, New York 1912.
32. Khintibidze, E., 'Negotiations between the Georgian and Spanish Kings at the End of the Fifteenth Century', *Mediterranean Historical Review*, vol. 6, no. 2, December 1991, London, pp78-85.
33. Khintibidze, E., *Georgian-Byzantine Literary Contents*. Adolf-Hakkert-Publisher, Amsterdam 1996.
34. Khintibidze, E., *Georgian Literature in European Scholarship*, Adolf-Hakkert-Publisher, Amsterdam 2001.
35. Khintibidze, E., *Rustaveli's The Man in the Panthe Skin and European Literature*. Bennet and Bloom, London 2011.
36. Maeda, H., 'On the Ethno-Social Background of Four *Gholam* Families from Georgia in Safavid Iran'. *Studia Iranica*, tome 32. Paris 2003, p. 243-278.
- 36a. მაედა, ჰ., ახალი ინფორმაცია ალავერდი ხანის შესახებ აფდალ ალ-თავარახის მესამე ტომიდან, *ვალერიან გაბაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბილისი 2001.
37. Марр, Ю. Н., По поводу выставки копий фресок Али-Капу, *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვეთი VII. ტფილისი 1937.
- 37a. პავლიაშვილი, ქ., "ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე", *ქართული დიპლომატია*, 4. თბილისი 1997.
38. Ross, E. Denison, *Sir Antony Sherley and his Persian adventure*. London 1933.
39. სვანიძე, მ., *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები*. თბილისი 1990.
40. ტაბაღა, ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, III. გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი 1987.
41. Waith, E. M., *The Pattern of Tragicomedy in Beaumont and Fletcher*. Archon Books 1969.

Rustaveli's *The Man in the Panther Skin*: Cultural Bridge from East to West and the Georgians of Safavid Iran

Elguja Khintibidze

Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Head of the University's Institute of the History of Georgian Literature. Head of the Fund for Kartvelian Studies.



Abstract: In the Middle Ages the road from East to West was not only a trade and economic route but it served as a cultural bridge as well, Georgia being an important user of this bridge. In the present study attention is focused on Rustaveli's *The Man in the Panther Skin* along these lines. My research of recent years has enabled me to state and argue an absolutely new fact both for Kartvelology (Georgian Studies) and for English literary criticism, namely that Rustaveli's MPS was used early in the 17th century as a plot source by the English dramatists Francis Beaumont and John Fletcher. On the basis of the story of the love of the main characters of MPS, Tariel and Nestan, the cited dramatists wrote two plays: *Philaster* and *A King and No King*, that were successfully produced through the 17th century on the English stage.

The means by which the story of Rustaveli's poem reached the intellectual circles of the England of Shakespeare's time remains a mystery. Only conjectures may be made on this issue. One of these conjectures seem to me relatively more convincing: the circle of Islamised Georgians at the Safavid court in Persia, in particular Allahverdi Khan and his family. The point is that towards the end of the 16th century the Iranian royal court was visited by a large embassy of Englishmen led by the well-known diplomat Antony Sherley. The Englishmen sojourned long at the Shah's court and, with the support of Shah Abbas and his foremost confidant and commander Allahverdi Khan, they reorganized and rearmed Iran's army. After this Antony Sherley left for Europe in the rank of the Shah's envoy, where for years he facilitated the establishment of political and trade relations between

Iran and Europe. This period coincides exactly with the entry of the story of MPS into England.

Key words: “*The Man in the Panther Skin*”, Francis Beaumont, John Fletcher, Allahverdi Khan

As is known, the historical road from East to West in the Middle Ages was not only a trade and economic route but it served as a cultural bridge as well. Clear examples of this are: the Persian *Vis o Ramin*, whose trace is seen in the European *Romance of Tristan and Iseult*, the Indian *Panchatantra* and the Persian *Kilila wa Dimna*, which influenced the development of the fable genre in Europe.

Medieval Georgia was one of the major links along this cultural route, as attested by a legend of Indian provenance, subsequently repeatedly adapted in Georgia from the Arabic *Kitab Bilawhar wa Būdasf* as the Georgian *Wisdom of Balavar*. A Georgian author of the end of 10th century rendered the story from Georgian sources into a Greek hagiographic work which turned into a highly popular novel of almost all countries of 12th-15th centuries Europe [33, pp.192-291].

On this occasion I want to discuss in more detail a fact brought to light as a result of my research of recent years, which is a significant novelty both for Georgian and European philology.

It has transpired that Rustaveli’s *The Man in the Panther Skin*, the acme of Georgian poetry and philosophy of his day, served as another cultural bridge from East to West.

The Man in the Panther Skin by Shota Rustaveli, a Georgian poet of the turn of the 12th -13th centuries, is an epic poem containing lyrical passages. The plot of the poem unfolds through an oriental type framework adapted to Georgian reality, as pointed out by the author himself: ‘This Persian tale, now done into Georgian ... I have found it and mounted it in a setting of verse’. The adventure of Rustaveli’s principal enamored couple: search by Tariel and his companion Avtandil for Tariel’s love Nestan lost through an intrigue at the Indian royal court; pointing to the trace of the lost beloved by

King Pridon, a casual acquaintance of Tariel; the freeing of Nestan from Kajeti, demons, fortress, by the three friends with the help of Pridon's warriors. This is a typical oriental narrative, like a fairy-tale plot migratory in the medieval East, one archetype of which is seen in the ancient Indic epic *Ramayana* [23]. The narrative of *The Man in the Panther Skin* retains this oriental flavour in individual components as well. A direct parallel of Tariel's losing consciousness at his first seeing Nestan after being reared together with her in their childhood is to be found in *Vis and Ramin's* story [14]; the telling by Tariel, gone mad with love, of his story to Avtandil and the latter's decision to lay his life to help his friend evince relationship with the scene of establishing friendship between Majnun and the knight Navfal from the popular oriental story of the love of *Leyla and Majnun* [26].

A story of oriental type is given allegorical significance of the history of the twelfth-century Georgian royal court by Rustaveli. He introduces an original solution of the problem of succession to the throne, preaching the love of the two successors in place of their enmity; he reinterprets the Christian thesis of the love of one's neighbour into the Renaissance ideal of human love; he puts Classical philosophy into the fabulous flow of oriental narrative; the endless roaming in search of the beloved is turned into a theological thesis of the existence-nonexistence of evil, and turns all into an original plot of a Georgian poem.

On the basis of my research of recent years I have had the honour to report and argue an absolute novelty to the history of Georgian culture and European literary criticism, namely that the highest and most popular literary circles of early seventeenth-century England were acquainted with Rustaveli's *The Man in the Panther Skin*, successfully putting it to literary use [35, pp.50-84]. In William Shakespeare's lifetime two plays by Francis Beaumont and John Fletcher – his direct successors – were performed on the English stage for a century: *Philaster* [9] and *A King and No King* [10], created by adaptation of the plot of Rustaveli's *The Man in the Panther Skin*. The direct plot source of the cited plays is hitherto

considered to be unknown to English literary criticism [29, p.168; 41, p. 15].

The plot of both plays unfolds round the problem of succession to the throne, involving the king's successor woman and the youth also considered heir to the throne. This problem is an immediate and basic theme of Rustaveli's *The Man in the Panther Skin*. In these plays of the English authors the king has a single female offspring, and the problem is solved through the love of the successor woman and the young man, and their marriage. This is the solution of the issue of succession to the throne according to Rustaveli's poem.

Now let us discuss the topic in more detail, beginning with *A King and No King*. My discovery was based on the following considerations:

1. The action in the play by Beaumont and Fletcher takes place at the Iberian royal court. Beaumont and Fletcher's Iberia refers to Georgia and not the Iberian peninsula of historical sources. Suffice it to say that the principal character of *A King and No King* – the young king of Iberia – defeats the king of the neighboring country Armenia, brings him captive to the Iberian royal court, where the subsequent action of the play takes place.

2. The basic facts of the romantic intrigue of the enamoured couple in the English play *A King and No King* coincides with the story of Nestan and Tariel – the enamoured pair of India in *The Man in the Panther Skin*: in both works the childless king and queen adopt the newborn son of a nobleman; later the queen gives birth to a daughter; upon reaching adulthood the boy and girl fall madly in love; following dramatic adventures they marry and the issue of succession to the royal throne is resolved.

3. In addition to the common elements of the plots of both stories, there are some strong similarities in both plots, for example: the pregnancy of the queen just five years after the adoption of a child; the isolation of the boy and girl from each other in their childhood; the prince's loss of his consciousness when he first sees the girl; the removal of a prince brought from a neighboring country

as groom for the daughter.

4. Such details are found in both *A King and No King* and *Philaster* that point directly to *The Man in the Panther Skin* as a direct plot source, ruling out the obtaining of this plot by the English authors from any other older source, i.e. migratory plot that may have been known to Rustaveli himself. The hint of the authors of *A King and No King* at *The Man in the Panther Skin* does not end with locating the action of the play in Georgia. The princess of the couple in love in the English play, whose prototype is Nestan from Rustaveli's *The Man in the Panther Skin*, is called Panthea. "Panther" is the translation of the Georgian *vepkhi*, and the *vepkhi* or "panther", is in Rustaveli's poem, whose title in Georgian is *Vepkhistqaosani* ('one who wears a panther's skin'), a symbol of Nestan. Assuming that Panthea's name is based on the panther as the symbol for Nestan provides the most acceptable explanation for Panthea's name, and that, of course, presupposes that Beaumont and Fletcher knew the plot of the *The Man in the Panther Skin* in detail, along with the symbols used.

Now a few words about *Philaster*.

Similarly to *The Man in the Panther Skin*, in *Philaster* two kingdoms are united. The king of the united kingdom has a female successor, but the son of the other kingdom has a claim to his throne. The king invites the prince of a neighbouring country as a groom for his daughter. The same occurs in *The Man in the Panther Skin*. The issue is solved through the love of the two successors, with the girl offering her love to the young prince. This plot coincides precisely with that of Rustaveli's poem. Similarity with *The Man in the Panther Skin*, as well as in *A King and No King*, is seen in *Philaster* in a number of essential details of the plot.

To announce her love, the woman invites the young man to visit her, sending him a letter through her handmaid. It transpires that the young man too is secretly in love with her. They together work out a plan of action in order to remove the invited bridegroom and dreaming of coregnancy. Thus, the coincidence of this plot with that of *The Man in the Panther Skin* is obvious.

Besides the parallels brought to light by me in the development of the principal line of the plot, essential relations are apparent in both plays of the English dramatists along the line of posing idea and thematic issues, the shaping of the characters and the nuance twists of the plot. It is natural to query how Rustaveli's poem came to be known to English writers early in the seventeenth century. To date there seems to be no answer to this question in Georgian or English sources. I can make several suppositions.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტიპოლოგიური ხასიათის მიმართება როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებთან, გალაკტიონ ტაბიძის ადრეული შემოქმედების ერთ-ერთ საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს. პოეტი ხშირ შემთხვევაში წაკითხული ლექსიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ახალ ნაწარმოებს, რომელიც

დაკავშირებულია თავის ლიტერატურულ წყაროსთან, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებელი პოეტური ტექსტია. ეს ფაქტი გალაკტიონოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო არგუმენტაციის შედეგად შეფასებულია, როგორც ტრადიციული მასალის ტრანსფორმირება, რომელიც სხვადასხვა ხარისხით ხდება: ზოგჯერ იგი პოეტური სახის გადააზრებაში თუ ლოკალურ აზრობრივ დაპირისპირებაში ვლინდება, ზოგჯერ კი კონცეფციათა სხვაობის სახეს იღებს [3, გვ.484]. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისის კიდევ ერთი დადასტურება გალაკტიონის ლონგფელოსთან მიმართების ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიც გახლავთ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, გ., გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა (სიმბოლისტური პერიოდი): *ქ. ცისკარი*, 8, 1967
2. დოიაშვილი, თ., გალაკტიონის პოეტიკის სათავეებთან (მეტრიკა, რითმა, სტროფიკა): *კრ. ჭაშნიკი*. თბილისი, 1984.
3. დოიაშვილი, თ., გზა „არტისტული ყვავილებისკენ“: *ლიტერატურული ძიებანი*, 2005, XXVI.
4. თვარაძე, რ., ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა. თბილისი, 2004.
5. ტაბიძე, გ., თხზულებანი 12 ტომად. ტ. I. თბილისი, 1966.
6. ქსე, ტ., VI. თბილისი, 1981
7. ჩხენკელი, თ., წერილები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.
8. ხინთიბიძე, ა., გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები. თბილისი, 1992
9. ხინთიბიძე, ა., გალაკტიონის პოეტიკა. თბილისი, 1987
10. Милорадович, А., *Сказки, переводы и стихотворения*. 1904.
11. Longfellow, H.W., *The Complete Poetical Works*. Boston, Mifflin, 1911

**Literary Parallels:
Galaktion Tabidze and Henry Longfellow**

Natia Sikharulidze

Researcher of the “Galaktion Study Centre”, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Abstract: The paper analyses the specimens of Galaktion Tabidze’s early works that evince closeness to the poetry of the popular American romantic poet Henry Wadsworth Longfellow.

In Galaktion Tabidze’s untitled poem (“...once, somewhere in solitude”) the last lines of Longfellow’s work (“The Arrow and the Song”) are repeated. However, the resemblance between the two works ends here. The Georgian poet places the words of the American poet in a different context, specific to his own lyric, turning them into an element of his own poetic system.

Galaktion’s poem “The Autumn Day” preserves the mood and peculiarities of form of Longfellow’s “Rainy Day”, but the cause of this mood and the principle of using form elements are altered. Semantic difference is essential in this case. As a result of introducing the motif of love against the backdrop of a similar landscape, the “Autumn Day” deviates from the problems of Longfellow’s poem and naturally finds its place among the works created by Galaktion on the love theme.

The relation of the Georgian poet to the lyric of the American author finds its exact place in the frame of intertextual boundaries.

Key words: *intertextuality, Galaktion, Longfellow*

Galaktion Tabidze (1891-1959) is the greatest Georgian lyricist. Two reforms of Georgian poetry are linked with his name. Galaktion’s role in the history of Georgian literature is as significant as that of the best representatives of symbolism in Europe and Russia. Early in the 20th century creatively conceptualizing the achievements of the new poetry, Galaktion blended the peculiarities of European

culture with national traditions; as a result Georgian poetry entered the general cultural area.

There are two mutually opposed views regarding the early poetry of Galaktion Tabidze. According to the traditional view, the 1908-1914 period is that of his literary apprenticeship [1, p. 111]. His lyrics of the cited period is imprinted with stylistic diversity, subjected to the inertia of 19th century poetry [7, p.13].

According to another view, Galaktion's early lyrics is a special stage in his creative work - judging by his first book he is an accomplished poet with a definite world view and style [2, p. 77], accordingly, 1908-1914 was the road of Galaktion to "Artistic Flowers"¹ [3, p. 319].

Regrettably, the majority of the researchers that speak of Galaktion as an imitator restrict themselves to citing only separate lines.

The present paper discusses those works of Galaktion that evince affinity with the poetry of the popular American romantic writer Henry Wadsworth Longfellow (1807-1882), and the character of Galaktion's relationship to the well-known works of the cited author.

**"...once, somewhere, in solitude" and
"The Arrow and the Song"**

In a poem of Galaktion, without a title ("...once, somewhere, in solitude") several lines are reminiscent of Longfellow's poem: in both cases the lyrical character finds the lost song in the heart of a friend:

"Time passed, I forgot
The song said somewhere, once,
Until I found it in the heart of a friend
Deeply woven and preserved." [5, p.126]
"And the song, from beginning to end,
I found again in the heart of a friend." [11, p. 68]

¹ "Artistic Flowers" – The second collection of Galaktion Tabidze's poems: *Crâne aux Fleurs Artistiques*, 1919.

This resemblance did not remain unnoticed. I. Kenchoshvili pointed to the link between the poems. “G. Tabidze’s “Song” (“...once, somewhere...”, 1911) is a variation of Longfellow’s poem “The Arrow and the Song”, - the researcher writes [6, p. 281].

If we share the view regarding the apprentice character of Galaktion’s early poetry, his poem “...once, somewhere, in solitude”, dated in 1911, may be taken for a variation of Longfellow’s poem. However, it would be right first to compare these two works.

As is known, Galaktion did not know English. “The Arrow and the Song” was translated into Georgian only in the second half of the 20th century. Presumably, the poet must have familiarized himself with the Russian translation of Longfellow’s poem. “The Arrow and The Song” was translated into Russian in the 19th century, while early in the 20th century numerous Russian translations were available. Chronologically closest to Galaktion’s work is A. Miloradovich’s translation of “The Arrow and The Song” („Сказки, переводы и стихотворения”, 1904).

In comparing the poems of Longfellow and Tabidze, a significant difference in content between them claims attention. “The Arrow and the Song” comprises three stanzas: in the first and second stanzas the lyrical character tells us about the loss of the arrow and the song, and in the third about finding them:

“I shot an arrow into the air,
It fell to earth, I knew not where;
For, so swiftly it flew, the sight
Could not follow it in its flight.

I breathed a song into the air,
It fell to earth, I knew not where;
For who has sight so keen and strong,
That it can follow the flight of song?

Long, long afterward, in an oak
I found the arrow, still unbroke;
And the song, from beginning to end,

I found again in the heart of a friend.“ [11,p. 68].

Nothing is said in Galaktion's poem about the arrow. He concretizes the situation in which the lyrical character found the song ("Once, when I was travelling on the road / I heard my own sorrow..."), and which is most important, the content of the "forgotten" song is disclosed: "My song was sobbing / the lyre groaned the solitude of the soul", - the poet writes. It is the solitude of the soul, the motif of loneliness that differs Galaktion's poem from that of Longfellow.

In Galaktion's poem the lyrical character discloses the reason of spiritual solitude. It is "belated love":

"And I cannot forget the image of the maiden
Somewhere, once dreamt in thought,
Then come true in reality,
But... rather belated." [5, p.126]

The theme of belated love, as well as that of spiritual solitude, links this work to Galaktion's early lyrics. Let us recall, for that matter, "I Curse Love", in which the feeling of spiritual solitude is caused by love. The lyrical character curses love, because "now it is late" and "neither the soul nor heart is capable of such love..."

It should also be foreseen that the motif of forgetting (or on the contrary, hearing) of a "sad", pensive song repeats often in Galaktion's works ("To a Friend", "The Word of the Poet", "Love from Afar", "On the Turf). From this standpoint too, "...once, somewhere, in solitude" is closely connected with Tabidze's early lyrics.

Galaktion's attention seems to have been attracted by the last phrase of Longfellow's work ("*And the song, from beginning to end/I found again in the heart of a friend*"). He repeated these lines in his poem. But the resemblance between the work is limited only to this. The Georgian poet places the words of the American writer in a different context, characteristic of his own lyrics, turning them into an element of his own poetic system. Obviously, Galaktion was familiar with this poem by Longfellow, and it gave an impulse to the

Georgian poet. Yet because of this "...once, somewhere, in solitude" cannot be considered a mere variation of Longfellow's work.

"The Autumn Day" And "The Rainy Day"

"The Autumn Day" is considered one of the best specimens of Galaktion's early lyrics. Akaki Khintibidze considered this poem to be a first-rate work of the 1914 collection (8, 188), while Revaz Tvaradze noted that the mood and images of "The Autumn Day" were unexpected for Georgian poetry of the twentieth century (4, 109).

The impressive force of the poem will probably not fade if I say that, in my observation, it evinces some closeness to Longfellow's "The Rainy Day". Both poems begin with the description of an almost same "dreary" day:

"The Autumn Day":

"The autumn day, the autumn day!
A day sad day and sapped of strength;
A dark shadow covers the sky
The robbed forest sways
The autumn day, the autumn day!

The leaves of the trees keep falling,
Turned yellow, withered prematurely;
It will blow with anger, the wind will blow,
The field has turned yellow, the sward has
turned yellow...

he leaves of the trees keep falling. [5, 136]

"The Rainy Day":

The day is cold, and dark, and dreary;
It rains and the wind is never weary;
The vine still clings to the mouldering wall,
But at every gust the dead leaves fall,
And the day is dark and dreary. [11, 16]

Apart from landscape, these poems have other things in common as well: the lyrical character with Galaktion, as well as with

Longfellow, is sorry for the vanished, lost dream (hopes) (“The pure dream of my soul has vanished”; “the hopes of youth fall thick in the blast”), and despite sadness, both try to calm themselves (“Be calm, heart”; “Be still, sad heart!”).

Sad mood connected with autumn is a widespread motif in lyrics and, were it not for other circumstances, talking of the resemblance of the poems according to this motif alone would not be convincing. Especially noteworthy in determining the interrelationship is, I believe, the sameness of the structure of stanzas. Both poems are composed of five-line stanzas. This variety of stanza, barring the classic iambic and mukhambazi forms, is hardly characteristic of Georgian poetry.

The link between the systems of rhyming should also be taken into account; to be sure, the **aabba** arrangement of Longfellow’s work is not repeated exactly by Galaktion, but the peculiarity characteristic of “The Rainy Day” is preserved: in each stanza three lines are interrhymed, while the remaining two have a different rhyme. A. Khintibidze notes that this combination of the rhymes of a five-line stanza essentially differs from the rhyme combinations of traditional five-line stanzas [9, 71].

The same principle of the use of refrain is also highly important: with Longfellow all stanzas of the poem begin and end similar lines, the first line of the third stanza being the only exception. The first and second stanzas of “The Autumn Day” have a similar structure.

When discussing the relationship of other works of Galaktion and Longfellow (“...once, somewhere, in solitude” and “The Arrow and The Song”), I supposed that the Georgian poet must have acquainted himself with the works of the American writer through the book of A. Miloradovich (“Сказки, переводы и стихотворения”, 1904). “The Rainy Day” appears in the cited collection:

“The day is cold, and dark, and dreary;
It rains and the wind is never weary;
The vine still clings to the mouldering wall,

But at every gust the dead leaves fall,
And the day is dark and dreary.

My life is cold, dark, and dreary;
It rains, and the wind is never weary;
My thoughts still cling to the mouldering past,
But the hopes of youth fall thick in the blast,
And the days are dark and dreary.

Be still, sad heart! And cease repining;
Behind the clouds is the sun still shining;
Thy fate is a common fate of all,
Into each life some rain must fall,
Some days must be dark and dreary.” [11, 16]

Taking all this into consideration, it may be said that a trace of an impression received from “The Rainy Day” is clearly seen in Galaktion’s poem. However, apart from resemblance, there is a considerable difference in content between the poems: the “mysterious sensation”, “inexpressible relief” of Galaktion’s lyrical character are unknown to the work of the American poet.

“I am full of some mysterious sensation,
I am fascinated by an inexpressible relief.
What is it – a misfortune
Caused by happiness

Or ill-fatedness caused by bitterness and passion?” [5, 136]

In each poem sad mood has differing causes: in Longfellow’s work cold and dark times, with Galaktion – disillusionment caused by love. Accordingly, both lyrical characters calm themselves in different ways: one takes comfort in the fact that all are suffering around him, and the other with the hope of the return of the vanished passion and love:

“Be calm, heart, you’ll love
Someone in this world... calm, heart!
The joyless days will go away,
The vanished passion will rise again,

My dream and love!" [5, 137]

Galaktion names the poem "The Autumn Day", which is not only a mere indication of the season of the year. Through this title the poet brings it close to his other works on the autumn theme. It is significant also that in Galaktion's early lyrics ("The Tender Autumn is Coming", "The Horizon is Swaying Slightly") the recalling or expectation of "the tender, sweet dream" of a love seen once are connected with an autumn landscape, "cold of wilting".

Thus, Galaktion retains the mood of "The Rainy Day" and the peculiarities of form, but the cause of this mood and the principle of the use of form elements are altered. I believe, in this case, the difference in the semantic content is more essential: as a result of introducing a love motif against the backdrop of a similar landscape, "The Autumn Day" deviates from the sphere of the problems of Longfellow's poem, naturally finding its place among Galaktion's works created on the theme of love.

It must be said by way of conclusion that such typological relation – both with Georgian and foreign authors – constitutes one of the noteworthy aspects of Galaktion Tabidze's early works. Frequently, the poet creates a new work by the impression received from a poem he has read. The new work is related to the literary source, yet it is an independent poetic text. In Galaktion Studies this fact is – on the basis of relevant argumentation – evaluated as transformation of traditional material, effected at different degrees: at times it is manifested in a re-evaluation of a poetic image or local semantic opposition, sometimes it assumes the shape of difference of conceptions (3, 484). I think, the above analysis of Galaktion's relation to Longfellow is one more proof of this point of view.

References:

1. Asatiani, G., The Poetics of Galaktion Tabidze (period of symbolism): "Tsiskari", 8, 1967. (in Georgian)

2. Doiashvili, T., At the Source of Galaktion's Poetics (metrics, rhyme, strophes): Coll. Papers "Chashniki". Tbilisi, 1984. (in Georgian)
3. Doiashvili, T., The Road to "Artistic Flowers": "Literaturuli Dziebani", XXVI, 2005. (in Georgian)
4. Tvaradze, R., Legend of the Life of Galaktion. Tbilisi, 2000. (in Georgian)
5. Tabidze, G., Works in 12 Volumes. v. I, Tbilisi, 1966. (in Georgian)
6. Georgian Soviet Encyclopedia. v. VI, Tbilisi, 1981. (in Georgian)
7. Chkhenkeli, T., Letters. Tbilisi, 1972. (in Georgian)
8. Khintibidze, A., Galaktion or the Blue Horns. Tbilisi, 1992. (in Georgian)
9. Khintibidze, A., Galaktion's Poetics. Tbilisi, 1987. (in Georgian)
10. Милорадович, А., Сказки, переводы и стихотворения. 1904. (in Russian)
11. Longfellow, H.W., The Complete Poetical Works. Boston: Mifflin, 1911. (in Georgian)

ალექსანდრე ჭეიშვილი ემიგრაციაში

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

რეზიუმე: საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრე ჭეიშვილის (1903-1962 წწ.) ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშად რომანი „ლელო“ (1938 წ.) იქცა, რომელშიც საბჭოთა პერიოდის ჩვენი ლიტერატურისათვის ფართოდ დამახასიათებელი ტენდენციურობით იყო წარმოსახული სოფლად კოლექტიური მეურნეობის დამკვიდრების პროცესი. თუმცა „ლელო“ გამონაკლისი არ ყოფილა და მწერლის მხატვრული ნაწარმოებების უმეტესობის უმთავრეს მიზანსაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეპოქალური სინამდვილის განდიდება წარმოადგენდა.

იმდროინდელი ხელისუფლება ალ. ჭეიშვილს მის სამსახურში ამგვარი ერთგულებით დგომის გამო სათანადო პატივს მიაგებდა. ზემოთქმული გარემოების გათვალისწინებით, მით უფრო ძნელი ასახსნელია, რამ აიძულა ის, ოჯახი დაეტოვებინა და ემიგრანტი გამხდარიყო. როგორც ცნობილია, 1958 წელს მწერალი დასავლეთ გერმანიაში გადავიდა და იქაურ ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი თხოვა. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, გერმანიაში ალ. ჭეიშვილი საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ იყო შეგზავნილი. ამ მოსაზრების სიმართლეს ნათლად ადასტურებს თბილისში, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, დაცული ის წერილები, რომელთაც ემიგრაციაში მყოფი მწერალი უგზავნიდა თავისი ოჯახის წევრებსა და სხვადასხვა ოფიციალურ პირებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

გარდა ხსენებული მასალებისა, ალ. ჭეიშვილის ემიგრანტული ცხოვრების საფუძვლიანად შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანიაში არსებული მისი ხელნაწერების მოძიებასა და საქართველოში ჩამოტანას. მათი მეშვეობით უფრო

ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება სამშობლოდან მწერლის გადახვეწის განმაპირობებელ რეალურ გარემოებებსა და მისი ცხოვრების გერმანულ პერიოდზე.

საკვანძო სიტყვები: *ალექსანდრე ჭეიშვილი, ემიგრაცია, სპეცსამსახურები, გერმანია, ციტერმანი.*

საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრე ჭეიშვილის (1903-1962 წწ.) ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშად გასული საუკუნის 40-50-იანი წლების ჩვენს მწერლობაში საკმაოდ გახმაურებული რომანი „ლელო“ (1938 წ.) იქცა. ე. წ. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური პრინციპებისადმი ერთგულებით დაწერილმა ამ ნაწარმოებმა, რომელშიც საბჭოთა პერიოდის ჩვენი ლიტერატურისათვის ფართოდ დამახასიათებელი ტენდენციურობით იყო წარმოსახული სოფლად კოლექტიური მეურნეობის დამკვიდრების პროცესი, მწერალს არა მარტო საქართველოში მოუტანა დიდი შემოქმედებითი წარმატება, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც.

კერძოდ, ალ. ჭეიშვილის რომანის გადამუშავებული ვარიანტები რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში, ნაწარმოები დაიბეჭდა რუსულ ენაზეც, 1950 წელს კი ხსენებული რომანის დაწერისათვის მწერალს სტალინური პრემია მიენიჭა. იმდროინდელ კრიტიკოსთა აზრით, ალ. ჭეიშვილის „ლელო“ მხოლოდ „ქართული პროზის თვალსაჩინო გამარჯვებას“ (ს. ჭილაია) კი არ წარმოადგენდა, არამედ მთელი საბჭოთა მწერლობის შენაძენიც იყო.

ალ. ჭეიშვილის რომანის ამგვარი შეფასება დღესდღეობით არა მარტო მასში აღწერილ ეპოქალურ მოვლენათა ყავლგასულობისა და სიყალბის გამოა მიუღებელი, არამედ მხატვრული ოსტატობის მხრივაც. კერძოდ, თავისი ლიტერატურული ღირსებებითა და სიტყვიერი ხელოვნებით „ლელო“ ამკარად ჩამოუვარდება იმავე თემაზე დაწერილ ისეთ ნაწარმოებებს, როგორებიცაა: კ. გამსახურდიას „მთვარის

მოტაცება”, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა” და კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი”.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ აღ. ჭეიშვილის ნაწარმოებში თუნდაც შენიღბული ფორმითაც კი არ ვლინდება ეპოქალური სინამდვილის ანტიუტოპიური წარმოსახვის ის ტენდენცია, რითაც ხსენებული რომანები (განსაკუთრებით კი „მთვარის მოტაცება”) ხასიათდებიან მეტ-ნაკლებად.

მწერლის შემოქმედებაში „ლელო” ზემოთქმული თვალსაზრისით გამოწვევის შემთხვევას არ წარმოადგენს და მისი ნაწერების უმეტესობის უმთავრესი მიზანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ეპოქალური სინამდვილის იდეოლოგიური ტენდენციურობით განდიდება იყო, რის გამოც იმდროინდელი ხელისუფლება გულუხვად მიაგებდა სათანადო პატივს. ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მწერალი უცხოეთშიც ხშირად იყო ხოლმე მივლინებული, რაც იმ დროისათვის საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თითქოსდა ძნელი ასახსნელიცაა და ერთი შეხედვით გაუგებარიც, რამ აიძულა იგი, ოჯახი დაეტოვებინა და ემიგრანტი გამხდარიყო. ამით იგი ხომ არა მარტო სამშობლოსთან წყვეტდა კავშირს, არამედ ფაქტობრივად მთელ თავის მანამდელ შემოქმედებასაც უკარგავდა ფასს - საბჭოთა კავშირში დაწერილი მისი ის ნაწარმოებები, რომელთა შექმნის უმთავრეს მიზანს სოციალისტური ეპოქის განდიდება წარმოადგენდა, დასავლეთ ევროპაში გადასახლებულს ხომ ნაკლებად გამოადგებოდა.

თავად მწერლის ხაზგასმით, მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი არამც და არამც არ უნდა შეფასებულიყო სამშობლოს ღალატად. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს ცოლ-შვილისადმი გერმანიიდან გამოგზავნილი მისი ერთ-ერთი წერილიდან: „ყველაზე მეტად ამ პირველი კითხვის დასმა მიმძიმს: „როგორ ხართ?” მეფიქრება, რომ თქვენც და ჩვენებაც მაქედან მომდურავად შემომხედავთ და საყვედურით მომიგებთ, აბა, როგორ უნდა ვიყოთ, შენ თვითონ რას ფიქრობო. მართლაც ძნელი გამოცდის წინაშე დაგაყენეთ.

მაგრამ ღმერთმა იცის, ცუდის გულით და ცუდის ზრახვებით არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი ეს იმის გაგრძელებაა, რასაც მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თავსა და ხშირად თქვენს ინტერესებსაც ვწირავდი.”

როგორც ცნობილია, 1958 წლის შემოდგომაზე ალ. ჭეიშვილი შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში, საიდანაც დასავლეთ გერმანიაში გადავიდა და იქაურ ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი თხოვა.

მწერლის გერმანელი მეგობრის - ევგენია ციტერმანის აზრით, ამ ნაბიჯის გადადგმის დროს მწერალი უპირველეს ყოვლისა „საუკეთესო განზრახვითა და კეთილი სურვილით მოქმედებდა და სურდა, აღმოსავლეთის ადამიანი გაეცნო დასავლეთისთვის, გამოეძებნა საერთო ენა, რომელიც სულ უფრო და უფრო დგებოდა გაქრობის საფრთხის წინაშე. დიახ, მან ეს ნაბიჯი გადადგა ყველა ადამიანის თანადგომისა და დახმარების მიზნით, ინტელიგენციის ყველა წარმომადგენლის სასიკეთოდ, საბჭოთა აპარატის ტირანიისა და დიქტატურის, მისი არაგონივრული მთავრობის გვერდის ავლით.” ამ ნაბიჯის გადადგმით მან „არა თუ მიატოვა თავისი ოჯახი, არამედ მთლიანად მოიკვეთა იგი. ასევე უარი თქვა მან უნივერსიტეტის ლექტორის გვარიან შემოსავალზე, მატერიალურად უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე და გაწყვიტა ის „ოქროსფერი აბლაბუდა”, რომელშიც სულ უფრო და უფრო ეხვეოდა საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრები ინტელიგენციის ფენა. ახლა იგი საკუთარ აზრებს უკვე შეუზღუდველად გაანდობდა დასავლეთს.”

ე. ციტერმანისაგან განსხვავებით, ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილმა გერმანიაში ალ. ჭეიშვილის დარჩენის ფაქტი მწერალზე საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების ზეწოლით მიღებულ გადაწყვეტილებად მიიჩნია. მის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ისიც უსათუოდ იქნებოდა ქცეული, რომ ალ. ჭეიშვილი შესანიშნავად ფლობდა ევროპულ, განსაკუთრებით კი გერმანულ, ენებს.

როგორც ალ. ჭეიშვილის ემიგრანტობის დროინდელი წერილებიდან თვალნათლივ ჩანს (ალ. ჭეიშვილის პირადი წერილები იხ: გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, #27102), მწერალი მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს სამშობლოსა და მახლობელ ადამიანთა ღალატად კი არ მიიჩნევდა, არამედ, პირიქით, ქვეყნის სასიკეთოდ გამიზნულ საქმედ. იგი მეუღლესა და შვილებს დაბეჯითებით არწმუნებდა იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება, რის შედეგადაც იგი მხოლოდ გარკვეული დროის განმალობაში შორდებოდა მშობელ ქვეყანას, მან უპირველეს ყოვლისა საქვეყნო ინტერესების გათვალისწინებით მიიღო და არა პიროვნული კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

თუ მწერალი გერმანიიდან გამოგზავნილ თავის წერილებში ამ და მსგავს საკითხებზე მსჯელობის დროს გულწრფელი იყო და ასეთ რამეებს მისი ოჯახის აქაური „მწყემსებისათვის“ თვალის ასახვევად არ წერდა, მაშინ ეს წერილები კიდევ უფრო განგვიმტკიცებენ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ემიგრაციაში იგი მართლაც ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ იყო გაგზავნილი გარკვეული დავალების შესასრულებლად.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს შვილებისადმი 1959 წლის 11 მარტს გამოგზავნილი წერილიდან: „ამ წერილს გწერთ როგორც დინჯ, ჭკუადამჯდარ, ცხოვრებისათვის მომზადებულ ახალგაზრდებს. გახსოვთ, უნივერსიტეტში შესასვლელად რომ ემზადებოდით, რამდენჯერ დაწერეთ თემა: „პატრიოტული მოტივები ილიას, აკაკის თუ ვაჟას შემოქმედებაში.“ ჩვენი მწერლები მუდამ სამშობლოსათვის იღწვოდნენ, ერისა და ხალხის ინტერესებს ხშირად თავის პირად კეთილდღეობას ანაცვალდებდნენ. ასე იყო წარსულში და ასე არის და უნდა იყოს დღესაც. ყოველ შემთხვევაში მე ეს ჩემ სამღვთო მოვალეობად მიმაჩნდა მუდამ და მიმაჩნია დღესაც.

ასეთ ტონში იმიტომ ვიწყებ, რომ გული მატკინა რეზოს სიტყვებმა: „მამი, ამდენ ხანს ასე კარგად გვივლიდი და ახლა რა

მოგივიდაო?” ჩემი სიყვარული, ფიქრი და ზრუნვა თქვენს მიმართ ოდნავაც არ შენელებულა. დღეს ამას უფრო მძაფრად განვიცდი, ვიდრე ოდესმე. მაგრამ ამავე დროს ჩვენს ხალხზე და განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობაზე ვფიქრობ. როცა რაიმეს ვწერდი, მუდამ ჩვენი ახალგაზრდობა მედგა თვალწინ, მეწადა, როგორც მწერალს, ჩემი პატარა წვლილი მეც შემეტანა ჩვენი ახალგაზრდობის ცნობიერების, ფიქრების და გრძნობების ყალიბობაში.

მაგრამ ბუნებრივია, იკითხავთ, თუ რა კავშირი აქვს ამას ჩემს აქეთ წამოსვლასთან. საქმე იმაშია, რომ მე მუდამ მწვავედ განვიცდიდი იმ ამბავს, რომ ზოგიერთ ჩვენ ახალგაზრდას სწორი და ნათელი წარმოდგენა არა აქვს აქაურ სინამდვილეზე და მისი ცნობიერების ყალიბობაზე ერთგვარ შემაფერხებელ გავლენას ახდენს. და თუ მე ამ მხრივ რაიმე სარგებლობის მოტანა შემეძლო, თავი არ უნდა დამეზოგა.” ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცოლ-შვილისათვის გამოგზავნილ წერილებში ალ. ჭეიშვილი დროდადრო იმასაც ცდილობდა, საბჭოთა ადამიანების არც თუ მცირე ნაწილის მიერ გაიდევალებული დასავლური სამყარო სოციალისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ტენდენციურობით წარმოეჩინა და კონტრასტული ფერებით დაეხატა მისთვის ნიშანდობრივი მანკიერებანი.

მაგალითად: „აქ ერთი ადამიანი მეორეზე არ ფიქრობს. გამდიდრების, ფულის მოხვეჭის დაუცხრომელი წყურვილი განსაზღვრავს აქ ადამიანთა ურთიერთობას, ზნეობას, გემოვნებას. უკვე გწერდით იმაზე, თუ რა საშინლად გათიშული არიან ადამიანები ერთმანეთისაგან. ერთ სახლში მცხოვრები, ერთ დაწესებულებაში მომუშავე ადამიანები აქ უფრო დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ჩვენში შემთხვევით გაცნობილები. გარეგნული თავაზიანობა, რასაკვირველია, არ აკლიათ, მაგრამ ერთმანეთისათვის სავსებით არ შესტკივანთ გული... ამჯერად განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენი, თუ რა გულმკვდარი, უსულგულოა ეს საზოგადოება... ნამდვილი თვისობა, ამხანაგობა, ერთმანეთისთვის ჭირისა და ლხინის გაზიარება აქაური

ადამიანებისთვის უცხოა... ასეა გერმანიაში და ყველა ამბობს, რომ ეს ადამიანებისაგან ერთმანეთისაგან განთიშულობა ინგლისში თუ ამერიკაში უფრო მწვავედ იგრძნობა. საფრანგეთიც კი არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ამ კუთხით და ამ თვალსაზრისით მე დასავლეთის ცხოვრება აქამდე არ დამინახავს. ფსიქოლოგიური, სულიერი ცხოვრების თვალსაზრისით ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო და მე იმედი მაქვს, რომ ამ მგზავრობის შედეგებს კარგად გამოვიყენებ განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მე მგონია, რომ ეს ძალიან, ძალიან სასარგებლო იქნება.”

როგორც ალ. ჭეიშვილის მიერ გერმანიიდან ცოლ-შვილისათვის გამოგზავნილი წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, იგი ოჯახზე იმდენად იყო შეყვარებული, რომ ცოლ-შვილთან ფიზიკური განშორება მას უდიდეს სულიერ ტკივილს აყენებდა. ამ ტკივილს კიდევ უფრო უმძაფრებდა ის ფაქტი, რომ მისი უფროსი შვილი - გაა დაბადებიდანვე მძიმედ ტრავმირებული ავადმყოფი იყო. მწერალს იგი არა მარტო საქართველოში ყოფნის პერიოდში დაჰყავდა სამკურნალოდ საბჭოთა კავშირის სახელგანთქმულ კლინიკებში, არამედ გერმანიიდანაც გამუდმებით უგზავნიდა მას წამლებსა და იქაური ექიმებისაგან მიღებულ რჩევა-დარიგებებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბოლოოდ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ ალ. ჭეიშვილის გაემიგრანტება საკუთარი ნება-სურვილით გადადგმული ნაბიჯი კი არ იყო, არამედ საბჭოთა სპეცსამსახურებისგან მიღებული დავალება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აღნიშნული თვალსაზრისის დასტურად აქ პირველ ყოვლისა ის სისტემატური და შეუზღუდველი მიმოწერა მინდა გავიხსენო, რომელიც ემიგრაციაში გახიზნულ მწერალს ჰქონდა გამართული საქართველოში ცოლ-შვილთანაც და აქაურ ოფიციალურ პირებთანაც. უფრო მეტიც, ამ ადამიანებთან მწერალს ემიგრაციაში დარჩენის პირველივე დღეებიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე არა მარტო წერილობითი კავშირი არ გაუწყვეტია, არამედ სატელეფონოც. ოჯახის

წევრებს კი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებსაც და წამლებსაც ხშირად უგზავნიდა ხოლმე, რაც, ცხადია, ხელისუფლების სათანადო ორგანოების ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი საბჭოთა დიქტატურის ზეობის პერიოდში ხდებოდა, იმ დროს, როცა ალ. ჭეიშვილი უკვე იყო გამოცხადებული საკუთარი ქვეყნის მტრად და სამშობლოს მოღალატედ.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ორიოდ ფრაგმენტს ალ. ჭეიშვილის ემიგრანტული პერიოდის წერილებიდან: 1. „გიას (შვილს - ა. ნ.) წამლები გადმოვუგზავნე. რეზოს (შვილის - ა. ნ.) ამხანაგის წამლებსაც ვემებ“ (ფრაგმენტი 1959 წლის 18 იანვარს მეუღლისათვის მოწერილი ბარათიდან). 2. „ცოტა რამეებს გიგზავნი და კიდევ გამოვგზავნი (კავბოიკები, მითხრეს - არ გამოხარშოთ, თორემ რეზინა გაუფუჭდებაო)” (1959 წლის 11 მარტს ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილიდან).

მწერალი მეუღლეს იმაშიც არწმუნებდა დაბეჯითებით, რომ თუ მათ ოჯახს რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, დახმარებისათვის უსათუოდ მიემართა ირაკლისათვის, ისიდორესა და თვით ვასილ პავლოვიჩისთვისაც კი.

მაგალითად: 1. „ლელოს” გამოცემები მჭირდება ქართული და რუსული... იქნებ *ირაკლის გადასცე და გამომიგზავნის*” (ფრაგმენტი 1958 წლის 31 დეკემბერს მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილიდან, აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩემია - ა. ნ.). 2. „*ირაკლის მოვწერე, რომ წიგნების ჰონორარი მოგცენ. ვთხოვე, რომ აკადემიიდან არ გამანთავისუფლონ. ირაკლის უთხარი და წერილის გამოგზავნაზე დაგეხმარება*. იმედი მაქვს, რომ ჩემს ჩამოსვლამდე ყველა დაგეხმარება” (ნაწყვეტი 1959 წლის 18 იანვარს გამოგზავნილი წერილიდან). 3. „*გაზეთის ამონაჭერები გამოვუგზავნე ირაკლის, ისიდორესა და ვასილ პავლოვიჩსაც*” (ფრაგმენტი ერთ-ერთი დაუთარიღებელი წერილიდან). 4. „*გამომცემლობის და აკადემიის ამბები რად არ მომწერეთ. ამის შესახებ ისიდორეს და ირაკლის ვწერდი*. გამაგებინეთ, რომ

საქმის კურსში ვიყო და აქედანვე ზომები მივიღო, სანამ ჩამოვიდოდე” (1959 წლის 26 მარტი). 5. „წიგნები, წიგნები გამომიგზავნე ირაკლის საშუალებით.” 3. „წიგნებზე, წიგნებზე გთხოვდი ყოველ წერილში. უკანასკნელად ირაკლისაც მივწერე ამის შესახებ და ვასილ პავლოვიჩსაც” (1959 წლის 24 მაისი). 6. „ისევ მიმართე ამ საკითხზე (იგულისხმება დახმარება მწერლისათვის საკუთარი ნაწარმოებების გაგზავნაში - ა. ნ.) ირაკლისაც, ისიდორესაც და თუ საჭირო დარჩეს ვასილ პავლოვიჩსაც” (1959 წლის 24 მაისი). 7. „უთხარი ირაკლის, ისიდორეს და ვასილ პავლოვიჩსაც, რომ ეს აუცილებელია ჩემი ჩქარა დაბრუნებისათვის” (1959 წლის 24 მაისი). 8. ეტყობა, სამშობლოში დატოვებული ოჯახისათვის ემიგრაციაში წამოსვლამდე შესაბამისი ორგანოებისაგან დაპირებული ფინანსური დახმარების შეფერხებით შემფოთებული კი ცოლ-შვილს წერდა: „დღეს რამდენიმე წერილს ვგზავნი თბილისში და მოსკოვში... თქვენ არაფერს მატყობინებთ. მართლა ასე გადაგიწურეს სულ წყალი, თუ საიდანმე რამეს ღებულობთ? მე მაქაურ ხელმძღვანელებს ვწერ ამის შესახებ” (1959 წლის 15 მაისი).

ვფიქრობ, ალ. ჭეიშვილის წერილებში სახელებით მოხსენიებულ პიროვნებათა ვინაობის დადგენა სულაც არ წარმოადგენს ძნელ საქმეს. კერძოდ, საეჭვო არ არის ის ფაქტი, რომ ირაკლი ირაკლი აბაშიძეა, საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი პირველი მდივანი; ისიდორე - საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ისიდორე დოლიძე, რომელიც მწერლის ნათესავიც ყოფილა; ვასილ პავლოვიჩი კი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მუჟანაძეა.

ალ. ჭეიშვილი არა მარტო მეუღლეს აფრთხილებდა, ყოველგვარი თავშეკავების გარეშე ეთხოვა ამ ადამიანებისათვის დახმარება მათი ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად და მისი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად, არამედ თავადაც ხშირად ეხმიანებოდა ხოლმე ზემოთ ხსენებულ პიროვნებებს ანალოგიური შინაარსის წერილებით.

იმის დასტურად, ემიგრაციაში დარჩენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ალ. ჭეიშვილმა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დავალებით რომ მიიღო, ზემოთ უკვე ციტირებულ ფრაგმენტებთან ერთად, მის მიერ მეუღლისთვის გერმანიიდან გამოგზავნილი წერილებიდან ამ ნაწყვეტებსაც დავიმოწმებ:

1. „*ჩემი აქ ყოფნა და ამდენხანს დარჩენა ოფიციალურად გაფორმდება მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროში. ეს ცოტაოდენ დროს მოითხოვს და როგორმე გულდინჯად და დამშვიდებით შეხვდით ამ ამბავს*” (1959 წლის 26 მარტი). 2. „*ჩემი ბრალი არ არის, დმერთო!*” *ჩემი მდგომარეობა, იმ ბუზის მდგომარეობას ჰგავს, თაფლიან ლამბაქზე ფეხს რომ დადგამს და დაეწებება, წვალებით ამოაძრობს ამ ფეხს და ახლა მეორე ეწებება.*” 3. „*თუ აქ დავყოვნი და ამდენხანს ვერ წამოგსულვარ, ეს იმიტომ, რომ სხვანაირად გაკეთება არ შემეძლო. მთელი ჩემი ბიოგრაფია, ჩემი წინასწარი მომზადება, მთელი ჩემი ბუნების და ხასიათის მიმართულება აუცილებელს ხდიდა ჩემს ამ მიმართულებით მუშაობას. ამის გულისათვის ბევრი რამ, ჩემთვის პირადად საამო და სასარგებლო, დამშვიდებული და დალაგებული მუშაობის პირობები, ხელიდან გავუშვი და თქვენც ბევრი ტკივილი მოგაყენეთ. მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად... შენც უნდა იგრძნო ჩემი მდგომარეობა. ტკივილი და სიმძიმე მც ბევრი მაქვს.*”

იმის გათვალისწინებით, რომ ემიგრაციაში დარჩენილი მწერლის მიერ საქართველოში გამოგზავნილ წერილებს მათ ადრესატებზე ადრე აქ შესაბამისი ორგანოების თანამშრომლები წაიკითხავდნენ, თავის ნამდვილ გულისთქმას იგი, ბუნებრივია, ბოლომდე გულწრფელად ვერ გამოხატავდა და უცხოეთში თუნდაც საგანგებო დავალებით გადახვეწის მიუხედავად, სამშობლოში მძევლად დატოვებულ ცოლ-შვილზე გამუდმებული ფიქრი და დარდი აიძულებდა, მახლობელი ადამიანებისთვის გამოგზავნილ წერილებში ნათქვამი ყოველი სიტყვა განსაკუთრებული სიფრთხილით შეერჩია.

ემიგრაციაში მყოფი მწერლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ კითხვებზე სწორი და სათანადოდ არგუმენტირებული პასუხის გასაცემად განსაკუთრებით საინტერესოა 1958 წლის 31 დეკემბერს მეუღლისათვის (მწერალი მას ყოველთვის კუტკას მეტსახელით მოიხსენიებს ხოლმე) გამოგზავნილი ქვემოთ დამოწმებული წერილი: „კუტკა, ოქრო, საყვარელო!

შენი წერილი მივიღე და ბევრი ცრემლი დავღვარე... თქვენზე ძვირფასი მე ვინა მყავს ამ ქვეყანაზე. *მე ისეთს რას გავაკეთებ, რომ შენ, გიაკოს და რეზოს* (მწერლის შვილები არიან - ა. ნ.), *ჩვენს ნათესავეებს და მოკეთებებს, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მეგობრებს და ამხანაგებს დამაშოროს, ის ნამუშევარი და პაწია ღვაწლი, რაც მე ჩვენი ხალხისთვის გამიწევია, წაშალოს და გააქარწყლოს.* რამდენი სიხარული განგვიცდია ერთად, რამდენი წელი ერთად გვიწევია ცხოვრების უღელი. გული იმან მატკინა და თვალები ცრემლით დამილტო, რომ შენ ერთის წუთით თუნდ ერთის წამით გულში გაივლე, რომ მე შეიძლება თქვენ მიგატოვოთ, ან ისეთი რამ ჩავიდინო, რამაც შეიძლება თქვენგან მომწყვიტოს. *ყველაფერი, რაც გავაკეთე, კარგი საქმისთვის გავაკეთე და დარწმუნებული იყავი, ცუდად არ დამთავრდება. შიში ნურაფრის გექნება. აქაც ჩვენი კულტურისათვის ვიღწვი და ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება. არც აკადემიიდან გამათავისუფლებენ (მე ეს მჯერა) და არც ჩემი წიგნების გამოცემას შეწყვეტენ და თქვენც კარგად და ჯანმრთელად გიხილავთ. გიას წამალი გამოვუგზავნე – კარგა ბლომად და კიდევ გამოვგზავნი. სხვა რამეებსაც გამოვგზავნი.* წერილი რომ მოიწერო, ნომრები და შენი სურვილები ჩაურთე...

„ლელოს“ გამოცემები მჭირდება ქართული და რუსული... იქნებ *ირაკლის გადასცე და გამომიგზავნის*” (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, საქმე #27102).

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში წასვლიდან სულ მალე ალ. ჭეიშვილი საკუთარი სამშობლოს მოდალატედ გამოაცხადეს და მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, გერმანიიდან გამოგზავნილ წერილებში იგი ამის შესახებ არა

თუ არაფერს ამბობდა, არამედ, პირიქით, მეუღლესაც და სათანადო უწყებათა ხელმძღვანელებსაც დაბეჯითებით თხოვდა, აქტიურად ეზრუნათ მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებასა და მისთვის შესაბამისი ჰონორარის მიცემაზე. მაგალითად: „რჩეულის მეორე ტომი გამოვიდა თუ არა? „ზარია ვოსტოკამ“ თუ გამოუშვა ჩემი წიგნები. „მნათობი“ თუ განაგრძობს „ოქროსფერი აბლაბუდის“ (მწერლის ნაწარმოების სახელწოდებაა - ა. ნ.) ბეჭდვას“ (მეუღლისათვის 1959 წლის 26 მარტს გამოგზავნილი წერილიდან).

პირველი და ყველაზე დიდი სათხოვარი, რომელსაც ალ. ჭეიშვილი გერმანიიდან გამოგზავნილ თითქმის ყველა წერილში იმეორებდა ხაზგასმით და დაბეჯითებით, მისთვის საბჭოთა კავშირში გამოცემული მისი წიგნების გაგზავნა იყო. მაგალითად: „ლელოს“ ყველა რუსული და ქართული გამოცემა გამომიგზავნეთ. „რჩეულიც“ მჭირდება, ნარკვევების წიგნი, „ვაჟა-ფშაველა“... ირაკლისაც ვწერდი ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. იქნებ თქვენ რაიმე გააწყობთ ირაკლის საშუალებით“ (1959 წლის 11 მარტს ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილიდან).

თავისი წიგნების გაგზავნას ალ. ჭეიშვილი ესოდენი დაჟინებით უპირველეს ყოვლისა იმის გამო მოითხოვდა, რომ მისი ნაწარმოებების საფუძვლიან გადამუშავებას აპირებდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი ენერგია მას „ლელოს“ გადასაკეთებლად დაუხარჯავს. მაგალითად, არგენტინაში მცხოვრები მისი ბიძაშვილისთვის - ალ. ჭეიშვილისთვის გაგზავნილ წერილში ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით იგი წერდა: „განუწყვეტლივ ჩემ რომანზე ვმუშაობდი, „ლელოზე“ სულ მთლიანად გარდავექენი და გადავამუშავე, ისე, რომ მეც ვეღარ ვცნობ. ამან წაიღო სულ ჩემი დრო, ენერგია და სახსრები. ჯერაც არ დამისრულებია ეს სამუშაო“.

მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც ალ. ჭეიშვილს უცხო ქვეყანაში დამკვიდრების გზაზე ელობებოდა წინ, იგი მაინც ახერხებდა შემოქმედებით ასპარეზზე გზის გაკვალვას და მისი ნაწარმოებები და მის მოღვაწეობასთან

დაკავშირებული მასალები დროდადრო იქაურ პრესაშიც იბეჭდებოდა და რადიოშიც გადაიცემოდა ხოლმე. მაგალითად, მეუღლისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ დაუთარიღებელ წერილში მწერალი წერს: „ორი დღის წინ დიდ ევროპულ გაზეთში „Die Welt“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი, თითქმის ნახევარი გვერდი „ფიქრები სააფიშე ბოძის წინ,“ აქაურ კინემატოგრაფიაზე. ძალიან დიდი გამოძახილი ჰქონდა აქაურ ლიტერატურულ წრეებში. გაზეთის ამონაჭერები გამოვუგზავნე ირაკლის, ისიდორესა და ვასილ პავლოვიჩსაც.“

ემიგრაციაში მყოფ მწერალს იქაურ გამომცემლობათა ხელმძღვანელებთან საკმაოდ აქტიური და წარმატებული მოლაპარაკებები ჰქონია გამართული თავისი წიგნების გამოცემის თაობაზე. თუმცა მწერალი იმავდროულად იმის გამოც ხშირად გამოთქვამდა ეჭვს, თავისი წიგნების „სოციალისტური შინაარსის“ გამო, იქაურ გამომცემლობებს მათი დაბეჭდვისაგანაც რომ შეეკავებინათ თავი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი მაინც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დროულად რომ შეესრულებინა და წიგნები გამომცემლობებისათვის შეუფერხებლად წარედგინა. „შეიძლება გამომცემლობამ, - წერდა, მაგალითად, მწერალი ერთ-ერთ წერილში, - სულაც არ გამოსცეს ეს წიგნები, არ მიიღოს ისინი მათი სოციალისტური შინაარსის გამო, მაგრამ წარდგენით მაინც უნდა წარვადგინო და ამით ჩემი ვალი მოვიხადო. თუ მე წარვადგინე და იმათ უარი თქვეს გამოცემაზე, მე ვალდებული აღარა ვარ, აღებული ჰონორარი უკან დავაბრუნო. მაგრამ ამ ფორმალური იურიდიული მხარის შესრულება - წიგნების და თარგმანების წარდგენა აუცილებელია... აქ უპასუხისმგებლოდ ვერ მოვიქცევი და აქ გადაუხდელ ვალებს ვერ დავტოვებ. ეს საბჭოთა მწერლისათვის შეუფერხებელი საქციელი იქნება.“

ალ. ჭეიშვილის გაემიგრანტებასთან დაკავშირებით საქართველოში იმთავითვე გავრცელებული მოარული ხმების მიხედვით, გერმანიაში საბჭოთა უშიშროების მიერ სპეციალური დავალებით შეგზავნილი მწერლის საიდუმლო გეგმები იქაურმა სამსახურებმა მალევე გამოააშკარავეს.

სხვა ფაქტორებთან ერთად, პოლიტიკური თავშესაფრის მამიებელი მწერლის გულწრფელობაში დასაქვებლად გერმანული სპეცსამსახურების თანამშრომლებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში საფუძველს ის ფაქტიც აძლევდათ, რომ ამ ნაბიჯს საბჭოთა ხელისუფლებასთან თუნდაც შინაგანად დაპირისპირებული პიროვნება კი არ დგამდა, არამედ სტალინური პრემიის ლაურეატი; ის მწერალი, რომლის შემოქმედების თითქმის ერთადერთი თემა საბჭოური სინამდვილის ტენდენციური განდიდება იყო.

მწერლის იქაური მეგობრის - ევგენია ციტერმანის ინფორმაციით, გერმანიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებში ალ. ჭეიშვილის მიმართ გაჩენილი სწორედ ზემოთ ხაზგასმული ეჭვის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ემიგრაციაში ცხოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში მწერალს ოფიციალურად იქ ყოფნის „მხოლოდ ყოველი შესაბამისი ორი თვის უფლება ჰქონდა მიცემული და სხვა გარანტია არ გააჩნდა,” რასაც „ნიუნბერგის ფედერალური საუწყებო სამსახური” იმით ხსნიდა, რომ მათთვის საბჭოთა კავშირიდან ”მისი გაქცევის მოტივი გაურკვეველი იყო.”

გერმანიაში ალ. ჭეიშვილის არასტაბილურად ცხოვრებას ე. ციტერმანი იმ დევნა-შევიწროებითაც ხსნის, რასაც იგი ამ ქვეყანაში გადახვეწის მიუხედავად მაინც განიცდიდა საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან. მისი ინფორმაციით, ემიგრანტად ქცეული მწერალი ”იძულებული იყო გარესამყაროს გამიჯვნოდა, რადგანაც მის მიერ კეთილი მიზნებით უარყოფილი სამშობლო, ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოლიტიკური სამშობლო თუ „უფროს მძად” წოდებული ქვეყანა ხან თხოვნით, ხანაც მუქარით არ ასვენებდა: თხოვნით - ოფიციალური გზებით, ხოლო მუქარით - მალულად. იგი იძულებული იყო, ხშირად გამოეცვალა საცხოვრებელი ადგილი, რათა დევნა თავიდან აეცილებინა, მზად იყო ეწერა მოთხოვნები და ეწარმოებინა მოლაპარაკებები, რადგან ფიქრობდა, რომ ამ გზით ააშორებდა დევნას თავის უდანაშაულო ოჯახის წევრებს. მოპირდაპირე მხარემ მისი ეს

მცდელობები უნდობლად მიიღო და ახალ-ახალი ექვებიც გაჩნდა.”

საკუთრივ საბჭოთა კავშირში კი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ორგანიზებით, ემიგრაციაში დარჩენილი მწერლის მიმართ მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებანი იქნა გატარებული. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ალ. ჭეიშვილმა ეს ნაბიჯი მართლაც საკუთარი ნებით გადადგა, თუ სპეცორგანოების დავალებით. ამგვარი სადამსჯელო ზომების გატარება ორივე შემთხვევაში იყო აუცილებელი: თუ მწერალმა მართლაც თავისი ნებით დატოვა საბჭოთა კავშირი, იმჟამინდელი ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, მისი ამგვარი ქმედების სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ თუ იგი საბჭოთა ქვეყნის მესვეურთა მიერ ჩვენს საშიშ მტრად და იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოში თავად მათგან შეგზავნილ აგენტს წარმოადგენდა, ამგვარი რამის გაკეთება მით უფრო იყო აუცილებელი ამ ამბის შესანიღბად.

და მართლაც, ემიგრაციაში მწერლის დარჩენიდან თვენახევრის შემდეგ, 1959 წლის 7 იანვარს, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ალ. ჭეიშვილი ერთხმად იქნა გარიცხული მწერალთა კავშირიდან (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, #27106).

დასავლეთ გერმანიაში საცხოვრებლად დარჩენილმა მწერალმა ფაქტობრივად ხანგრძლივი დროით ერთ ადგილზე დამკვიდრება ვერ შეძლო, რის გამოც გამუდმებით დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში. კერძოდ, სხვადასხვა დროს მას უცხოვრია გერმანიის ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: ბონი, ფრანკფურტი, მიუნხენი, კიოლნი, ვისბადენი, ანსბახი, ჰამბურგი, ნიუნბერგი...

ცხოვრების ბოლო პერიოდი კი ალ. ჭეიშვილმა ქალაქებში: ესენსა და ალსფელდში გაატარა. მწერლის ვაჟის - რეზოს ინფორმაციით, აქ მას ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია იქაურ რუსული ენის მასწავლებელთან, ზემოთ უკვე არაერთგზის მოხსენიებულ ევგენია ციტერმანთან,

რომელსაც რუსული ენის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში უწევდა დახმარებას. მათ მეგობრულ სიახლოვეს ის ფაქტიც უწყობდა ხელს, რომ ევგენია დაუოჯახებელი იყო და მარტო ცხოვრობდა.

სამწუხაროდ, ნაადრევი გარდაცვალების გამო, ალ. ჭეიშვილს თავისი დიდი შემოქმედებითი გეგმების განხორციელება არ დასცალდა. 1962 წლის 6 სექტემბერს ქალაქ ალსფელდში 59 წლის ასაკში გულის ინფარქტით გარდაცვლილი მწერალი მისმა იქაურმა მეგობარმა და ფაქტობრივად ერთადერთმა ჭირისუფალმა ევგენია ციტერმანმა იქვე მიაბარა მიწას, მისი ხელნაწერები კი საკუთარ არქივში შეინახა. ალ. ჭეიშვილის შვილის - რეზოს თქმით, მწერლის გარდაცვალებიდან თითქმის ერთი წლის გასვლის შემდეგ, 1963 წლის 1 აგვისტოს, ქალბატონ ევგენიას მათი ოჯახისთვის პირადად გამოუგზავნია მის მიერ დაწერილი ვრცელი (19-გვერდიანი) ნეკროლოგი, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი ალ. ჭეიშვილის მოღვაწეობის ამბავი.

მეგობარი მწერლის ტრაგიკული აღსასრულითა და პიროვნული ხვედრით გულნატკენი ქალბატონი ნეკროლოგის ბოლოს იმედს გამოთქვამდა, რომ "დასავლეთში ხელახლა შექმნილი თავისი ნაწარმოებების წყალობით ადამიანები ოდნავ მაინც ღმობიერი თვალთ შეხედავდნენ ალ. ჭეიშვილის საქციელს და ეს ნაწარმოებები გაამართლებდნენ მას სამშობლოსა და იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც მან დაუამბებელი ტკივილი მიაყენა."

სავარაუდოდ ამ ათიოდე წლის წინათ ევგენია ციტერმანი გარდაიცვალა და მისი პირადი არქივი, სადაც ალ. ჭეიშვილის მასალებიც უნდა ინახებოდეს, დღეისათვის გერმანიის ქალაქ აახენში მცხოვრები მისი ძმისშვილის - ლოტარ მოდელის ოჯახში ყოფილა დაცული. ბატონ რეზო ჭეიშვილის თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია მისთვის ამჯერად ევგენიას ძმისშვილს მიუწოდებია ტელეფონით.

გარდა ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილებისა, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში

არგენტინაში, ქალაქ ბუენოს-აირესში, მცხოვრები ალ. ჭეიშვილის ბიძაშვილის, ემიგრანტი ქართველი მწერლის - აკაკი პაპავას სიძისადმი - საშა (ალექსანდრე) ჭეიშვილისადმი გაგზავნილი სამი წერილიცაა (ორი სრულად და ერთის ფრაგმენტი) დაცული. ხსენებული წერილებისადმი ინტერესს პირველ ყოვლისა ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ განსხვავებით საქართველოში გამოგზავნილი ბარათებისაგან, რომლებშიც ავტორი ხაზგასმული სიფრთხილით ეკიდებოდა თავისი მოსაზრებების გამოთქმას, საკუთარი გულისნადების გამოხატვის დროს ამჯერად იგი გაცილებით მეტ თავისუფლებას იჩენდა ხოლმე.

როგორც ალ. ჭეიშვილის არქივის შესწავლამ ცხადყო, ემიგრაციაში მის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჩემ მიერ მოძიებული მასალები არასრულყოფილია და ისინი მხოლოდ ფრაგმენტულად წარმოაჩენენ იმ საქმიანობის ძირითად მომენტებს, რასაც სამშობლოდან გადახვეწილი მწერალი ეწეოდა გერმანიაში.

პირველი და უმთავრესი, რაც ამ საქმის მოსაგვარებლად უნდა გაკეთდეს მომავალში, ალ. ჭეიშვილის ემიგრანტულ ცხოვრებასთან დაკავშირებული საარქივო მასალების მოძიება და საქართველოში ჩამოტანაა. გარდა იმისა, რომ ხსენებულ არქივში დაცული მასალები უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიან სამშობლოდან ალ. ჭეიშვილის გადახვეწის განმაპირობებელ რეალურ გარემოებებსა და მისი ცხოვრების გერმანულ პერიოდზე, მათი მეშვეობით უფრო ღრმად და ნაკლებშელამაზებულად წარმოჩინდება საბჭოთა ცენზურის შემბოჭველი იდეოლოგიური დოგმებისაგან თუნდაც ნაწილობრივ თავდახსნილი მწერლის შემოქმედებითი სამყაროს იდეურ-მსოფლმხედველობრივი მხარეები.

საარქივო მასალები:

1. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ალექსანდრე ჭეიშვილის პირადი ფონდი: #27102, #27106.

Aleksandre Cheishvili in Emigration

Avtandil Nikoleishvili

Full Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Head of the Department of Georgian Literature, Doctor of Philological Sciences.

Abstract: In the period of Aleksandre Cheishvili's (1903-1962) life and activity in Georgia, his novel "Lelo" (1938) became the most significant specimen of his literary legacy. In the process of establishment of collective farming in the countryside was reflected with tendentiousness widely characteristic of Georgian literature of the Soviet period. However, "Lelo" was not an exception, and the main purpose of the majority of Cheishvili's literary works lay in the laudation of the reality of the period. The government of the time appreciated Cheishvili's loyal service, showering him with honours. Bearing this in mind, it is hard to explain what made him leave his family and become an emigrant. As is known, in 1958 the writer crossed into West Germany and asked for political asylum there. In the opinion of a large part of Georgian society, Cheishvili was sent to Germany by the Soviet intelligence service. The validity of this view is confirmed by the letters sent by the writer in emigration to members of his family and various officials, without any restrictions. (The letters are preserved in the Giorgi Leonidze Museum of Literature in Tbilisi)

Apart from the cited material, search for his manuscripts in Germany and bringing them to Georgia will be extremely significant for an in-depth study of Cheishvili's emigre life. They will help to form a clearer idea of the real circumstances that determined his going into exile and the German period of his life.

Key words: *Aleksandre Cheishvili, emigration, intelligence service, Germany, Zittermann*

In the period of Aleksandre Cheishvili's (1903-1962) life and activity in Georgia, his novel "Lelo" (1938) turned into a rather sensational most significant specimen of his literary legacy of the 1940s-50s Georgian literature. This work, written in conformity with

the ideological principles of socialist realism, in which the process of the establishment of collective economy in the countryside was depicted with tendentiousness, broadly characteristic of our literature of the Soviet period, earned the author great literary success not only in Georgia but in the entire Soviet Union as well.

Thus, modified versions of Cheishvili's novel were printed several times in Georgia; the work was published in Russian too, and in 1950 the author was awarded the Stalin Prize for it. In the view of the critics of the period, Cheishvili's "Lelo" was not only "a notable triumph of Georgian prose" (S. Chilaia) but it was also a gain of the entire Soviet literature.

